„თბილგაზის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საქმე აღიძრა A2

საავტომობილო გზების დეპარტამენტი - ფულის უძირო ორმო A4

"საოჯახო ტოტოს" ცხრილი A6-A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 23 ივნისი, 2003 წელი. №170 (382)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### გზა ევროკავშირისკენ

მთავარი მაინც ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც ოფიციალური განცხადება შეუტანია და არც რეალური ვალდებულება აუღია ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. სამწუხაროდ ისე ჩანს, რომ ისინი ამას უახლოეს მომავალში არც აპირებენ.

A3

## ეკონომიკა

### მთავრობას ციებ-ცხელება ეწყება

თბილისს დღეს სავალუტო ფონდის მისია ეწვევა პაოლო ნეუჰაუზის ხელმძღვანელობით. მთავრობასთან ოფიციალური შეხვედრები ხვალიდან დაიწყება. ნეუჰაუსი სხვადასხვა უწყებებში ფონდის რეკომენდაციების შესრულებას გაეცნობა. საქართველოს მთავრობაში ღიად აცხადებენ, რომ ეს მისია ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იქნება, რადგან 3 ივლისის სამახსოვრო მემორანდუმზე ქვეყნის მომავალია დამოკიდებული.

A4

## უცხოეთი

### რუსეთში ბოლო დამოუკიდებელი ტელეარხი დაიხურა

"მიხარია, რომ დაგვხურეს. ეს ჩვენი საქმიანობისათვის საუკეთესო ჯილდოა, - განაცხადა ტვს-ს წამყვანმა ვლადიმირ ყარა-მურზამ, – საუბარი იმაზე, რომ არხს არ ჰქონდა გავლენა და არ ჰყავდა აუდიტორია, სისულელეა."

A5

## საზოგადოება

### კლინიკებში საგადასახადო შეღავათებს მოუთმენლად ელიან

პარლამენტმა სამედიცინო დაწესებულებების შეღავათიანი დაბეგვრის პროექტი ერთხმად მიიღო და დასამტკიცებლად სახელმწიფო კანცელარიაში გადააგზავნა. ახლა მის ძალაში შესვლას შევარდნაძის ხელის მოწერაღა აკლია. ფისკალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ფინანსთა მინისტრი პროექტის წინააღმდეგია.

A8

## სამართალი

### „პოლიციამ საკუთარი თანამშრომელი აწამა", - ამბობს ადვოკატი

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ნარკომანიის განყოფილების თანამშრომელი ირაკლი თუშიშვილი წინასწარი დაკავების საკნიდან საპყრობილეში მძიმე დაზიანებებით გადაიყვანეს.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | |
| ქუთაისი | 24 | |
| ბათუმი | 21 | |
| სოხუმი | 21 | |
| ფოთი | 21 | |
| თელავი | 26 | |
| ზუგდიდი | 23 | |
| გორი | 23 | |
| ახმეტა | 26 | |
| ჭიათურა | 25 | |
| გაგრა | 21 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# დემოკრატია და არჩევნები

დავით აფრასიძე
ჰამბურგის უნივერსიტეტის დოქტორი

### მსოფლიო დემოკრატიზაციის მესამე ტალღა და პოსტსაბჭოური სინამდვილე

1970-იან წლებში სამხრეთ ევროპაში სამი დიქტატურა - ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი - დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა. ამით მსოფლიო ისტორიაში ე.წ. დემოკრატიზაციის მესამე ტალღა (ცნება ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერ სამუელ ჰანტინგტონს) დაიწყო, რომელიც 1980-იან წლებში ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის ცალკეულ რეგიონებზე გავრცელდა და, ცივი ომის დასრულების პარალელურად, ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებიც მოიცვა. სამხრეთი ევროპისა თუ ლათინური ამერიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოსტსოციალისტურ და, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოურ დემოკრატიზაციაში არა მხოლოდ პოლიტიკური სისტემის, არამედ ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემების გარდაქმნა ხდება. ამაში იგულისხმება გეგმიური ეკონომიკის საბაზრო პრინციპებით შეცვლა, პოლიტიკური კულტურის და ზოგადად, კულტურის ტრანსფორმაცია, გნებავთ მოდერნიზება. ყურადსაღებია, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნების შემთხვევაში ამ პროცესების პარალელურად მიმდინარეობს სახელმწიფოს შენება. ამ მოვლენას ხშირად "გემის ზღვაზე აგების" ფენომენს უწოდებენ, რითაც იმის თქმა სურთ, რომ ურთულესი"საზოგადოებრივი ცვლილებები შესაბამისი მართვის მექანიზმების არარსებობის ფონზე მიმდინარეობს და ეს მექანიზმები - სახელმწიფო ინსტიტუტები, სამართავი პროცესების პარალელურად შენდება. ამასვე ემატება დროის ფაქტორი, ანუ ის, რომ, რაც ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შექმნეს, ახალმა დემოკრატიებმა რამდენიმე წელიწადში უნდა აითვისონ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დიდი ჭაზმენი თბილისში




დიდი ჭაზმენი კენი გარეტი თბილისის აეროპორტში.

## "ნაციონალური მოძრაობის" და "დემოკრატების" ალიანსი, თუ ბურჯანაძე-ჟვანია-გამყრელიძის ტრიო

ბადრი კოპლატაძე

ოპოზიციის გაერთიანების თემა უკვე იქცა იმ ბანალურ საკითხად, რომელიც, ინტერესის შემცირების მიუხედავად, მუდმივად მედიის ყურადღების ცენტრშია. გასულ კვირას განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ შიდა ოპოზიციური კონსულტაციები კრიტიკულ ნიშნულს მიუახლოვდა.

თითქმის ორი თვის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებმა პოზიციათა სხვადასხვაობა უფრო თვალშისაცემი გახადა. დღეისათვის სიტუაცია ასეთია: "ნაციონალური მოძრაობა", რომელიც თავის თავს ოპოზიციური ძალების ფლაგმანს უწოდებს, ცალსახად აცხადებს, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება თუ სხვა პარტიები და პიროვნებები მათ მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებს დათანხმდებიან ანუ აღიარებენ "ნაციონალური მოძრაობის" წამყვან როლს. მიხეილ სააკაშვილის ფრაზა, რომ სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მას "ნაციონალური მოძრაობა" არ მისცემს, იმის დასტურია, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ამ საკითხში უკან დახევას აღარ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადებები საჯაროდ მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გაკეთდა, სააკაშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლები ასეთი ფინალის შესაძლებლობაზე მკაფიოდ მიუთითებდა. "ნაციონალური მოძრაობის" მონაწილეობით, პარიტეტულ საწყისებზე, დიდი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბება სულ უფრო არარეალური ხდება.

მიხეილ სააკაშვილის მიერ წამოყენებული პირობების გამო, განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარე. თუ ნინო ბურჯანაძისათვის შედარებით ადვილი და მომგებიანი იყო უმრავლესობის ლიდერებთან პაექრობა, ამჯერად სიტუაცია ბევრად განსხვავდება. ბურჯანაძეს, როგორც ჩანს, კარგად ესმის, რომ იმავე "ნაციონალურ მოძრაობასთან" საჯარო დებატების გამართვა, უპირველეს ყოვლისა, მისთვისვე იქნება წამგებიანი. ამიტომაც, მხოლოდ ზოგადი კომენტარებით შემოფარგვლას ამჯობინებს და პარტიებს დახურული კონსულტაციების განახლებისაკენ

გაგრძელება A2 გვერდზე

## კლიჩკო ქულებით იმარჯვებს, ლუისი ჩემპიონად რჩება




REUTERS

რომ არა გახეთქილი წარბი, კლიჩკო ლუისის წინააღმდეგ ღირსეულად გამოიყურებოდა.

## კოდორში დაპირისპირება მწვავდება

თამარ კაციტაძე

*კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავჯდომარის ვაჟა ავალიანის ინფორმაციით, ორი დღის წინ, გვიან ღამით, კოდორის ხეობის სოფელ საკენში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული რამდენიმე ნიღბიანი კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის ოჯახში შეიჭრა. თავდასხმის დროს სახლში იყვნენ ავალიანის და - თინა ავალიანი, ორი ძმისშვილი და მეზობელი მამაკაცი.*

კოდორის ხეობაში სამართალდამცველი სტრუქტურები არ არსებობს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია დაედასტურებინათ, ამიტომ აღნიშნული ინფორმაციის წყაროდ თავად კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის ამასთან დაკავშირებული განცხადებებია. სხვათა შორის, კოდორის ხეობაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას არც აფხაზეთის უშიშროების სამინისტრო ფლობს. მინისტრი ლევან კიკნაძეც ვაჟა ავალაინის ინფორმაციას ეყრდნობა.

**"დილით ადრე ჩემმა დამ დამირეკა და მითხრა, რომ ოჯახს შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს და იგი დაჭრეს. თურმე, თავდამსხმელებს ჩემი მოკვლა უნდოდათ და მეძებდნენ. დაჭრილი და მეხვეწებოდა, მიშველეო".** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვაჟა ავლიანმა, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება. უხუცესთა საბჭოს თავჯდომარეს დასთან რამდენიმე წუთიანი საუბრიდან შეუტყვია თავდამსხმელთა და დანაშაულის შემკვეთის ვინაობაც, რის შემდეგაც ხეობასთან სატელეფონო კავშირი გაწყდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## უნდა იყოს თუ არა ღმერთი კონსტიტუციაში

შოთა უტიაშვილი

ევროკავშირის ოთხი კათოლიკური ქვეყანა დაჟინებით მოითხოვს, რომ ევროკავშირის მომავალ კონსტიტუციაში აუცილებლად იქნას მოხსენიებული ქრისტიანობა.

ჯერჯერობით, ვერც ამ ქვეყნების, ვერც რომის პაპის და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, კონსტიტუციური კონვენტის მიერ შედგენილ დოკუმენტში ღმერთი და ქრისტიანობა ნახსენები არ არის.

მაგრამ იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და პოლონეთი იმედოვნებენ, რომ კონსტიტუციის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე მიზანს მიაღწევენ. ისინი აცხადებენ, რომ ქრისტიანობა ევროპული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. "ევროპის კონსტიტუციიდან ამოიღო ქრისტიანობა, ეს იგივეა, რაც პარიზის რუკიდან ამოიღო ღვთისმშობლის ტაძარი," - ამბობს თავისუფალი პოლონეთის პირველი პრემიერი თადეუშ მაზოვეცკი.

და მაინც, დღევანდელ ევროპაში, ქრისტიანობა უმცირესობის რელიგიად იქცა. ევროპის მხოლოდ სამ ქვეყანაში, პოლონეთში, მალტასა და ირლანდიაში დადის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეკლესიაში მეტნაკლებად რეგულარულად. პროტესტანტულ ქვეყნებში მრევლის რაოდენობა მოსახლეობის, დაახლოებით, 10 პროცენტს შეადგენს. საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და ჰოლანდიაში გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ რელიგია მათთვის მნიშვნელოვანი არ არის.

მას შემდეგ, რაც 2000 წელს მთავრობამ შვედეთის ეკლესიას სახელმწიფო რელიგიის სტატუსი, და მასთან დაკავშირებული ყველა შეღავათი ჩამოართვა, ევროპაში სულ ორი სახელმწიფო ეკლესია დარჩა:

გაგრძელება A5 გვერდზე

# პანკისში მომხდარ გატაცებებს ნელ-ნელა ფარდა ეხდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ, გამთენიისას პანკისის ხეობის სოფელ ომალოში ჩატარებული სპეცოპერაციისას, სამართალდამცველებმა, კრიმინალური ავტორიტეტის, აწ გარდაცვლილი ვეფხია მარგოშვილის ძმა და ბიძაშვილები დააკავეს. ბადო, თამაზ და ბაადურ მარგოშვილები ადამიანების გატაცების ორგანიზატორობაში და გატაცებებში თანამონაწილეობაში არიან ეჭვმიტანილნი.

კონკრეტულად ვისი გატაცება ბრალდებათ დაკავებულ მარგოშვილებს, სამართალდამცველები, ჯერჯერობით, მკაცრად ასაიდუმლოებენ. რაც ამ ეტაპზე გახდა ცნობილი, ის გახლავთ, რომ დაკავებისას ვეფხია მარგოშვილის ძმას და ბიძაშვილებს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ისინი საკუთარი სახლებიდან სამართალდამცველებს მორჩილად გაყვნენ პოლიციის განყოფილებაში. დაკავებულთა საცხოვრებელი სახლებიდან პოლიციამ რამდენიმე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო.

ჩვენი ინფორმაციით, ბადო, თამაზ და ბაადურ მარგოშვილების კვალზე სამართალდამცველები რამდენიმე დღის წინ დაკავებული ქისტი ქალბატონის – მედიკო კუშტანაშვილის საშუალებით გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ მედიკო კუშტანაშვილი ორთაჭალის მეხუთე საპყრობილეში იმყოფება და მარგოშვილების მსგავსად, ბრალად ედება გატაცებების ორგანიზატორობა და გატაცებაში თანამონაწილეობა.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 - A7 "საოჯახო ტოტო" A8 საზოგადოება

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო მიმოსვლას უახლოეს მომავალში აღადგენენ

თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო მიმოსვლა უახლოეს მომავალში განახლდება - აცხადებენ შპს. "საქართველოს რკინიგზაში".

როგორც შპს. "საქართველოს რკინიგზის" მთავარმა ინჟინერმა, ტექნიკური დარგის დირექტორმა თენგიზ დონაძემ თქვა, **"აღდგენასთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაოები "საქართველოს რკინიგზის" ძალებით განხორციელდება, თუმცა გარკვეული დახმარება ევროპის დონორი ქვეყნებიდანაც შემოვა."**

**"აღდგენის პროცესზე წინასწარი გათვლებით მხოლოდ ქართული მხარე 2 მილიონ აშშ დოლარზე მეტს დახარჯავს,"** - განაცხადა თენგიზ დონაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის, უსაფრთხოების საკითხის გარდა, პრობლემები ამ ეტაპზე არ არსებობს. გამორიცხული არაა, რომ კონფლიქტის პერიოდიდან მოყოლებული, რკინიგზის რიგი მონაკვეთები დანაღმული იყოს. **"საერთო ჯამში, უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ორივე მხარეს დაეკისრება,"** - თქვა თენგიზ დონაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

## პურის მწარმოებლები პურის ფასს ხელოვნურად ინარჩუნებენ

**„პურის მწარმოებლები იძულებულნი არიან პურის წონა შეამცირონ, იაფფასიანი, უხარისხო ფქვილი გამოიყენონ და ზოგჯერ ფქვილში ქატოც კი შეურიონ, რათა დროებით მაინც შეაჩერონ პურის ფასის მომატება"**, – განაცხადა თავისუფალ კავშირ „მეპურეთა სოლიდარობის" თავმჯდომარემ ვახტანგ ზენაიშვილმა.

პურის ფასის მომატებაზე უკვე მთავრობაც საუბრობს. ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ამას იმით ხსნის, რომ მისი უწყება ბაზარზე კონტრაბანდული პურის ფქვილის შემოსვლას არ უშვებს. ვახტანგ ზენაიშვილის თქმით კი, კონტრაბანდის მასშტაბები არ შემცირებულა. სინამდვილეში, პურის ფქვილი გაძვირდა რუსეთში, რომელიც პურის ფქვილის ძირითადი იმპორტიორია საქართველოში. ერგნეთიდან შემოტანილი 1 ტომარა პურის ფქვილი, 18 ლარის ნაცვლად, 31 ლარი ღირს.

ვახტანგ ზენაიშვილის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის მინისტრმა პურის მსხვილ მწარმოებლებს 1 ივლისამდე პურის ფასის მომატებისგან თავის შეკავება სთხოვა და მათ ამერიკიდან პურის ფქვილის იმპორტს დაჰპირდა.

პურის მწარმოებლებისათვის არსებული საგადასახადო რეჟიმიც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. **„ის პურის საცხობი, რომელიც რეალურად გადაიხდის გადასახადებს და პურს გაძვირებული ფქვილით გამოაცხობს, იძულებული გახდება, პური 5 და 10 თეთრზე მეტად გააძვიროს,"** – აცხადებს „მეპურეთა სოლიდარობის" თავმჯდომარე. **მედია-ნიუსი**

## ნინო ბურჯანაძე ისრაელში გაემგზავრება

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარის რანგში პირველი ოფიციალური ვიზიტით, დღეს ისრაელში გაემგზავრება.

ბურჯანაძე ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს, პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს, საგარეო საქმეთა მინისტრს, პარლამენტის (კნესეტის) თავმჯდომარეს აბრაამ ბურგს, საქართველო-ისრაელის პარლამენტების მეგობრობის ჯგუფს და დეპუტატებს შეხვდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტი 27 ივნისს დასრულდება. **ინტერ-პრესი**

## გარდაიცვალა ასლან აბაშიძის მეუღლე - ქალბატონი მაგული გოგიტიძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 51 წლის ასაკში, გარდაიცვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის, ასლან აბაშიძის მეუღლე - ქალბატონი მაგული გოგიტიძე.

ასლან აბაშიძის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელის თამაზ ბაკურაძისEEგანცხადებით, მაგული გოგიტიძე წლების განმავლობაში აჭარის კულტურის ფონდის პრეზიდენტი იყო და აჭარის რეგიონში განხორციელებული მრავალი საქველმოქმედო აქცია მის სახელს უკავშირდება. მაგული გოგიტიძის ხელმძღვანელობით და ორგანიზებით აჭარაში გაიხსნა უპატრონო ბავშვთა სახლი, ინვალიდთა თავშესაფარი, ევროსტანდარტების დონეზე მოწყობილი სამშობიარო სახლი, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მაგული გოგიტიძე ამავდროულად იყო რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მიღებული აქვს საერთაშორისო ჯილდოები. **ინტერ-პრესი**

## ფოსტა

## გაზეთ 24 საათის რედაქტორს

21 ივნისის გაზეთ "24 საათის" სტატიაში - "თურმე ცესკო პარლამენტს აუქმებს და არა პირიქით" - დაშვებულია უზუსტობა.

კერძოდ, სტატიის ძირითდი ნაწილი და ფოტოსურათის მინაწერი ეხება საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმების საკითხს, რომლის დღის წესრიგში შეტანის წინააღმდეგი ვიყავით მე და ბატონი მამუკა კოპალეიშვილი.

ხოლო სტატიასთან გამოქვეყნებულ ფოტოსურაზე აღბეჭდილია კადრი, სადაც თითქოს ჩვენ ორივენი ხმას ვაძლევთ საკითხის გადაწყვეტას. რაც არ შეესაბამება რეალობას (ფოტოსურათი ეხება სრულიად სხვა საკითხის კენჭისყრის პროცესს).

გთხოვთ შემდეგ ნომერში გამოაქვეყნოთ ეს წერილი.

წინასწარ გიხდით მადლობას

*პატივისცემით* ***გიორგი ზესაშვილი***

***რედაქციისგან:*** *აღნიშნული სტატიისთვის თანდართული ფოტოსურათი ასახავს ცესკო-ს სწორედ იმდღევანდელ სხდომას. ფოტოს მინაწერი კი ასახავს მხოლოდ კომისიის იმდღევანდელი სხდომის მთავარ პათოსს და არა კონკრეტულ საკითხზე კენჭისყრის შედეგებს. ამასთან, ერთიც სათქმელია: ფოტოს კომპოზიცია ისეთია, რომ ყველაზე ძნელად ამოსაცნობი სწორედ წინამდებარე წერილის ავტორი და მამუკა კოპალეიშვილი არიან.*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელი ხიზრი ალდამოვი "სულელურს" უწოდებს "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერის, სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" სპიკერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებას - რუსეთის მხრიდან ორგანიზებული ოპერაციის მზადების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ 1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტში კანონებით "არნახული ვაჭრობა" ხდებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აფხაზეთის განთავისუფლების პარტია", რომელიც 50 ათასამდე წევრს აერთიანებს, იმ შემთხვევაში შეუერთდება სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსთვის", თუ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად რეალური ნაბიჯები გადაიდგმება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 24 ივნისს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია სხდომას გამართავს, სადაც ვანის რაიონის გამგეობასა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში დაშვებული დარღვევების უკვე შესწავლილი საკითხის დეტალები გახმაურდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მესტიაში გაიმართა ბატალიონ „სვანეთის" ფიცის დადებისა და მისთვის საბრძოლო დროშის გადაცემის ცერემონია, რომელსაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ესწრებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო მიმოსვლა უახლოეს მომავალში განახლდება და ამოქმედდება, - აცხადებენ შპს "საქართველოს რკინიგზაში". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

***თბილისი.*** პარლამენტარი ელენე თევდორაძე ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად პარიზში გაემგზავრა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** ანტიკორუფციული ბიუროს ახალი წევრების კანდიდატთა ვინაობა ერთ კვირაში გახდება ცნობილი. რამდენიმე შესაძლო კანდიდატურა უკვე გამოკვეთილია, თუმცა ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** საპარლამენტო არჩევნებში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის პრეტენდენტად შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსის ფრიდონ კენკებაშვილის კანდიდატურის წამოყენებისათვის, საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვების კამპანიას იწყებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

***თბილისი.*** ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე მიიჩნევს, რომ პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი სახელმწიფო კანცელარიაში არსებულმა სამთავრობო კომისიამ უნდა გადაამუშაოს. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

***თბილისი.*** "რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან თავისი სამხედრო ფორმირებების გაყვანას და ბაზების გაუქმებას, ჯერჯერობით, არ აპირებს. საქართველოდან გიუმრიში ჩვენ შეიარაღების და სამხედრო ამუნიციის მხოლოდ ერთი ნაწილი გავიტანეთ. რუსეთის შეიარაღებული ძალების არსენალი სომხეთში შევსებას საჭიროებდა და ეკონომიკური თვალსაზრისით, ამის გაკეთება ყველაზე უკეთ საქართველოდან იყო მოსახერხებელი," - განუცხადა "გაზეტა სნგ"-ს კორესპონდენტს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა იური ბელუევსკიმ.

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისია კოდორის ხეობის პატრულირებას გააგრძელებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე 5-10 ივნისს აღნიშნული ორგანიზაციის პატრული მძევლობაში იმყოფებოდა.

როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში გაერო-ს გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინმა განაცხადა, ამ ინციდენტის შემდეგაც მისიის მანდატი ძალაში რჩება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

***თბილისი.*** 3-4 ივლისს იალტაში, სუუამ-ის წევრი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა მორიგი სამიტი გაიმართება. მხარეები ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეათანხმებენ და განიხილავენ. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** "გადამხდელთა კავშირის" თავმჯდომარე, პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი საზოგადოებრივი მოძრაობა "ფესვების" მომავალს პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნაში ხედავს, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც, შესაძლოა, თავად გახდეს. **პრაიმ-ნიუსი**

# კოდორში დაპირისპირება მწვავდება

პირველი გვერდიდან

როგორც ვაჟა ავალიანმა აღნიშნა, მის ოჯახზე თავდასხმას მისივე ნათესავი სოსო ავალიანი ხელმძღვანელობდა, რომელსაც, თურმე, უხუცესთა საბჭოს თავჯდომარის მკვლელობა პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა შეუკვეთა. ვაჟა ავალიანის თქმით, ბოროტმოქმედები და ხეობის რწმუნებული თავმჯდომარეს ემზარ კვიციანის რეპუტაციის შელახვაში ადანაშაულებენ. ავალიანი ვარაუდობს, რომ ემზარ კვიციანმა დამნაშავეებს დიდი თანხა გადაუხადა, რათა მისი ოჯახი დაერბიათ.

**"თავდასხმის მომენტში სოსო ავალიანს, თურმე, ჯიბიდან დოლარების შეკვრა გადმოუვარდა. მისი მატერიალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ამდენი ფული სოსოს არ უნდა ჰქონოდა,"** - ამბობს ვაჟა ავალიანი.

დაპირისპირება ვაჟა ავალიანსა და ემზარ კვიციანს შორის მას შემდეგ განახლდა, რაც უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის პოზიცია გაიზიარა და პრეზიდენტის რწმუნებული 5 ივნისს კოდორის ხეობის სოფელ გენწვისში გაერო-ს დამკვირვებლების გატაცებაში დაადანაშაულა. ეს ბრალდება ავალიანმა პრესკონფერენციაზე საჯაროდ დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ავალიანი და ემზარ კვიციანი ნათესავები არიან, ავალიანებსა და კვიციანებს შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

**"იმის გამო, რომ არეულობის შემდეგ კოდორის ხეობაში სისხლი არ დაღვრილიყო და მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა დაგვერეგულირებინა, საერთი სახალხო ყრილობა მოვიწვიეთ, სადაც უხუცესთა საბჭოს წევრები აირჩიეს, თავმჯდომარედ კი მე დამნიშნეს. საბჭოს წევრებმა ფიცი დავდეთ, რომ დამნაშავეებს ხელს არ დავაფარებდით და სიმართლეს ვიტყოდით. კვიციანი სწორედ ამან გააღიზიანა და ამის შემდეგ დამიპირისპირდა მეც და ჩემს გვარსაც,"** - გვითხრა ვაჟა ავალიანმა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ავალიანებსა და კვიციანებს შორის სისხლიც არის დაღვრილი. ვაჟა ავალიანის თქმით, კვიციანმა რამდენიმე წლის წინ მოკლა ხვიჩა ავალიანი. ამჟამად, სოსო ავალიანის კვიციანის მხარეზე გადასვლას უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ასე ხსნის: **"ხვიჩა ავალიანიც და ემზარ კვიციანიც თავის დროზე შავი სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ. ერთ-ერთი საქმის გარჩევისას კვიციანმა ავალიანი მოკლა. ზუსტი მიზეზი არ ვიცი. ხვიჩასთან, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ურთიერთობა არ მქონდა. ახლა, როგორც გავიგე, კვიციანი სოსოსთან მისულა და უთქვამს, ვაჟა ავალიანი რომ მებრძვის, შენი ძმა იმიტომ მოვკალიო, თან ფული გადაუხდია. სოსოც ეტყობა ფულმა აცდუნა და გვარს დაუპირისპირდა. ეს ხერხი კვიციანს იმიტომ დასჭირდა, რომ მერე ეთქვა, ავალიანებმა ავალიანები ჩახოცეს და ჩვენ რა შუაში ვართო,"** - ამბობს ვაჟა ავალიანი.



*ემზარ კვიციანი ნადარეიშვილთან და ავალიანთან შერიგებას არ აპირებს.*

გუშინდელ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარისგან რადიკალურად განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი.

**"ინფორმაციის გადასამოწმებლად კოდორში ხალხი გავგზავნე, მაგრამ როგორც მითხრეს, იქ არანაირი თავდასხმა არ მომხდარა. ცოტა ხნის წინ სოსო ავალიანს ყველის გულისთვის თოფის კონდახით მართლაც უცემია თინა ავალიანი, მაგრამ მაშინ ხმა არავის ამოუღია. ახლა ვაჟა ავალიანი ნადარეიშვილს შეეკრა. ვაჟა და სოსო ავალიანების ოჯახებთან მე მართლაც არ მაქვს კარგი ურთიერთობა, ისევე, როგორც თვითონ ვაჟა და სოსო ავალიანების ოჯახები არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულნი. ნადარეიშვილს უნდა, რომ ავალიანი მომაკვლევინოს და ორივე მოგვიშოროს თავიდან. მაგრამ ავალიანი და მე ნათესავები ვართ და ძმის სისხლს არ დავღვრი. სამაგიეროდ, ნადარეიშვილს გავუკეთებ იმას, რასაც დავპირდი. უკვე თბილისში ვარ, დღეიდან შევხვდები დევნილებს და ყველაფერს ვიტყვი ნადარეიშვილის შესახებ. ნადარეიშვილს ამის ეშინია და იმიტომ მიპირისპირებს ახლობელს,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ემზარ კვიციანმა.

ვიდრე ავალიანი და კვიციანი თბილისში მასმედიის საშუალებით უპირისპირდებიან ერთმანეთს, მესტიაში კოდორის ხეობის უხუცესთა ყრილობა შედგა, რომლის მიზანიც სწორედ ორი სვანური დაპირისპირებული გვარის — კვიციანებისა და ავალიანების შერიგებაა. ხეობის უხუცესებმა ორივე მხარის წარმომადგენლებს, მიუხედავად მრავალწლიანი დაპირისპირებისა, შერიგებისაკენ მოუწოდეს, მაგრამ... **"ცხრა წელია, რაც შერიგებას ვითხოვ. რამდენჯერმე შევრიგდით კიდეც, მაგრამ კვიციანს არაფერმა უშველა. არც ახლა ვარ შერიგების წინააღმდეგი, მაგრამ ჯერ უნდა გავიგო, ცოცხლები არიან თუ არა ჩემი და და ძმისშვილები. ამიტომ შერიგებაზე მერე ვისაუბრებ,"** - ამბობს ვაჟა ავალიანი.

შერიგების წინააღმდეგია ემზარ კვიციანი: **"არც ავალიანს შევურიგდები და არც ნადარეიშვილს. ეგენი მარტო ჩემი მტრები არ არიან. საქართველოში გელაევი რომ იყო შემოსული, ნადარეიშვილმა ავალიანს პუტინთან წერილი დააწერინა, კვიციანი ჩეჩნების მხარეს იბრძვისო. ეს არ არის ქვეყნის ღალატი? ყველაფერზე ვაგებინებ პასუხს,"** - იმუქრება კვიციანი.

როდის ან რით დასრულდება კოდორის ხეობაში დაწყებული მორიგი დაპირისპირება, წინასწარ თქმა ძნელია. ფაქტია კი არის ის, რომ ხეობაში კიდევ ერთხელ დაიძაბა სიტუაცია. ვინ ისარგებლებს ავალიანი-კვიციანის კონფლიქტით - შინაური თუ გარეული, მომავალი გვიჩვენებს.

# "ნაციონალური მოძრაობის" და "დემოკრატების" ალიანსი, თუ ბურჯანაძე-ჟვანია-გამყრელიძის ტრიო

პირველი გვერდიდან

მოუწოდებს. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ რომელიმე გაერთიანებაში მხოლოდ პერსონალური გაწევრიანება ბურჯანაძისათვის, სავარაუდოდ, საკმარისი არ აღმოჩნდება. პარლამენტის მუშაობამ ნათლად აჩვენა, რომ პარტიული ან ფრაქციული საყრდენის გარეშე საკმაოდ რთულია სერიოზულ წარმატებებზე ფიქრი. ამიტომაც ლოგიკური იქნება, რომ ბურჯანაძე, რომლის მაღალ რეიტინგზე ბოლო დროს საკმაოდ ბევრს საუბრობენ, გაერთიანებული ოპოზიციის სიებში თავისი მხარდამჭერების შეყვანასაც შეეცდადოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში ექნება მას შედარებით მეტი შანსი იმისა, რომ მომავალ პარლამენტში მისი მოღვაწეობა მხოლოდ დეპუტატის სტატუსით არ შემოიფარგლება. ეს ფაქტორი უდავოდ თავის დაღს დაასვამს პარტიებს შორის მიმდინარე კონსულტაციებს.

შექმნილი სიტუაცია საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აგდებს სხვა ოპოზიციურ ძალებსაც, განსაკუთრებით კი - "ახლებს", რომლებიც თავიდანვე არ გამოირჩეოდნენ ერთიანი საარჩევნო ბლოკისადმი დიდი სიმპათიით.

საბოლოო ჯამში, არ არის გამორიცხული, დიდი ოპოზიციური გაერთიანების ნაცვლად ძალთა სხვაგვარი გადანაწილება მივიღოთ. ამ მხრივ ყველაზე რეალურად ორი ასეთი ვარიანტი გამოიყურება: პირველი - "ნაციონალური მოძრაობის" და "დემოკრატების" ალიანსი; მეორე - ბურჯანაძე-ჟვანია-გამყრელიძის ტრიო.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება საბოლოო კონფიგურაცია, ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას: ოპოზიციის დაუსრულებელი გაურკვევლობა თითოეულ სუბიექტს აზარალებს. ოპოზიციის ამ ნაწილის მხარდამჭერი ამომრჩეველი, დროთა განმავლობაში შესაძლებელია, სულ უფრო გულგრილი გახდეს ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებისადმი. მათი თავდაპირველი მოლოდინი, რომ გაერთიანებული ოპოზიციის სახით შევარდნაძის სისტემის რეალური ალტერნატივა შეიქმნებოდა, დღითიდღე ქრება. კონსულტაციების შინაარსი ნათლად მიუთითებს, რომ ოპოზიციის ამ თაობასაც ძალზე უჭირს საერთო მიზნის მისაღწევად ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. მხოლოდ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა, ან თუნდაც 10-15 პროცენტის მიღება, სახელმწიფოში ჩამოყალიბებულ მართვის და ურთიერთობათა სისტემას ვერ შეარყევს. დღეს შექმნილი სიტუციიდან გამომდინარე, ცალკე აღებულ არც ერთ პარტიას არ ძალუძს პარალამენტში მანდატების უმრავლესობასთან მიახლოებული რაოდენობის მიღება. ფრაგმენტირებული ოპოზიციის პირობებში კი ალბათობა იმისა, რომ მომავალ საკანონმდებლო ორგანოში ძალთა დღევანდელი განაწილების მსგავს ან უარეს სურათს მივიღებთ, საკმაოდ მაღალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყველაფერი ისევე დარჩება, როგორც დღეს არის.

# „თბილგაზის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საქმე აღიძრა

თბილისის პროკურატურაში სს „თბილგაზის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას 2003 წლის თებერვალში თბილისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბუნებრივი აირის საფასურის გადასახადის დასაფარად გამოყოფილი სუბსიდიების - 9.5 მილიონი ლარის - არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში ედება ბრალი. ქალაქის პროკურატურამ საქმე კონტროლის პალატის მასალების საფუძველზე აღძრა.

„თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, რომ არც ერთი თეთრი ამ სუბსიდიიდან არადანიშნულებისამებრ არ დახარჯულა. ამჟამად „თბილგაზის" ხელმძღვანელობის მოთხოვნით კონტროლის პალატა საკითხს ხელმეორედ სწავლობს.

სადავო 9.5 მილიონი გამოიყო „თბილგაზის" 40.000 შეჭირვებული აბონენტისთვის ბუნებრივი აირის საფასურის გადასახდელად. რეალურად კი, თბილისში ამ კატეგორიის 32.000 აბონენტი აღმოჩნდა. დარჩენილი თანხა „თბილგაზმა" კანონის მიხედვით განკარგა და ამ რაოდენობის აბონენტის წინა წლების დავალიანების დასაფარად პროპორციულად გადაანაწილა. სწორედ ამ დოკუმენტს წარუდგენს „თბილგაზი" კონტროლის პალატას.

ვახტანგ ცაავა აცხადებს, რომ ეს „თბილგაზის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თბილისის საკრებულოს მიერ წამოწყებული კამპანიის ნაწილია. თბილისის საკრებულომ უკვე დააყენა „თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი. ცაავას აზრით, ეს „თბილგაზის" მართვის სადავეების ხელში ჩაგდების მიზნით ხდება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# დემოკრატია და არჩევნები

პირველი გვერდიდან

პრობლემათა ეს მცირე ექსკურსი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ პოსტსოციალისტური, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოური ტრანსფორმაცია თვისებრივად განსხვავებული პროცესია და იგი დემოკრატიზაციათა ისტორიულ კლასიფიკაციაში დამოუკიდებელ ადგილს იმსახურებს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ პროცესის წარმატება, ანუ როგორც ამბობენ, "სინათლე გვირაბის ბოლოს", ჯერაც არაა გარანტირებული.

## დემოკრატია და "ჰიბრიდული რეჟიმები"

დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფლება მომდინარეობს ხალხისაგან, შექმნილია ხალხისათვის და კონტროლდება ხალხის მიერ. ყველა ზემომოყვანილი პრინციპის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ხალხის უშუალო მონაწილეობით პოლიტიკურ პროცესებში. პირდაპირი დემოკრატია, ანუ შემთხვევა, როცა მთელი მოსახლეობა იღებს პოლიტიკურ გადაწვეტილებებს, როგორც ეს მაგალითად ბერძნულ პოლისებში ხდებოდა, თანამედროვე ტიპის ტერიტორიულ სახელმწიფოში პრაქტიკულად, იშვიათი გამონაკლისების გარდა (როგორიცაა რეფერენდუმი), შეუძლებელია. ამდენად, მას დღეს ე.წ. წარმომადგენლობითი დემოკრატია ცვლის, ანუ როცა პოლიტიკური ხელისუფლება ხალხის მიერ აირჩევა. არჩევნები ტარდება ღიად და სამართლიანად, რაც ადამიანის პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების, პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობის საუკეთესო გამოვლენაა; არჩევნების რეგულარობა კი ხელისუფლების კონტროლის საუკეთესო საშუალებაა. ამდენად, არჩევნებს დემოკრატიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

დასაწყისში ვთქვით, რომ მსოფლიოში დემოკრატიზების რამდენიმე ტალღა თუ მოქცევა არსებობდა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ არსებობდა მიქცევებიც, ანუ დემოკრატიზაციის პროცესი არ იყო შეუქცევადი და ხშირად ისევ ავტოკრატიის წიაღში ბრუნდებოდა. ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დემოკრატიული მიქცევა-მოქცევის რამდენიმე ეტაპი განვლეს. ანალოგიური ვითარება გვაქვს პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც. თითქმის ყველა ქვეყანა, ბალტიისპირეთის გამოკლებით, 90-იანი წლების შუა ხანებში მიღწეული "დემოკრატიის მწვერვალიდან" ისევ თავქვე დაეშვა და ზოგიერთი ლამისაა წარსულში დაბრუნდა. არადა, თავისუფალი არჩევნები, მეტნაკლები გამონაკლისებითა და დარღვევებით, ყველგან ჩატარდა. გამოდის, რომ არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია. დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის საჭიროა შესაბამისი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება - იგულისხმება სახელმწიფო ინსტიტუტების სისტემა, პოლიტიკური პარტიები და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ლეგიტიმურ და ეფექტურ არხებს შექმნიან. აუცილებელია ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა, რადგან მხოლოდ ძლიერი ეკონომიკური წრეები და მათი სიმრავლე ქმნის მდგრადი პოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბების საფუძველს, ხოლო სოციალური კეთილდღეობის მინიმუმის გარეშე შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რომელიც თავის უფლებებს იცნობს და სათანადოდ იცავს კიდეც. სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ დემოკრატიის კონსოლიდაცია წარმოუდგენელია შესაბამისი პოლიტიკური კულტურის გარეშე, რაც ზოგადად მოსახლეობის კულტურული მოდერნიზების შემადგენელი ნაწილია. ეს კი ისეთი სოციალური ორგანიზმების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს, როგორიცაა, მაგალითად, განათლების სისტემა, ეკლესია და ა.შ.

სისტემური ტრანსფორმაციის გზაზე საქართველო ჯერ კიდევ დასაწყისში იმყოფება და ეს პროცესი არც ხვალ და არც ზეგ არ დასრულდება. ჩვენგვარ ქვეყანას ხშირად "დეფექტურ დემოკრატიას" უწოდებენ. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება ის ნაკლოვანებები, რომელიც დემოკრატიის ფორმალური ნიშნების მქონე ქვეყნებს ახასიათებთ. "დეფექტის" სახეები მრავალგვარია და თითეულს თავისი სახელი მოეძებნება. ჩემი აზრით, საქართველოს სინამდვილეს უფრო "ჰიბრიდული რეჟიმი" უნდა ვუწოდოთ. საქართველოში ჩამოყალიბებული სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები ფორმით თანამედროვე და დემოკრატიულია, ხოლო შინაარსით ტრადიციული (ამ ცნებას მე აქ ჩამორჩენილის სინონიმად ვიყენებ) და ავტოკრატიული. ის, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულება სახელმწიფო ინსტიტუტებში (გავიხსენოთ სულ ახლახან კოდორში განვითარებული მოვლენები), მიუთითებს, რომ სახელმწიფო მხოლოდ შირმა, ზედნაშენია, რომლის უკანაც ფეოდალური წესები ბატონობს. კიდევ უფრო სავალალოა, რომ ამგვარი თამაშის ფორმა თუ წესები აღიარებულია "პოლიტიკური გაერთიანებების" მიერაც, რომლებიც ხშირად არა იდეოლოგიური ინტერესების საფუძველზე იქმნება, არამედ ერთი "ფიურერის" ირგვლივ იკრიბება, აშკარად გამოხატული კლანური ხასიათი აქვს და ამით, არც მეტი არც ნაკლები, მხოლოდ ხელისუფლების სუროგატს წარმოადგენს. ძველი ანეკდოტი მოქალაქეთა კავშირის შესახებ - გარეთ მწვანე, შიგნით წითელი და ალაგ-ალაგ შავი - ზუსტად ასახავს ჩვენი დღევანდელობის ჰიბრიდულ რეალობას.

რაც შეეხება საზოგადოებას, უნდა ითქვას, რომ იგი ჩვენთან, უბრალოდ, არ არსებობს. ის, რასაც "საზოგადოება" შეიძლება ეწოდოს, საკუთარი უფლებების ცოდნითა და ამ უფლებების განხორციელებისათვის მზადყოფნით ხასიათდება. ჩვენთან, პოლიტიკური ტერმინოლოგიით, არსებობს მასა. ხალხი ჩვენთან არაორგანიზებულია და, ამდენად, პოლიტიკურად ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენს. როგორც ისტორია გვიჩვენებს, მასების როლი დემოკრატიზებაში მხოლოდ მარგინალურია. ისინი მაშინ ჩნდებიან ასპარეზზე, როცა ორგანიზებული ჯგუფები (ელიტები) ამას მოინდომებენ, ხოლო როცა მიზანი მიღწეულია, მასებისათვის მიცემული დაპირება ისევ დავიწყებას მიეცემა.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოების კონსოლიდაცია და დემოკრატიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მხოლოდ განვითარებული დემოკრატიისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენს შემთხვევაში კი მასას - ხალხს საყოველთაო ნიჰილიზმი და საზოგადოებრივი, საჯარო მოვლენების მიმართ ინდეფერენტულობა ახასიათებს. პარადოქსია, თუმცა ამ პარადოქსის ახსნა რთული არ არის, რომ გაღარიბებული და მოტყუებული მოსახლეობა, რომელიც მისი უფლებების აშკარა შელახვას ხედავს, ამ უფლებების დასაცავად არათუ არ წამოიმართება და უზნეო ხელისუფლებას წინააღმდეგობას გაუწევს, არამედ პირიქით, ნიჰილიზმში, ფატალიზმში ვარდება და თავის ნაჭუჭში იკეტება. იგი საკუთარ გადარჩენაზე ზრუნავს, მიდის მცირე გარიგებებზე ხელისუფალთან (ან ნათესაობრივ გზას გამონახავს, ანაც კორუფციის მცირე ფორმებს დაყაბულდება) და ამით, ფაქტობრივად, ხელს უწყობს რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობას. მასა არ ენდობა სახელმწიფოს, მაგრამ შედის გარიგებაში მის მოხელესთან. შესაბამისად, სახელმწიფო არის მხოლოდ ფასადი, რომლის მიღმაც ჰიბრიდული რეჟიმის რეალური სახე, ჩამორჩენილი კლანურ-კორუფციული სისტემა იფურჩქნება. ერთი მაგალითი: საქართველოში ხელისუფლებას ირჩევენ ფორმალურად, ხოლო რეალურად არჩევნების ფასადს მიღმა მას უბრალოდ ნიშნავენ.




საქართველოში აქამდე ჩატარებული არჩევნები დარღვევების საკმაოდ მაღალი კოეფიციენტით გამოირჩეოდა.

'24 საათის' ფოტოარქივი

## არჩევნები ყველაფერს ვერ შეცვლის, მაგრამ მის გარეშე არაფერი შეიცვლება

არჩევნები, როგორც აღინიშნა, დემოკრატიის მინიმუმია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არც 2 ნოემბრის საპარლამენტო და არც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად და თავისუფლად ჩატარებით დემოკრატიის საბოლოოდ გამარჯვებასა და კეთილდღეობას არ უნდა ველოდეთ. არჩევნები მხოლოდ რთული გზის დასაწყისი იქნება, მაგრამ ამ ნაბიჯის გარეშე ამ გზას ვერასდროს შევუდგებით. ანუ, მხოლოდ არჩევნები დემოკრატია არაა, მაგრამ არჩევნების გარეშე დემოკრატია არ არსებობს.

რას შეცვლის თავისუფალი არჩევნები თითოეული ჩვენთაგანისათვის? ბევრის ღრმა რწმენით, არაფერს, თუმცა იგი მაინც რამდენიმე კონკრეტულ შედეგს მოიტანს. დღეს არსებულ ვითარებას არ სჭირდება ღრმა ანალიზი, რათა მივხვდეთ, რომ მმართველი რეჟიმი, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში, უთუოდ დამარცხდება. ხელისუფლების ცვლილება იქნება ამ არჩევნების უდიდესი დამსახურება, და არა იმიტომ, რომ ოპოზიცია ბევრად უკეთესია ხელისუფლებაზე, არამედ იმიტომ, რომ შეიქმნება ხელისუფლების მშვიდობიანი, სამართლებრივი, ანუ კონსტიტუციური გზით ცვლის პირველი პრეცედენტი.

ამ პრეცედენტს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისათვის:

* ჩამოყალიბებას დაიწყებს "არჩევითობის თამაშის წესი". ხელისუფლებაში მოსულ დღევანდელ ოპოზიციას ექნება იმის შეგრძნება, რომ, "რაც მოვახერხეთ" ჩვენ, შეიძლება "მოახერხოს" სხვამ. ანუ, მოისპობა "ხელისუფლებაში ქრონიკულად ყოფნის სინდრომი" და დღევანდელ ხელისუფლებას, ოპოზიციაში გადასულს, სამომავლოდ ისევ გაუჩნდება შანსი პოლიტიკური პაექრობის გზით დაბრუნდეს ხელისუფლებაში. ცხადია, ეს სურათი იდეალურია და მისი განხორციელება ბევრად უფრო მტკივნეული იქნება, მაგრამ სხვა შემთხვევაში მთელ საქართველოს "აჭარიზაცია" მოელის.

* ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა გაამყარებს მოსახლეობის ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ხალხს გაუჩნდება რწმენა, რომ აზრს ეკითხებიან და საკუთარი ხმის ერთ ტომარა ფქვილზე გაცვლა არ ღირს. შესაბამისად, გაიზრდება სახელმწიფოს ლეგიტიმურობის საფუძველი, რაც მას არაპოპულარული, მაგრამ გადაუდებელი რეფორმების ჩატარების საშუალებას მისცემს. სახელმწიფოს ეფექტურობის გაზრდა კი კიდევ უფრო გაზრდის მოსახლეობის მხრიდან მისადმი ნდობას, საფუძველს გამოუთხრის კლანურ სისტემას და ნანატრი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანს.

* და ბოლოს, ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი ცვლა (თუ არ ჩავთვლით კომუნისტური მმართველობის პრაქტიკულად არშემდგარ ჩანაცვლებას 1990 წელს), საქართველოს საგარეო ავტორიტეტს ერთიორად გაზრდის. ევროკავშირი, აღმოსავლეთ ევროპის კანდიდატი ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებასა და მათი პოლიტიკური სისტემების სტაბილურობას ხშირად სწორედ იმით ამოწმებს, თუ რამდენჯერ მოხდა ამ ქვეყნებში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა. აქვე მინდა ვთქვა, რომ, ბევრისაგან განსხვავებით, საგარეო ფაქტორს ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესში ბევრად ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან თეორიულადაც და პრაქტიკულადაც დადასტურებულია, რომ სისტემური გარდაქმნების წარმატება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის შიგნით წყდება. საერთაშორისო თანამეგობრობას ამ პროცესში მარტოოდენ მხარდაჭერა შეუძლია.

ისმის კითხვა - როგორ უნდა ჩატარდეს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები?

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უნდა მოხდეს საარჩევნო კანონმდებლობაზე შეთანხმება. მასის, გნებავთ საზოგადოების როლი აქ ძალიან მცირეა. ამგვარი შეთანხმება, თეორიაში მას "ელიტებს შორის პაქტს" უწოდებენ, დავარქვათ თუნდაც აქამდე ნეგატიურად აღქმული გარიგება (ოღონდ თამაშის წესებზე და არა პარლამენტში ადგილებზე) აუცილებლად უნდა მოხდეს და მისი უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმებით გამყარდეს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენნაირი ქვეყნებისათვის უცხო არაა კანონების ფასადს მიღმა ძველი ბილიკებით სიარული. აშშ-ის ელჩის მოსწრებული შენიშვნა, რომ ამ საარჩევნო კოდექსზე მოლაპარაკებები "ქართული წესით" მიმდინარეობს, ალბათ სწორედ ამაზე მიუთითებს. კარგ საარჩევნო კოდექსთან და ცესკო-სთან ერთად, ჩვენ დღეს პრინციპებით, იდეებით აღსავსე პოლიტიკოსებიც გვჭირდება. აქ კი ილიას სიტყვები მახსენდება "მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისაც ვსტირი?" იქნებ ამ არჩევნებმა მაინც დაგვანახოს, რომ ამ გმირს არც "დავით აღმაშენებელი" ჰქვია და არც "ედუარდი". თანამედროვე საქართველოს მომავალი ვერც ძლიერ მეფეზე და ვერც ძლიერ პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული, ჩვენი "ნანატრი გმირი" შეიძლება იყოს მხოლოდ ლეგიტიმური, ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტები.

# გზა ევროკავშირისკენ

## საქართველოს ხელისუფლების სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან შორი-შორსაა

მამუკა დოლიძე
ექსპერტი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა საკითხებში

დღესდღეობით, ევროკავშირისათვის საქართველო წარმოადგენს "ევროკავშირის გაფართოების საზღვრებს მიღმა მყოფ ქვეყანას", როგორც გეოგრაფიული, ასევე განვითარების დონის თვალსაზრისით; ევროპული ინტეგრაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ქვეყნებს შიგნით მიმდინარე პროცესებზე და ევროპიზებისაკენ ორიენტირებულ გარდაქმნებზე.

ევროპის დამოკიდებულება ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით დღეს, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურია. საქართველოს მთავრობამ აშკარად განაცხადა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ევროატლანტიკურ გაერთიანებაში და ევროკავშირში ინტეგრაცია წარმოადგენს. აღნიშნული განცხადებისაგან განსხვავებით, ხელისუფლებას არა აქვს აღებული ის კურსი, რომელიც ინტეგრაციამდე რეალურად მიგვიყვანს. არსებული რეჟიმი საერთო დემოკრატიული ვალდებულებების შესრულებაში მოიკოჭლებს; შეინიშნება სამოქალაქო საზოგადოების ამ პროცესში მონაწილეობის აშკარა დეფიციტი და, როგორც ჩანს, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, მონოპოლია აქვს აღებული ევროკავშირში გაერთიანების საკითხებთან დაკავშირებით. ძალზე ბევრი წინააღმდეგობა არსებობს საქართველოს მიერ ოფიციალურად განცხადებულ ევროპიზების კურსსა და მთავრობის მოქმედებას შორის.

თუ საქართველოს ხელისუფლება ეცდება, თავისი საქმიანობა უფრო აქტიურად მიმართოს ევროპული ღირებულებებისა და დემოკრატიისაკენ და გააფართოებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის პროცესს, მაშინ ევროპა ნამდვილად გამონახავს საქართველოსათვის საერთაშორისო როლს და ადგილს. საქართველო წარმოადგენს ევროსაბჭოს წევრ ქვეყანას, შესაბამისად, მან გაიზიარა საერთაშორისო სამართლისა და თანამედროვე ევროპის პოლიტიკური ნორმები.

როდესაც 2003 წლის 11 მარტს გამოქვეყნდა დოკუმენტი ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკის შესახებ (wider europe - ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ევროკავშირის ურთიერთობებს მის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებთან), სადაც საქართველო არ იყო დასახელებული ევროკავშირის მომავალ მეზობელ ქვეყანათა შორის ბელორუსთან, რუსეთთან და უკრაინასთან ერთად, თბილისს ევროპისათვის მადლობა უნდა გადაეხადა, რომ მათ ჩვენ არ შეგვიყვანეს ევროკავშირის მუდმივ მეზობელთა უპერსპექტივო ჯგუფში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დოკუმენტის პასუხად, თბილისმა ევროკავშირის წინააღმდეგ საპროტესტო კამპანია წამოიწყო.

მთავარი მაინც ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც ოფიციალური განცხადება შეუტანია და არც რეალური ვალდებულება აულია ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. სამწუხაროდ ისე ჩანს, რომ ისინი ამას უახლოეს მომავალში არც აპირებენ. საფიქრებელია, რომ საქართველოში არავის ესმის მაასტრიხტის ხელშეკრულებისა და მისი 49-ე მუხლის მნიშვნელობა, რომლის თანახმად, ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განცხადებით მიმართოს ევროკავშირს გაწევრიანების შესახებ. ხორვატიამ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა 2003 წლის 20 თებერვალს და 2003 წლის 14 აპრილს საბჭომ კომისიას სთხოვა, წარმოედგინა თავისი მოსაზრება ამ განცხადებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 8 ივლისს ევროკავშირის ე.წ. სამეულის ვიზიტი საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, განცხადების გაკეთების თვალსაზრისით. საჭიროა გაიმართოს უფრო ინტენსიური დისკუსიები სამეულის ვიზიტის დღის წესრიგისა და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის შესახებ. განსახილველი თემა შეიძლება იყოს ევროპის გაფართოების ინიციატივა და საქართველოს ევროპეიზაციისთვის ვალდებულებების ჩამოყალიბება - გაყინული კონფლიქტები და ევროკავშირის როლი, გალის რაიონში ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები და ტერორისტული დაჯგუფებები აფხაზეთში, სამართლის დემოკრატიული ნორმები და მოახლოებული არჩევნები.

2003 წლის 8 მაისს ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდამჭერ დეკლარაციაზე ხელმოწერით, საქართველოს პარლამენტის თხუთმეტივე ფრაქციამ მხარი დაუჭირა ევროპულ სახლში გაერთიანებას. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს ოფიციალური განცხადების გაკეთება საქართველოს მიერ ევროპული წესით ცხოვრების ვალდებულების აღების სადემონსტრაციოდ. ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ოფიციალური განცხადება შესაძლოა გახდეს ქვეყნის სტაბილურობის, უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკაში და შეუძლია, ზემოქმედება მოახდინოს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის დამყარების პროცესზე. ამისათვის საჭიროა ახალი დიალოგის გამართვა ევროკავშირსა და საქართველოს შორის; ევროკავშირი უნდა დარწმუნდეს, რომ აუცილებელია სამხრეთ კავკასიაში სტაბილიზაციის "ექსპორტი" და დესტაბილიზაციის "იმპორტის" აღკვეთა; ეს უნდა იქცეს ევროკავშირის ახალ ამოცანად უსაფრთხოების სფეროში.

საქართველოსათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესი, რომელიც არეგულირებს ევროკავშირის ურთიერთობებს ბალკანეთის ხუთ სახელმწიფოსთან (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ხორვატია, მაკედონია და სერბეთ-მონტენეგრო). ევროკავშირმა სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესს საფუძველი ჩაუყარა 2000 წელს - როგორც რეგიონის წინაშე გრძელვადიან ვალდებულებას. სასურველია, ასეთი ვალდებულება ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობაშიც აიღოს.

რაც შეეხება საქართველოს, გადაუდებელი ამოცანაა, როგორც ითქვა, გაწევრიანების შესახებ განცხადების შეტანა; შემდეგ კი, მოლაპარაკებების გამართვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, აგრეთვე - იმ რეფორმების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ევროკავშირის სტანდარტების დანერგვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მცირე, "მეზობელი ქვეყანა – საქართველო" მოკრძალებული სურვილის მქონე ქვეყნად უფრო მოიაზრება, ვიდრე ხანგრძლივ და მჭიდრო თანამშრომლობაზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ.



## საავტომობილო გზების დეპარტამენტი - ფულის უძირო ორმო

საქართველოსა და ავსტრიის 1989 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულების შესაბამისად, შპს "მეტეხს" ერიცხება სესხი 89.6 მილიონი ევროს ოდენობით. **ამჟამად შპს "მეტეხის" დავალიანებაა 1.9 მილიონი ევრო.**

საქართველოსა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის 1994 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, სესხები გაიცა თბილისის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, სენაკისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებზე. სესხის მცირე ნაწილი 22.4 ათასი აშშ დოლარის ოდენობით დაფარული აქვს მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს და მასვე ერიცხება ყველაზე ნაკლები დავალიანება. ფინანსთა სამინისტრომ ქალაქ ჭიათურის გამგეობასთან 2002 წლის 29 ნოემბერს დადო ახალი საკრედიტო ხელშეკრულება და ამჟამად ჭიათურას არ ერიცხება დავალიანება. **ამ კრედიტზე მუნიციპალიტეტებს ერიცხებათ დავალიანება ჯამში 2 მილიონ აშშ დოლარზე მეტი.**

მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 13 აპრილის N210 დადგენილებით, ს/ს "თბილისის აეროპორტს" გადაეცა სესხი 1.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ფინანსთა სამინისტროსა და ს/ს "თბილისის აეროპორტს" შორის 2001 წლის 25 დეკემბერს შემდგარი შეთანხმებით მოხდა სესხის რესტრუქტურიზაცია და ს/ს "თბილისის აეროპორტს" ამჟამად დავალიანება არ ერიცხება.

საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის 1996 წლის 31 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, სესხი გაიცა შპს "საქართველოს რკინიგზაზე" და საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტზე. შპს "საქართველოს რკინიგზამ" სესხი დაფარა მთლიანად, ხოლო **საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტს ერიცხება დავალიანება 2.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.**

საქართველოსა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის 1997 წლის 14 აპრილის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ნავთობის კორპორაციას გადაეცა სესხი 1.4 აშშ დოლარის ოდენობით. სნსკ დროულად ფარავს თავის ვალდებულებებს ბიუჯეტის მიმართ და მას ამჟამად საერთოდ არ ერიცხება დავალიანება.

საქართველოსა და გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის 1998 წლის 4 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, ს/ს "მიკროსაფინანსო ბანკს" გადაეცა სესხი 3.5 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით. ს/ს "მიკროსაფინანსო ბანკი", პრინციპში, დროულად ფარავს თავის ვალდებულებებს ბიუჯეტის მიმართ და ამჟამად ერიცხება სარგებლის პროცენტის დავალიანება 61 გერმანული მარკის ოდენობით.

საქართველოსა და გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის 1998 წლის 28 აპრილის ხელშეკრულების შესაბამისად, ს/ს "ელექტროგადაცემამ" მიიღო 14.5 მილიონი გერმანული მარკა ოდენობის სესხი. **ს/ს "ელექტროგადაცემას" ამჟამად ერიცხება 444.5 ათასი გერმანული მარკის ოდენობის დავალიანება.**

საქართველოსა და AES-კორპორაციის 1999 წლის 22 დეკემბრის თბილსრესის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, AES-მტკვარმა გადაიბარა თბილსრესის სესხი 36 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. **AES-მტკვარს ერიცხება სარგებლის პროცენტის დავალიანება 784.5 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.**

საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ასოციაციის 2000 წლის 26 ივლისის ხელშეკრულების შესაბამისად, სესხი კვლავ მიიღო **საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა და მას ამჟამად ერიცხება დავალიანება 24.3 ათასი აშშ დოლარი.**

საქართველოსა და კუვეიტის ფონდის 2002 წლის 7 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, სესხი კვლავ მიიღო **საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა და მას ამჟამად ერიცხება დავალიანება 22.3 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

## მთავრობას ცხელ-ცხელება ეწყება

### დღეს სავალუტო ფონდის მისია ჩამოდის

სოფო კვინტრაძე

*თბილისს დღეს სავალუტო ფონდის მისია ეწვევა პაოლო ნეუჰაუზის ხელმძღვანელობით. მთავრობასთან ოფიციალური შეხვედრები ხვალიდან დაიწყება. ნეუჰაუსი სხვადასხვა უწყებებში ფონდის რეკომენდაციების შესრულებას გაეცნობა. საქართველოს მთავრობაში ღიად აცხადებენ, რომ ეს მისია ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იქნება, რადგან 3 ივლისის სამახსოვრო მემორანდუმზე ქვეყნის მომავალია დამოკიდებული.*



პაოლო ნეუჰაუზის 3 ივლისის მემორანდუმი საქართველოს მთავრობისთვის განაჩენის ტოლფასი იქნება.

სავალუტო ფონდის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე სახელმწიფო კანცელარიაში ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ჯეროენ კრემერსის წერილზე ალაპარაკდნენ. ის მიმართულია სახელმწიფო მინისტრისადმი და კიდევ ერთხელ ახსენებს ქვეყნის მთავრობას შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ. კრემერსის სიტყვებით, უპირველეს პრობლემად კვლავ რჩება ბიუჯეტის გარღვევა და ენერგეტიკაში ამოღების უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი. სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დღის წესრიგში აყენებს აგრეთვე ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ავტონომიის უზრუნველყოფის საკითხსაც, რაშიც ელექტროენერგიის ტარიფის კვლავ გაზრდის მოთხოვნა იგულისხმება. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი კი, ჯიუტად ამტკიცებს, რომ მის უწყებას ფონდთან პრობლემები არ შეექმნება, რადგან ქვეყანაში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლი 88 პროცენტამდე ავიდა. დავით მირცხულავა ამოღების მაჩვენებლის გაზრდაში თითქმის მთლიანად ჩაბნელებულ საქართველოს და შესაბამისად, ქალაღდზე გაზრდილ ამოღებას გულისხმობს. ხოლო რაც შეეხება ტარიფის კვლავ გაზრდას, მირცხულავას აზრით, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია.

თავს იმხნევებს ფინანსთა მინისტრიც. ფისკალური გარღვევის თავიდან ასაცილებლად მირიან გოგიაშვილმა ბიუჯეტის 85 მილიონი ლარით შეკვეცა გადაწყვიტა. სავალუტო ფონდის თებერვლის მისიამ კი, სამახსოვრო მემორანდუმში საკმაოდ მკაცრად დააფიქსირა, რომ მიმდინარე წელს აუცილებელი იყო ბიუჯეტის 113 მილიონი ლარით კორექტირება. რაც გულისხმობს 70,7 მილიონი ლარით ხარჯვითი ნაწილის შემცირებას, ხოლო 42,3 მილიონი ლარით საგადასახადო შემოსავლების გაზრდას. ფინანსთა სამინისტრო კი, ჯერჯერობით მხოლოდ ხარჯვით ნაწილს ამცირებს 85 მილიონით.

შეუსრულებელ ვალდებულებებს შორის კრემერსი ასახელებს სახელმწიფო წილით მომუშავე საწარმოთა აუდიტის განხორციელებას და აღმასრულებელი ხელისუფლების რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარებას. აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად მთავრობას საკმაო დრო ჰქონდა. მიუხედავად სავალუტო ფონდის თებერვლის მისიის მკაცრი შეფასებებისა, ხელისუფლებამ მაინც ვერ მოახერხა ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნების შესრულება. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე აცხადებს, სავალუტო ფონდის მისია იოლი არასოდეს ყოფილა საქართველოსთვის, თუმცა, ინვისი განსაკუთრებულად "ცხელი" იქნება.

ჯეროენ კრემერსის წერილში საუბარია მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებზეც, რომელთა მიღება საქართველოს პარლამენტს ევალებოდა. ის იმედს გამოთქვამს, რომ ნინო ბურჯანაძე დაპირებისამებრ მოახერხებს პარლამენტის სპეციალური სხდომის მოწვევას, სადაც საგადასახადო კოდექსის მეორე და მესამე მოსმენით მიღება მოხდება. გიორგი ისაკაძის განცხადებით, კი პარლამენტმა ასევე აუცილებლად უნდა დაამტკიცოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიღებული კანონის თანმდევი ცვლილებებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისაკაძის თქმით, ამ კანონს ძალა არ ექნება და საქართველოს FATF-ის შავ სიაში მოხვედრა არ ასცდება. გუშინ სახელმწიფო მინისტრმა წერილი გაუგზავნა პარლამენტის თავმჯდომარეს, სადაც იგი ნინო ბურჯანაძეს ფონდის რეკომენდაციების საკანონმდებლო ნაწილის შესრულებაში დახმარებას სთხოვს.

მთავრობა ცალსახად აღიარებს - სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ ქვეყანა ფონდთან ურთიერთობის გაწყვეტის აშკარა საფრთხის წინაშე დგას. როგორც ცნობილია, სავალუტო ფონდის პროგრამა ამჟამადაც შეწყვეტილია. თუ იგი არ განახლდა, საქართველოს სერიოზული პრობლემები შეექმნება პარიზის კლუბში ვალების გადავადებისა და დონორი ორგანიზაციებიდან გრანტების მიღების საკითხებში.

## რეექსპორტი გირაოს სანაცვლოდ

### აქციზის გადასახადები სამხრეთ კავკასიაში

ვაჟა პეტრიაშვილი

წარმოგიდგენთ სამხრეთ კავკასიის (საქართველოს, სომხეთი და აზერბაიჯანი) აქციზური გადასახადებით დაბეგვრის შედარებით ანალიზს.

აზერბაიჯანში აქციზის გადასახადს არეგულირებს საგადასახადო კოდექსის მე-12 თავი, ხოლო ტარიფები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ განისაზღვრება.

საქართველოში აქციზის გადასახადს არეგულირებს საგადასახადო კოდექსის მე-19 კარი და საგადასახადო კოდექსის 273 მუხლი (გარდამავალი დებულებები), რომლითაც დაწესებულია განსაკუთრებული დებულებები მსუბუქი ავტომობილებისათვის (მე-2 პუნქტი), თამბაქოს ნაწარმისათვის (მე-13 პუნქტი) და ნავთობპროდუქტებისათვის (38-ე პუნქტი).

სომხეთში აქციზის გადასახადს არეგულირებს კანონი "აქციზის გადასახადის შესახებ", კანონი "სომხეთის რესპუბლიკაში შემოტანილ დიზელის საწვავზე, ბენზინზე ფიქსირებული გადასახადის შესახებ" და კანონი "თამბაქოს ნაწარმზე ფიქსირებული გადასახადის შესახებ".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ანალიზის მიზნებისათვის არაპირდაპირი გადასახადებისათვის განსაკუთრებული რეჟიმები განხილული იქნება, როგორც აქციზი.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კანონმდებლობით აქციზი წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც იმპორტის (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების) ან საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად გადაიხდება.

ამასთან, სამივე ქვეყნის კანონმდებლობით აქციზის გადასახადის გადამხდელები არიან პირები, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური, რომლებიც აწარმოებენ აქციზურ საქონელს ან ახორციელებენ იმპორტს შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ არის რამდენიმე განსხვავება:

აზერბაიჯანში აქციზის გადამხდელად ითვლება პირი რეზიდენტი, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, უშუალოდ ან სხვისი მეშვეობით აწარმოებს აქციზურ საქონელს და არ დგას აღრიცხვაზე ამ ქვეყანაში გადასახადის გადამხდელად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემა შესაბამისი პირის მიერ გამოშვებულ საქონელს არსებულ ბაზარზე არაკონკურენტულ პირობებში აყენებს, ამასთან მისი ადმინისტრირება საკმაოდ რთულია.

საქართველოს კანონმდებლობით, საწარმოს ფილიალები და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფები არიან აქციზის დამოუკიდებელი გადამხდელები;

სომხეთში გადასახადის გამოთვლასა და გადახდაზე პასუხისმგებელია დამკვეთი, თუ ის აწვდის ნედლეულს დაკვეთის შემსრულებელს და შემსრულებელი რეგისტრირებულია სომხეთის რესპუბლიკაში დადგენილი წესით, ხოლო თუ დამკვეთი დაკვეთის შემსრულებელს აწვდის ნედლეულს და დაკვეთის შემსრულებელი არ არის რეგისტრირებული სომხეთის რესპუბლიკაში დადგენილი წესით გადასახადის გამოთვლასა და გადახდაზე პასუხისმგებელი არის მწარმოებელი ანუ დაკვეთის შემსრულებელი;

სომხეთში აქციზის გადასახადის გადამხდელად დამგირავებელი ითვლება, თუ გირაოს ობიექტი (აქციზური საქონელი) დამგირავებლის განკარგულებაში. გადავა

აზერბაიჯანში ადგილობრივი წარმოების პროდუქტისათვის დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის საწარმოდან გატანა, სომხეთში - საქონლის მიწოდება. საქართველოში კი, დაბეგვრის ობიექტია როგორც საქონლის მიწოდება, ასევე - საქონლის საწყობიდან გატანა. საქონლის იმპორტის დროს სამივე ქვეყანაში დაბეგვრის ობიექტია იმპორტი.

აზერბაიჯანში, საქართველოში და სომხეთში დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება:

აზერბაიჯანში დასაბეგრი ოპერაციის თანხად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისათვის ითვლება თანხა, რომელიც უნდა მიიღოს (მოხდა საქონლის საწყობიდან გატანა და არ მომხდარა ანაზღაურება) ან მიიღო გადასახადის გადამხდელმა დამკვეთისაგან ან სხვა პირისაგან დღგ-სა და აქციზის გამოკლებით, მაგრამ ეს თანხა აღნიშნული საქონლის საბაზრო საბითუმო ფასზე ნაკლები არ უნდა იყოს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლისათვის კი გამოიყენება გაზომვის ნატურალური ერთეულები ანუ საქონლის რაოდენობა, მოცულობა, წონა, რომელიც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით.

სომხეთში გამოიყენება მხოლოდ დაბეგვრის ნატურალური ერთეულები როგორც ადგილობრივ, ასევე იმპორტირებულ საქონელზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 კარით (აქციზი) დასაბეგრი ოპერაციის თანხის განმარტება აზერბაიჯანში ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრის დროს გამოყენებული განმარტების ანალოგიურია ანუ იბეგრება ღირებულება და არა მოცულობა (რაოდენობა). იმპორტის დროს კი დასაბეგრი ოპერაციის თანხად ითვლება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულება, მაგრამ არანაკლებ საქონლის საბაზრო საბითუმო ფასისა, დღგ-სა და აქციზის გამოკლებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ალკოჰოლური სასმელებისათვის დასაბეგრ ოპერაციად ითვლება ალკოჰოლური სასმელების მოცულობა და არა თანხა. იგივე მეთოდი გამოიყენება საგადასახადო კოდექსის 273 მუხლით, სადაც მოცემულია თამბაქოს ნაწარმისა და ნავთობპროდუქტების ზოგიერთი სახის დაბეგვრის დროებითი რეჟიმები.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში მრავალჯერადად გამოყენებული დასაბრუნებელი ტარის ღირებულება არ შედის.

დასაბეგრი ოპერაციის დრო ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისათვის სამივე ქვეყანაში სხვადასხვანაირად განისაზღვრება:

აზერბაიჯანში ეს არის საწარმოო შენობა-ნაგებობის ფარგლებს გარეთ დასაბეგრი პროდუქციის გატანა;

საქართველოში ეს არის საქონლის მიწოდების (გადაცემის) მომენტიდან 90 დღე ან განაღდების მომენტი, თუ განაღდება მოხდა საქონლის მიწოდებიდან (გადაცემიდან) 90 დღის გასვლამდე. მარკირებას დაქვემდებარებული საქონლისათვის, კი დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება საქონლის მიწოდების მომენტი.

სომხეთში არ არის განსაზღვრული დასაბეგრი ოპერაციის დრო, თუმცა საანგარიშო პერიოდად შიდა წარმოების საქონელზე ითვლება ყოველი თვე.

იმპორტის დროს კი დასაბეგრი ოპერაციის დროდ საქონლის იმპორტის მომენტი ითვლება.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების აქციზური საქონლისათვის საანგარიშო პერიოდად ითვლება დაბეგვრის ოპერაციის განხორციელებიდან მომდევნო თვე.

საანგარიშო პერიოდი იმპორტული საქონლისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოში განისაზღვრება საბაჟო გადასახადისათვის მიღებული პროცედურების შესაბამისად. ხოლო სომხეთში - იმპორტიდან მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში, სომხეთის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესის მიხედვით. სომხეთში გამოყენებული წესი ართულებს ადმინისტრირების პროცედურას და ქმნის გადასახადის გადახდის თავის არიდებისათვის უფრო ნაყოფიერ გარემოს.

გადასახადის გადახდის ვადა აზერბაიჯანში განისაზღვრება დაბეგვრის ოპერაციის განხორციელებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, საქართველოში - 10 რიცხვამდე, ხოლო სომხეთში - 15 რიცხვამდე.

საქართველოსა და აზერბაიჯანში მოქმედებს ნორმა, რომლის მიხედვითაც, თუ გადამხდელს დროის რომელიმე მომენტისათვის აქვს აქციზის ვადაგადაცილებული დავალიანება, მაშინ ამ დავალიანების წარმოქმნის მომენტიდან მას ეკრძალება საქონლის მიწოდება მასზე აქციზის გადაუხდელად. ამ შემთხვევაში, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას აქციზი გადაიხდება ოპერაციის განხორციელების მომენტში.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში გამოიყენება ჩათვლის მექანიზმი საწარმოო რესურსებზე გამოყენებული აქციზური პროდუქციისათვის ანუ პირს, რომელიც ყიდულობს ან ახორციელებს აქციზით დაბეგრილი ნედლეულის იმპორტს და იყენებს მას სხვა აქციზური საქონლის საწარმოებლად მისი შემდგომი მიწოდებისათვის, უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა შესაბამისი საქონლის საწარმოებლად შეძენილ საქონელზე გადახდილი აქციზის ოდენობით. ამასთან, უნდა აღინიშნოს ეროვნული კანონმდებლობების გარკვეული თავისებურებანი:

აზერბაიჯანში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული პროპორციული ჩათვლის სისტემა, ანუ ჩათვლა არ არის მიბმული აქციზური ნედლეულის კონკრეტულ დანახარჯებთან კონკრეტული აქციზური საქონლის ერთეულზე.

საქართველოში გადასახადის ჩათვლა დამოკიდებულია რეალიზებულ პროდუქციაში გამოყენებული აქციზური ნედლეულის ღირებულებაზე. ამასთან, ნებადართულია აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება იმ აქციზურ საქონელზე, რომელიც გამოიყენება:

ნიმუშის სახით ანალიზის ჩატარების ან წარმოების პროცესში აუცილებელი შემოწმებისათვის;

სამეცნიერო კვლევისათვის;

საავადმყოფოების და აფთიაქების სამედიცინო მიზნებისათვის.

სამივე ქვეყანაში ჩათვლის განხორციელებისას საგადასახადო ორგანოებში გადასახადის გადამხდელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც ადასტურებს გადასახადის გადახდის ფაქტს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთში აქციზის ჩათვლის უფლება ეძლევა პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული გადამხდელად.

გადასახადის დაბრუნების ვადები აითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი საბუთების წარმოდგენიდან და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვაა:

აზერბაიჯანი – 45 დღე;

საქართველო - 15 დღე;

სომხეთი - 30 დღე.

აზერბაიჯანისა და საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აქციზის დაბრუნებას რეექსპორტის დროს რეექსპორტის ფაქტობრივი მოცულობის შესაბამისად. ამასთან, აზერბაიჯანისა და საქართველოს კანონმდებლობა რეექსპორტისას ითვალისწინებს გირაოს დატოვებას (საქართველოს შემთხვევაში შესაძლებელია საბანკო გარანტიაც). საბანკო გარანტიის ან გირაოს შემთხვევაში, საქონლის საქართველოდან რეექსპორტისას უქმდება საბანკო გარანტია ან გადამხდელს უბრუნდება გირაოს სახით დატოვებული საქონელი, ფაქტობრივად, გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში მოქმედებს შეღავათები გარკვეულ საქონელსა და ოპერაციებზე. აზერბაიჯანსა და საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა, ტრანზიტი და რეექსპორტი გათავისუფლებულია აქციზის გადასახადისაგან. სომხეთში გათავისუფლებულია ექსპორტი და იმ საქონლის იმპორტი, რომელიც შემოდის ქვეყნის ტერიტორიაზე სომხეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გარდა "თავისუფალი მიმოქცევაში გაშვების" რეჟიმისა და საქონელი, რომელიც ამ ტერიტორიიდან გაიტანება.

ფიზიკური პირის მიერ იმპორტირებული სიგარეტი მცირე რაოდენობით გათავისუფლებულია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში აზერბაიჯანში და საქართველოში, ასევე გათავისუფლებულია ალკოჰოლური სასმელის იმპორტი, შესაბამისად, 3 და 2 ლიტრი, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული ავტომობილის ავზში არსებული საწვავი. უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთში მოქმედებს ნორმა, რომლის მიხედვითაც აქციზის გადასახადიდან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი საქონელი, რომლის მაქსიმალური რაოდენობა ან ღირებულება განსაზღვრულია სომხეთის საბაჟო კანონმდებლობით. გარდა ზემოთაღნიშნულისა, საქართველოსა და სომხეთში რამდენიმე სხვა სახის შეღავათი მოქმედებს.

#### დაბეგვრის ობიექტი

| წარმოშობა | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| ადგილობრივი წარმოება | საწარმოდან გატანა | მიწოდება და/ან საწყობიდან გატანა | საქონლის მიწოდება |
| იმპორტირებული | იმპორტი | იმპორტი | იმპორტი |

#### საანგარიშო პერიოდი და გადახდის ვადები

| წარმოშობა | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| ადგილობრივი საქონლის დაბეგვრის პერიოდი | დაბეგვრის ოპერაციის განხორციელების მომდევნო თვე | დაბეგვრის ოპერაციის განხორციელების მომდევნო თვე | დაბეგვრის ოპერაციის განხორციელების მომდევნო თვე |
| ადგილობრივი საქონლის გადახდის ვადა | 20 რიცხვამდე | 10 რიცხვამდე | 15 რიცხვამდე |
| იმპორტირებული საქონლის დაბეგვრის პერიოდი | საბაჟო გადასახადის პროცედურების შესაბამისად | საბაჟო გადასახადის პროცედურების შესაბამისად | იმპორტიდან განსაზღვრული ვადა |
| იმპორტირებული საქონლის გადახდის ვადა | თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე | თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე | 10 დღე |

#### აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში მოქმედი აქციზიდან გათავისუფლებები [illegible]

| | შეღავათის დასახელება | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 200 ცალი | 400 ცალი | [illegible] |
| 2 | [illegible] | 3 ლიტრი | 2 ლიტრი | | |
| 3 | [illegible] | + | + | | |
| 4 | [illegible] | + | + | | |
| 5 | [illegible] | + | + | | |
| 6 | [illegible] | + | + | | [illegible] |
| 7 | [illegible] | | + | | |
| 8 | [illegible] | | + | | |
| 9 | [illegible] | | + | | [illegible] |
| 10 | [illegible] | | + | | |
| 11 | [illegible] | | | + | |
| 12 | [illegible] | | | + | |
| 13 | [illegible] | | | + | |
| 14 | [illegible] | | | + | |

# ინდოეთის პრემიერის ისტორიული ვიზიტი ჩინეთში



ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ატალ ბიჰარი ვაჯპაიი

რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ატალ ბიჰარი ვაჯპაიი ჩინეთს ეწვია. ზოგიერთების აზრით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ახალი ეპოქა დაიწყო. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ინდოეთის პრემიერ-მინისტრი პირველად ეწვია პეკინს.

ინდოეთის კონსერვატორმა თავდაცვის მინისტრმა ჯორჯ ფერნანდესმა ამ ვიზიტს "მეგობრული" უწოდა. ამავდროულად, ანალიტიკოსები პროგნოზების გაკეთებას ცდილობენ - მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნების ურთიერთობებში ვაჯპაიის ვიზიტი გარღვევას მოახდენს, თუ - არა.

ჩინეთსა და ინდოეთს შორის ომიდან 40 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს ჰარმონიული დღემდე არ ეთქმის. მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის საზღვარი დადგენილი არაა. თითოეულ მათგანს მეორის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს.

წლების განმავლობაში სამუშაო ჯგუფები რუკებით ხელში ამაოდ დადიან დელიდან პეკინში და პირიქით, რათა 4000-კილომეტრიანი საზღვარი საბოლოოდ განსაზღვრონ. ჩინეთი გაღიზიანებას ვერ მალავს, რომ ინდოეთი დალაი ლამას და დევნილობაში მყოფ ტიბეტის მთავრობას თავშესაფარს აძლევს. თავის მხრივ, ინდოეთი პაკისტანსა და ჩინეთს შორის ახლო ურთიერთობებით, განსაკუთრებით, სამხედრო სფეროში, არის შეშფოთებული.

დასავლური საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ ამ მთავარი საკითხებიდან ვაჯპაიი პეკინში ვიზიტისას არც ერთს არ შეეხება. ამ საკითხების დაურეგულირებლად კი ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა და უნდობლობა არ დასრულდება.

ანალიტიკოსების აზრით, ჩინეთისა და ინდოეთის ლიდერების "დაშაქრული" რიტორიკა, ნაწილობრივ, მსოფლიოში გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგია. დელი და პეკინი აშშ-ს ომს ტერორიზმის წინააღმდეგ ყურადღებით აკვირდებიან. შექმნილი ვითარებით, რეალურად, ორივემ ისარგებლა. ჩინეთმა ვაშინგტონს სეპარატისტული მოთხოვნების მქონე სინძიანის რეგიონში მებრძოლი უიღურები ტერორისტების სიაში შეაყვანინა. თავის მხრივ, ინდოეთმაც მიაღწია იმას, რომ ამერიკამ ქაშმირელი მებრძოლები საჯაროდ დაგმო.

თუმცა, ამერიკის სამხედრო აქციებმა ავღანეთსა და ერაყში ორივე ქვეყნის მთავრობები შეაშფოთა. მართალია, ისინი ამერიკის ქმედებებს ღიად არ დაპირისპირებიან, მაგრამ ამერიკის პოლიტიკას ორივე ეწინააღმდეგება.

ექსპერტების აზრით, აზიაში ამერიკის ძალის დასაბალანსებლად, შესაძლოა, ჩინეთისა და ინდოეთის კავშირი გამოდგეს. ამგვარი ალიანსის შექმნა, განსაკუთრებით, პეკინს სურს, რადგან ვაშინგტონისა და დელის მჭიდრო თანამშრომლობით ძალზე შეშფოთებულია.

ჩინელი ანალიტიკოსების აზრით, უარესი სცენარის განვითარების შემთხვევაში, აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო კრიზისის დროს პეკინის წინააღმდეგ, შესაძლოა, ინდოეთი და ვაშინგტონი ერთად გამოვიდნენ.

თუმცა, პეკინს ინდოეთის გულის მოგება ძალიან გაუჭირდება. ორ ქვეყანას შორის უნდობლობას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი. ინდოეთმა საკუთარი ბირთვული იარაღი ჩინეთიდან მომდინარე საფრთხის დასაბალანსებლად შექმნა. რამდენიმე წლის წინ ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ჯორჯ ფერნანდესმა ჩინეთს "ნომერი პირველი მტერი" უწოდა. ინდოეთში ჩინეთის შესაძლო ექსპანსიას ბევრი სერიოზულად განიხილავს.

ერთი ინდოელი ანალიტიკოსის თქმით, "ჩინეთი მრავალპოლუსიან მსოფლიოზე ლაპარაკობს, მაგრამ თავად ერთპოლუსიანი აზია სურს".

პოლიტიკური საკითხებისაგან განსხვავებით, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა სწრაფად ვითარდება. პეკინში ვაჯპაიიმ ბიზნესმენთა დიდი დელეგაცია წაიყვანა. დაგეგმილია ერთობლივი საწარმოების დაარსება და ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნა.

იაფფასიანმა ჩინურმა საქონელმა ინდოეთის ბაზრები წალეკა. ამავდროულად, საერთაშორისო ბაზარზე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სატელეფონო მომსახურების სფეროში ინდოეთის არნახულ წარმატებას ჩინეთი ყურადღებით ადევნებს თვალყურს. ეკონომისტების აზრით, ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება ორივე ქვეყანას ხელს აძლევს.

ამჟამად, ორ სახელმწიფოს შორის ვაჭრობის მოცულობა არცთუ ისე დიდია – წლიურად 5 მილიარდი ამერიკული დოლარი. 2010 წლისთვის მთავრობები ამ მაჩვენებლის გასამმაგებას ვარაუდობენ.

დასავლელი ექსპერტების აზრით, ეს შეხვედრა პოლიტიკური თვალსაზრისით, შესაძლოა, ძალზე მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდეს, მაგრამ ორ სახელმწიფოს შორის ბიზნესის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს.

# უნდა იყოს თუ არა ღმერთი კონსტიტუციაში

პირველი გვერდიდან

ინგლისსა და ნორვეგიაში. ორივე ქვეყანაში სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება - გაწყდეს კავშირი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. "ღვთის გულისათვის, ეს თეოკრატია ხომ არ არის, – ამბობს ბრიტანელი პარლამენტარი ენდრიუ დაფი, – მე, რა თქმა უნდა, მაწუხებს ევროპის სულიერი მდგომარეობა, მაგრამ კონსტიტუციით ამას ვერაფერს უშველი. ლოცვა უკეთესი წამალია".

კონსტიტუციური კონვენტის თავმჯდომარე, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, მორწმუნე კათოლიკე ჟისკარ დ`ესტენი აღიარებს, რომ მას სურდა კონსტიტუციაში ღმერთის მოხსენიება, მაგრამ საჭირო მხარდაჭერა ვერ მიიღო.

ახლა ვატიკანი იმედებს იტალიაზე ამყარებს, რომელიც ივლისიდან ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდება. "ვფიქრობ, ჩვენ შევთანხმდებით იმაზე, რომ კონსტიტუციაში ხაზი გავუსვათ ევროპის სახელმწიფოების ერთმნიშვნელოვნად საერო ბუნებას, და, ამავე დროს, იმ ღირებულებებსაც, რომლებიც ქრისტიანობიდან იღებენ სათავეს," – განაცხადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ.

დებატები იმის შესახებ, რამდენად ერთი და იგივეა "ქრისტიანული" და "ევროპული", განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების საკითხი. ვატიკანი აცხადებს, რომ ევროკავშირი ქრისტიანულ კლუბად უნდა დარჩეს და მასში მუსულმანურ სახელმწიფოებს არაფერი ესაქმებათ.

მემარცხენეები აცხადებენ, რომ კონსტიტუციაში ევროკავშირის ქრისტიანული საფუძვლის ხაზგასმა შეურაცხმყოფელი იქნება გაერთიანების ტერიტორიაზე მცხოვრები 37 მილიონი მუსულმანისათვის, ისევე, როგორც სხვა სარწმუნოებების წარმომადგენლებისათვის. ოპონენტთა მეორე ჯგუფი - სეკულარისტები - ამბობენ, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთმანეთთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ.

და მაინც, ქრისტიანობის მქადაგებლები იმედს არ კარგავენ. ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა ერთი მოულოდნელი ტენდენცია გამოავლინა. თუ 1980 წელს ევროპელი ახალგაზრდების მხოლოდ 30 პროცენტს სწამდა ღმერთი, დღეს ეს მაჩვენებელი 49 პროცენტამდე გაიზარდა. თუმცა, ახალგაზრდების ღმერთი ტრადიციულისაგან განსხვავებული, თანამედროვე, არაბიუროკრატიული, ეკლექტური და არაფორმალურია, ისევე, როგორც მისი აღმსარებლობის ფორმები.

# რახმონოვი 2020 წლამდე პრეზიდენტად რჩება

შოთა უტიაშვილი

ტაჯიკეთის ლიდერმა რახმონოვმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა თავისი შუააზიელი მეზობლებისათვის მიებაძა და პრეზიდენტობის გახანგრძლივების მიზნით, კონსტიტუცია შეეცვალა. რეფერენდუმი ამ ქვეყანაში გუშინ ჩატარდა. ამომრჩევლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომელიც რახმონოვს საშუალებას აძლევს, 2020 წლამდე დარჩეს ქვეყნის პრეზიდენტად.

თუ არ ჩავთვლით თურქმენეთის პრეზიდენტს ნიაზოვს, რომელიც ერის მამად სამუდამოდაა გამოცხადებული, შუა აზიის არც ერთი ლიდერი ჯერ ასე შორს არ წასულა. ნაზარბაევს, აკაევსა და კარიმოვს ძველებურად მოუწევთ ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ არჩევნების ან რეფერენდუმების ჩატარება (ნაცვლად არჩევნებისა, სადაც, თუნდაც ფორმალურად, პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი იყრის კენჭს, სამივე ხსენებულმა პრეზიდენტმა ჩაატარა რეფერენდუმი, რომლებზეც ხალხმა "ერთსულოვნად" დაუჭირა მხარი მათთვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებას. რეფერენდუმებზე, ბუნებრივია, სხვა კანდიდატები არ არიან). ახალი კონსტიტუციის თანახმად, რახმონოვს მხოლოდ ორჯერ მოუწევს არჩევნების გამართვა, იმისათვის, რომ ქვეყანა კიდევ 17 წელი მართოს.

რეფერენდუმმა სამაგალითო ვითარებაში ჩაიარა. საარჩევნო უბნებში მაგიდები იყო გაშლილი, ტკბილეულითა და სასმელებით, უკრავდა მუსიკა. უბნების გახსნიდან 6 საათის შემდეგ, ხმა ამომრჩეველთა 71 პროცენტს ჰქონდა მიცემული. რაკი ტაჯიკების უმეტესობა სამუშაოდ საზღვარგარეთაა წასული, ბევრ ამომრჩეველს რამდენიმე კაცის მაგივრად მოუწია ხმის მიცემა.



ტაჯიკეთის პრეზიდენტი რახმონოვი რეფერენდუმზე ხმის მიცემისას

რეფერენდუმზე ამომრჩეველს 50 (!) კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. ერთ-ერთი კითხვა ასე ჟღერდა. "თანახმა ხართ თუ არა, რომ დაწესდეს 7-წლიანი საპრეზიდენტო ვადა, და პრეზიდენტს მხოლოდ ორჯერ ჰქონდეს საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება?". ახლანდელი ვადა რახმონოვს 2006 წელს უთავდება, ამის შემდეგ მას კიდევ ორჯერ ექნება არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რაც საბოლოოდ, მის საპრეზიდენტო ვადას 2020 წლამდე აგრძელებს.

რა თქმა უნდა, ბატონ პრეზიდენტს ჯერ "არ გადაუწყვეტია", მიიღებს თუ არა მონაწილეობას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. "წინ კიდევ სამი წელი მაქვს. დაველოდოთ, რა იქნება. კაცმა არ იცის, ხვალზეგ ჯანმრთელად ვიქნები თუ არა," – განაცხადა რახმონოვმა ხმის მიცემისას.

სამოქალაქო საზოგადოების იმ ჩანასახებს, რომელიც შუა აზიის სხვა ქვეყნებში არსებობენ, იმედი აქვთ, რომ მათ ასაკოვან პრეზიდენტებს, თუ არჩევნები არა, ღმერთი მაინც შეცვლის. ტაჯიკ დემოკრატებს ნაკლებად გაუმართლათ, რახმონოვი ჯერ სულ რაღაც 50 წლისაა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინა აქვს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე ღატაკ ქვეყანას რახმონოვი 1992 წლის შემდეგ მართავს. მართალია, ამ ხნის მანძილზე ქვეყანა მოსახლეობის ნახევარმა დატოვა, ხოლო ვინც დარჩა, სიბნელესა და სიღატაკეში ცხოვრობს, პრეზიდენტი მაინც საგრძნობი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით, სოფლად. ამომრჩეველი მას 5 წლის მანძილზე მიმდინარე სამოქალაქო ომის დასრულებას (თუნდაც, რუსული ჯარის დახმარებით) და ქვეყნის სტაბილიზაციას უმადლის.

"მე მინდა, რომ იგი სამუდამოდ პრეზიდენტი იყოს, - განუცხადა "როიტერის" კორესპონდენტს ვინმე ხუსეინ ტოხიროვმა, – დაე, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც დღეს არის – სიწყნარე და წესრიგი".

სხვათა შორის, ასეთი მიდგომა ტიპურია იმ ქვეყნებისათვის, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოეთში მომუშავე ნათესავებისაგან გამოგზავნილი ფულით ცხოვრობს. "სიწყნარე" ერთადერთია, რაც მათ სჭირდებათ.

რაც შეეხება რეფერენდუმისადმი საერთაშორისო დამკვირვებლების დამოკიდებულებას, ეუთო-მ და სხვა ორგანიზაციებმა გააკეთეს, ალბათ, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლოთ – არც ერთი დამკვირვებელი პლებისციტზე არ გაუგზავნიათ.

# რუსეთში ბოლო დამოუკიდებელი ტელეარხი დაიხურა

კვირას დილით მუშაობა შეწყვიტა "ტვს"-მ. მის ნაცვლად ეთერში ტელეკომპანია "სპორტი" გავიდა.

"სპორტზე არჩევანის გაკეთება განპირობებულია, პირველ რიგში, მისი სოციალური ფუნქციით. მაშინ, როდესაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხები საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახდა, ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდა, სპორტული ღონისძიებებისადმი ყურადღების გაზრდა შეუძლებელია ძლიერი სატელევიზიო არხის გარეშე," – განაცხადა რუსეთის პრესის სამინისტრომ, უწყებამ, რომელსაც ტვს-ს გენერალურმა დირექტორმა ევგენი კისელიოვმა "საზოგადოებისათვის ძალიან საშიში მოვლენა" უწოდა.

"მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, არხზე საფინანსო, საკადრო და საორგანიზაციო კრიზისი გაჩნდა. სამინისტროს მცდელობას, ჩარეულიყვნენ საქმეში და წესრიგი დაემყარებინათ, შედეგი არ მოჰყვა. ამ ვითარებაში საჭირო იყო ტელემაყურებელთა ინტერესების დაცვა," – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

"მიხარია, რომ დაგვხურეს. ეს ჩვენი საქმიანობისათვის საუკეთესო ჯილდოა, – განაცხადა ტვს-ს წამყვანმა ვლადიმირ ყარა-მურზამ, – საუბარი იმაზე, რომ არხს არ ჰქონდა გავლენა და არ ჰყავდა აუდიტორია, სისულელეა. ეს არხი გავლენიანი რომ არ ყოფილიყო, მას არავინ დახურავდა. მადლობელი ვარ ხელისუფლებისა, რომ უკვე მესამედ გაგვიკეთა ბიოგრაფია (კისელიოვის გუნდს ჯერ ნტვ დაუხურეს, შემდეგ ტვ-6, ახლა კი - ტვს). მათ ჩვენში არსებული რეჟიმის მტერი დაინახეს. მე ამ წყობის წინააღმდეგი ვარ და მასთან ბრძოლას გავაგრძელებ"

"ტვს-ს ტრაგიკულ ბედში დამნაშავეა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი", – განაცხადა ვალერია ნოვოდვორსკაიამ, - სწორედ მისი მოსვლის შემდეგ დაიწყო კატასტროფების სერია დამოუკიდებელ მედიაში. ნტვ, ტვ-6, ტვს-ს ბედი გადაწყდა იმ დღეებში, როდესაც შავებში ჩაცმული ადამიანები ნტვ-ს ოფისში შეიჭრნენ. დანარჩენი გახანგრძლივებული აგონია იყო".

თავად კისელიოვი მომხდარში, პირველ რიგში, არხის მფლობელებს ადანაშაულებს, რომლებმაც საჭირო გადაწყვეტილებები არ მიიღეს და საჭირო ინვესტიციები არ ჩადეს. "დიდი შეცდომა იყო ის, რომ არ ვიყიდეთ სამამულო სერიალები. ამის გარეშე შეუძლებელი იყო, მიგველწია მაღალი რეიტინგისა და მაღალი სარეკლამო შემოსავლებისათვის, რამაც დაგვღუპა კიდეც," – განაცხადა კისელიოვმა.

# ტელევიზია ირანელ დემონსტრანტებს მობილიზაციაში ეხმარება

რევაზ ხახტაძე

კვირას ირანელი სტუდენტების თქმით, მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო გამოსვლების გამო, ათობით ახალგაზრდა დააკავეს. სტუდენტები იმუქრებიან, რომ გახშირებული თავდასხმები მათ უფრო რადიკალური ქმედებებისაკენ უბიძგებს, - იუწყება "როიტერი".

გუშინ, დაახლოებით, 30 სტუდენტი პარლამენტისკენ გაემართა და ახალგაზრდების გათავისუფლება მოითხოვა. მათივე ინფორმაციით, გასული ხუთშაბათიდან მოყოლებული, ხელისუფლებამ თეირანში 87 სტუდენტი დააპატიმრა, ქალაქ ურუმიში - 250, საბზევარში – 105 და ჰამადანში – 30.

"ჩვენ არ შევურიგდებით დესპოტიზმს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაგვაპატიმრებენ, სხვები გამოვლენ და რეჟიმს ძალისმიერი მეთოდებით დაუპირისპირდებიან", - აღნიშნა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

"მასობრივ დაპატიმრებაზე ბრძანება არსებობს. მათ შეუძლიათ, ვინც მოეპრიანებათ, ის დააპატიმრონ", - ანონიმურობის პირობით განუცხადა ერთ-ერთმა რეფორმატორმა დეპუტატმა "როიტერს".

ექსპერტების აზრით, ირანის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა 9 ივლისს მასობრივი გამოსვლები არ დაუშვას. 1999 წლის 9 ივლისს თეირანში სტუდენტთა უზარმაზარი მიტინგი დაარბიეს. ხელისუფლება ფიქრობს, რომ ამ დღის აღსანიშნავად, ირანში გამოსვლები კულმინაციას მიაღწევს, რაც რეჟიმისთვის, შესაძლოა, ფატალური აღმოჩნდეს.

ირანის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების შესახებ ცნობებს მხოლოდ საზღვარგარეთიდან ღებულობს. ცოტა ხნის წინ, კალიფორნიაში ამერიკის ხელისუფლების დახმარებით, ირანელმა ემიგრანტებმა ტელეკომპანია და რადიოსადგურები დააარსეს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში გადასცემენ ცნობებს ირანში.

ტელეარხი თეირანში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებს 24 საათის განმავლობაში აშუქებს და ირანში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ლოს-ანჟელესში მყოფი ირანელი ჟურნალისტი შაჰრამ ჰომაიუნი პირდაპირ ეთერში, დაახლოებით, 20 საათის განმავლობაში მუშაობს. "ნიუ-იორკ თაიმსთან" ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ამ რეჟიმში მუშაობას მანამ გააგრძელებს, სანამ "ხალხი თავისუფლებას არ მოიპოვებს".

ამ ტელეარხის პროგრამაში ირანული ახალი ამბების დაიჯესტი და პატრიოტული სიმღერები შედის. დღის უმეტეს ნაწილს კი ჟურნალისტი ჰომაიუნი ირანელებთან სატელეფონო საუბარში ატარებს და ეთერში ირანში მყოფთა მოსაზრებებს გადასცემს. თავად ირანში ამგვარი გადაცემების გაკეთება, მით უმეტეს - საპროტესტო გამოსვლების შესახებ, სასტიკად აკრძალულია.

ამას წინათ, ირანელ ჟურნალისტს ატირებულმა დედამ დაურეკა, რომ მისი ვაჟი დემონსტრაციის დროს დააპატიმრეს. ქალის თქმით, თუ მის ბიჭს რამეს დაუშავებენ, ის თავს აიფეთქებს.

ირანში დემონსტრაციებზე ადამიანები ამბობენ, რომ ქუჩაში კალიფორნიიდან გადმოცემული ამბების შემდეგ გამოვიდნენ.

ირანელი ემიგრანტების მიერ მომზადებულ გადაცემებს ირანის მმართველი წრეები მყისიერად გამოეხმაურნენ. გასულ კვირას, პარასკევს ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა ალი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ ირანელები გააფრთხილა, რომ უცხოურ გადაცემებს ყური არ დაუგდონ. "ფრთხილად, იყავით, რათა ბოროტების ტელევიზიის ხაფანგში არ მოჰყვეთ, რომელიც ამერიკელებმა შექმნეს", - განაცხადა რაფსანჯანიმ.

ინფორმაციის მინისტრმა ალი იუნესიმ კი აღნიშნა, რომ ამერიკა ირანის წინააღმდეგ ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებს.

თეირანში მყოფი ანალიტიკოსების აზრით, კალიფორნიაში არსებული ტელე და რადიოსადგურების პოპულარობა რამდენიმე წლის წინ ირანში თავისუფალი პრესის დახურვის შედეგია. "ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, 1997 წლიდან ირანში, დაახლოებით, 100 თავისუფალი ჟურნალი და გაზეთი დაიხურა.

ირანელების უმრავლესობა სახელმწიფო ტელევიზიების გადაცემებს მთავრობის პროპაგანდად აღიქვამს და არა უბრალო ინფორმაციად. სტუდენტების დაჭერას ირანულმა ტელევიზიამ "ისლამური რევოლუციის მოწინააღმდეგე ხულიგნებისა და ჯიბგირების დაკავება" უწოდა. ტელევიზიას დემონსტრანტებზე არაფორმალური პოლიციის მიერ განხორციელებული თავდასხმები არ გაუშუქებია.

"ხალხმა ადგილობრივი მედიის რწმენა დაკარგა, - აღნიშნა მაშალა შამსოლვეზინმა, ირანში მცხოვრებმა ჟურნალისტმა და პოლიტოლოგმა, - ობიექტური ეროვნული მედიის არარსებობამ, უცხოეთში ბაზირებული ტელესადგური გააძლიერა. თუმცა, ამერიკაში დაფუძნებულ ტელევიზიას ზოგიერთები ირანში ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან კალიფორნიაში არსებული არხი აშკარად ირანის ყოფილ შაჰს უჭერს მხარს. "ამის მიუხედავად, ხალხი ამ ტელევიზიას მაინც უყურებს, რადგან იქ ირანელი ხალხის ყოველდღიურ ყოფაზე ლაპარაკობენ" - უთხრა "როიტერის" კორესპონდენტს ირანელმა დამლაგებელმა ჯილამ.

# ნიგერიაში ნავთობსადენი აფეთქდა

ადგილობრივი წითელი ჯვრის ცნობით, ნიგერიაში ნავთობსადენის აფეთქებას 105 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ადგილობრივმა მოსახლეობამ მილსადენი გახვრიტა. მაისის დასაწყისიდან მოყოლებული, ნახვრეტთან რიგი იდგა. ნედლ ნავთობს ხალხი ვედროებით ეზიდებოდა სახლში.

პოლიცია, რომელსაც მილსადენის დაცვა ევალებოდა, თავისი მოვალეობის შესრულების ნაცვლად, ფულს აკეთებდა და ყველას, ვინც ნავთობს იპარავდა, ქრთამს ართმევდა – დაახლოებით, 80 ცენტს ერთი ვედროს სანაცვლოდ.

ხელისუფლებამ, რომელმაც იცოდა, რა ხდებოდა, მილსადენის მუშაობა არ შეაჩერა.

აფეთქება, რომლის გახმაურებასაც რამდენიმე დღის მანძილზე ყველა ერიდებოდა, სავარაუდოდ, ერთ-ერთი დამტაცებლის მოტოციკლიდან გასროლილმა ნაპერწკალმა გამოიწვია.

მილსადენის გახვრეტა ნიგერიაში ჩვეულებრივი ამბავია. ეს ქვეყანა აფრიკაში ყველაზე მეტ ნავთობს მოიპოვებს. ხშირია დაზიანებული ნავთობსადენების აფეთქებაც. 1999 წელს მდ. ნიგერის დელტაში ამგვარმა აფეთქებამ 700 კაცი შეიწირა.

# "საოჯახო ლოტო"-ს 21 ივნისი №13 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000054 | 4.0 |
| 000065 | 3.0 |
| 000095 | 3.5 |
| 000099 | 2.0 |
| 000105 | 1.0 |
| 000124 | 3.5 |
| 000126 | 3.5 |
| 000159 | 2.0 |
| 000224 | 4.5 |
| 000242 | 2.0 |
| 000295 | 3.0 |
| 000329 | 1.0 |
| 000342 | 2.0 |
| 000362 | 13.0 |
| 000363 | 3.5 |
| 000389 | 5.0 |
| 000449 | 4.0 |
| 000476 | 1.0 |
| 000510 | 3.5 |
| 000554 | 1.5 |
| 000590 | 1.5 |
| 000624 | 2.0 |
| 000647 | 1.5 |
| 000668 | 1.0 |
| 000692 | 1.5 |
| 000741 | 1.5 |
| 000766 | 5.0 |
| 000800 | 3.0 |
| 000856 | 1.0 |
| 000860 | 2.5 |
| 000879 | 2.5 |
| 000893 | 3.5 |
| 000910 | 7.0 |
| 000927 | 3.5 |
| 000951 | 3.5 |
| 000968 | 2.5 |
| 000970 | 4.0 |
| 001023 | 3.5 |
| 001040 | 1.0 |
| 001053 | 1.0 |
| 001083 | 3.0 |
| 001103 | 1.0 |
| 001105 | 1.0 |
| 001106 | 1.0 |
| 001177 | 1.5 |
| 001232 | 3.0 |
| 001272 | 1.0 |
| 001290 | 2.0 |
| 001291 | 30.0 |
| 001302 | 9.0 |
| 001306 | 4.0 |
| 001310 | 2.5 |
| 001348 | 1.5 |
| 001353 | 1.0 |
| 001365 | 3.5 |
| 001368 | 2.5 |
| 001370 | 1.5 |
| 001399 | 1.5 |
| 001409 | 2.0 |
| 001457 | 3.0 |
| 001488 | 2.0 |
| 001500 | 5.0 |
| 001509 | 3.0 |
| 001518 | 1.0 |
| 001525 | 1.0 |
| 001542 | 2.5 |
| 001554 | 1.0 |
| 001558 | 5.0 |
| 001633 | 1.5 |
| 001639 | 3.0 |
| 001647 | 4.5 |
| 001690 | 2.5 |
| 001712 | 1.5 |
| 001754 | 2.5 |
| 001770 | 3.5 |
| 001782 | 2.0 |
| 001785 | 1.0 |
| 001813 | 4.5 |
| 001816 | 2.5 |
| 001817 | 2.0 |
| 001820 | 3.0 |
| 001832 | 1.0 |
| 001848 | 17.5 |
| 001888 | 1.5 |
| 001889 | 1.5 |
| 001890 | 2.0 |
| 001932 | 4.5 |
| 001934 | 1.5 |
| 001989 | 1.0 |
| 002014 | 2.0 |
| 002059 | 2.5 |
| 002067 | 3.5 |
| 002084 | 5.0 |
| 002088 | 7.0 |
| 002100 | 5.0 |
| 002118 | 2.0 |
| 002138 | 5.0 |
| 002142 | 2.5 |
| 002177 | 3.5 |
| 002253 | 3.5 |
| 002257 | 4.0 |
| 002272 | 7.0 |
| 002276 | 2.0 |
| 002304 | 7.0 |
| 002359 | 1.0 |
| 002366 | 2.0 |
| 002389 | 1.0 |
| 002419 | 2.0 |
| 002426 | 2.5 |
| 002440 | 3.0 |
| 002453 | 2.5 |
| 002479 | 2.0 |
| 002481 | 4.0 |
| 002498 | 2.0 |
| 002504 | 3.5 |
| 002513 | 1.0 |
| 002526 | 15.0 |
| 002539 | 2.5 |
| 002604 | 2.0 |
| 002607 | 1.0 |
| 002635 | 3.0 |
| 002637 | 2.5 |
| 002655 | 4.5 |
| 002676 | 3.5 |
| 002705 | 1.5 |
| 002720 | 5.0 |
| 002723 | 3.0 |
| 002741 | 5.0 |
| 002747 | 2.5 |
| 002752 | 3.0 |
| 002876 | 1.5 |
| 002880 | 5.0 |
| 002919 | 9.0 |
| 002930 | 3.5 |
| 002938 | 3.0 |
| 002942 | 3.0 |
| 002958 | 9.0 |
| 002964 | 4.5 |
| 002970 | 1.0 |
| 002984 | 4.5 |
| 003031 | 2.5 |
| 003043 | 4.5 |
| 003053 | 1.5 |
| 003085 | 9.0 |
| 003090 | 2.5 |
| 003121 | 2.5 |
| 003130 | 2.5 |
| 003143 | 1.5 |
| 003148 | 1.0 |
| 003156 | 2.5 |
| 003159 | 2.0 |
| 003165 | 4.0 |
| 003177 | 1.0 |
| 003218 | 9.0 |
| 003240 | 3.0 |
| 003263 | 3.5 |
| 003284 | 15.0 |
| 003289 | 1.0 |
| 003382 | 11.0 |
| 003393 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003420 | 2.5 |
| 003448 | 500.0 |
| 003472 | 3.0 |
| 003478 | 3.0 |
| 003481 | 2.0 |
| 003500 | 2.0 |
| 003520 | 11.0 |
| 003526 | 1.0 |
| 003532 | 4.0 |
| 003578 | 4.0 |
| 003588 | 4.0 |
| 003591 | 3.5 |
| 003599 | 1.0 |
| 003628 | 9.0 |
| 003662 | 2.0 |
| 003673 | 1.0 |
| 003689 | 3.5 |
| 003694 | 9.0 |
| 003715 | 3.5 |
| 003727 | 2.5 |
| 003735 | 2.0 |
| 003737 | 3.5 |
| 003750 | 2.5 |
| 003751 | 1.5 |
| 003757 | 3.5 |
| 003777 | 1.0 |
| 003782 | 2.5 |
| 003795 | 4.5 |
| 003796 | 3.0 |
| 003812 | 1.5 |
| 003836 | 2.0 |
| 003875 | 2.0 |
| 003889 | 1.0 |
| 003934 | 2.0 |
| 003951 | 4.0 |
| 003977 | 2.0 |
| 003983 | 1.5 |
| 003989 | 1.0 |
| 004006 | 2.0 |
| 004029 | 2.5 |
| 004040 | 2.0 |
| 004076 | 1.0 |
| 004079 | 3.5 |
| 004083 | 4.0 |
| 004109 | 9.0 |
| 004152 | 1.5 |
| 004158 | 1.5 |
| 004205 | 3.0 |
| 004206 | 2.0 |
| 004229 | 5.0 |
| 004273 | 4.0 |
| 004294 | 1.5 |
| 004302 | 1.5 |
| 004409 | 1.0 |
| 004476 | 4.0 |
| 004482 | 2.0 |
| 004522 | 2.5 |
| 004538 | 4.0 |
| 004550 | 1.0 |
| 004621 | 2.5 |
| 004659 | 1.0 |
| 004676 | 1.5 |
| 004743 | 3.0 |
| 004750 | 4.0 |
| 004762 | 1.0 |
| 004799 | 1.0 |
| 004803 | 4.5 |
| 004813 | 2.5 |
| 004834 | 1.0 |
| 004835 | 2.5 |
| 004857 | 11.0 |
| 004865 | 1.5 |
| 004935 | 3.0 |
| 004943 | 1.0 |
| 004953 | 1.0 |
| 004971 | 1.5 |
| 004983 | 1.5 |
| 004993 | 2.5 |
| 005016 | 2.0 |
| 005052 | 3.5 |
| 005063 | 7.0 |
| 005084 | 1.5 |
| 005093 | 1.0 |
| 005122 | 3.0 |
| 005125 | 2.5 |
| 005180 | 1.0 |
| 005183 | 2.5 |
| 005198 | 1.0 |
| 005212 | 2.0 |
| 005233 | 1.0 |
| 005251 | 3.0 |
| 005258 | 3.0 |
| 005259 | 3.5 |
| 005262 | 3.5 |
| 005277 | 1.5 |
| 005281 | 13.0 |
| 005288 | 2.0 |
| 005297 | 2.0 |
| 005320 | 1.0 |
| 005332 | 1.5 |
| 005445 | 2.0 |
| 005464 | 1.5 |
| 005469 | 15.0 |
| 005481 | 2.5 |
| 005507 | 3.0 |
| 005508 | 2.5 |
| 005528 | 3.5 |
| 005533 | 1.0 |
| 005588 | 1.0 |
| 005642 | 4.0 |
| 005643 | 1.0 |
| 005645 | 1.5 |
| 005657 | 2.0 |
| 005662 | 3.0 |
| 005663 | 2.5 |
| 005683 | 2.5 |
| 005699 | 7.0 |
| 005712 | 4.5 |
| 005762 | 11.0 |
| 005791 | 1.5 |
| 005816 | 2.5 |
| 005832 | 20.0 |
| 005861 | 1.5 |
| 005863 | 2.5 |
| 005879 | 1.5 |
| 005893 | 3.0 |
| 005906 | 2.0 |
| 005916 | 2.0 |
| 005934 | 4.5 |
| 005938 | 2.0 |
| 005949 | 4.5 |
| 005954 | 5.0 |
| 006021 | 1.5 |
| 006028 | 3.5 |
| 006041 | 1.0 |
| 006052 | 1.0 |
| 006060 | 2.0 |
| 006070 | 2.5 |
| 006076 | 7.0 |
| 006098 | 1.0 |
| 006101 | 2.0 |
| 006122 | 1.5 |
| 006160 | 1.5 |
| 006173 | 1.0 |
| 006177 | 2.0 |
| 006202 | 3.0 |
| 006213 | 2.0 |
| 006232 | 3.0 |
| 006261 | 4.0 |
| 006273 | 1.5 |
| 006275 | 2.5 |
| 006294 | 3.5 |
| 006303 | 3.5 |
| 006311 | 1.5 |
| 006313 | 2.0 |
| 006376 | 5.0 |
| 006411 | 2.5 |
| 006426 | 4.0 |
| 006436 | 1.0 |
| 006460 | 3.5 |
| 006486 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 006506 | 9.0 |
| 006533 | 3.5 |
| 006537 | 3.5 |
| 006546 | 3.0 |
| 006555 | 1.0 |
| 006571 | 1.0 |
| 006584 | 3.5 |
| 006596 | 7.0 |
| 006633 | 3.5 |
| 006637 | 4.5 |
| 006667 | 2.0 |
| 006706 | 2.0 |
| 006710 | 1.0 |
| 006713 | 1.0 |
| 006729 | 3.0 |
| 006735 | 4.5 |
| 006740 | 2.0 |
| 006748 | 15.0 |
| 006756 | 1.5 |
| 006773 | 4.0 |
| 006779 | 2.0 |
| 006836 | 1.0 |
| 006850 | 2.0 |
| 006899 | 1.0 |
| 006915 | 3.5 |
| 006944 | 4.0 |
| 006982 | 2.0 |
| 007013 | 1.5 |
| 007047 | 2.0 |
| 007054 | 1.0 |
| 007055 | 1.5 |
| 007056 | 4.0 |
| 007073 | 1.0 |
| 007099 | 2.5 |
| 007108 | 4.5 |
| 007121 | 1.5 |
| 007127 | 1.5 |
| 007134 | 3.0 |
| 007144 | 3.5 |
| 007158 | 1.0 |
| 007217 | 1.0 |
| 007244 | 2.0 |
| 007278 | 11.0 |
| 007279 | 2.5 |
| 007317 | 3.0 |
| 007356 | 2.5 |
| 007372 | 5.0 |
| 007403 | 3.0 |
| 007413 | 3.5 |
| 007415 | 4.0 |
| 007425 | 3.5 |
| 007433 | 3.0 |
| 007455 | 2.0 |
| 007545 | 1.0 |
| 007565 | 2.5 |
| 007578 | 2.5 |
| 007605 | 2.0 |
| 007608 | 5.0 |
| 007632 | 13.0 |
| 007699 | 3.5 |
| 007706 | 2.0 |
| 007755 | 1.5 |
| 007759 | 1.0 |
| 007809 | 2.0 |
| 007833 | 3.5 |
| 007846 | 4.5 |
| 007856 | 1.5 |
| 007862 | 2.5 |
| 007872 | 4.0 |
| 007875 | 2.0 |
| 007896 | 1.0 |
| 007897 | 4.5 |
| 007910 | 1.5 |
| 007913 | 2.0 |
| 007919 | 1.5 |
| 007939 | 17.5 |
| 007954 | 1.0 |
| 007971 | 1.0 |
| 008035 | 1.0 |
| 008064 | 3.0 |
| 008069 | 1.5 |
| 008086 | 2.0 |
| 008113 | 4.5 |
| 008121 | 2.5 |
| 008157 | 3.0 |
| 008176 | 35.0 |
| 008205 | 3.0 |
| 008230 | 1.0 |
| 008240 | 4.5 |
| 008246 | 30.0 |
| 008248 | 1.0 |
| 008286 | 1.0 |
| 008289 | 1.0 |
| 008305 | 2.0 |
| 008316 | 1.0 |
| 008326 | 1.0 |
| 008375 | 5.0 |
| 008398 | 11.0 |
| 008458 | 2.5 |
| 008461 | 1.0 |
| 008501 | 1.0 |
| 008507 | 2.0 |
| 008509 | 1.0 |
| 008532 | 1.0 |
| 008537 | 3.0 |
| 008604 | 2.0 |
| 008609 | 3.0 |
| 008621 | 1.0 |
| 008637 | 20.0 |
| 008674 | 1.5 |
| 008718 | 7.0 |
| 008769 | 1.0 |
| 008773 | 3.0 |
| 008784 | 35.0 |
| 008789 | 2.0 |
| 008799 | 9.0 |
| 008813 | 3.0 |
| 008820 | 3.5 |
| 008823 | 1.5 |
| 008836 | 5.0 |
| 008862 | 20.0 |
| 008867 | 1.0 |
| 008884 | 17.5 |
| 008914 | 1.0 |
| 008956 | 1.0 |
| 008967 | 2.0 |
| 008979 | 2.0 |
| 009004 | 17.5 |
| 009005 | 3.5 |
| 009022 | 4.5 |
| 009044 | 4.0 |
| 009076 | 1.5 |
| 009085 | 1.0 |
| 009107 | 2.0 |
| 009124 | 1.5 |
| 009131 | 5.0 |
| 009190 | 5.0 |
| 009229 | 1.5 |
| 009230 | 1.0 |
| 009269 | 1.0 |
| 009293 | 2.0 |
| 009333 | 1.5 |
| 009340 | 1.0 |
| 009355 | 2.0 |
| 009357 | 2.5 |
| 009399 | 2.5 |
| 009417 | 1.5 |
| 009439 | 1.0 |
| 009457 | 30.0 |
| 009467 | 1.0 |
| 009482 | 13.0 |
| 009489 | 2.5 |
| 009492 | 3.0 |
| 009495 | 2.0 |
| 009513 | 1.0 |
| 009518 | 4.5 |
| 009544 | 1.0 |
| 009559 | 15.0 |
| 009563 | 50.0 |
| 009587 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 009639 | 1.0 |
| 009649 | 3.0 |
| 009679 | 3.0 |
| 009708 | 1.0 |
| 009712 | 3.5 |
| 009714 | 2.5 |
| 009721 | 4.0 |
| 009832 | 1.5 |
| 009833 | 4.0 |
| 009859 | 1.5 |
| 009862 | 1.5 |
| 009883 | 1.5 |
| 009914 | 2.5 |
| 009925 | 1.0 |
| 009932 | 3.0 |
| 009934 | 1.0 |
| 009941 | 4.0 |
| 009962 | 3.5 |
| 010008 | 1.0 |
| 010016 | 1.0 |
| 010025 | 1.5 |
| 010053 | 1.5 |
| 010056 | 2.5 |
| 010061 | 1.0 |
| 010062 | 2.5 |
| 010068 | 5.0 |
| 010095 | 1.5 |
| 010129 | 2.5 |
| 010141 | 2.5 |
| 010184 | 2.0 |
| 010191 | 2.0 |
| 010201 | 2.0 |
| 010216 | 4.0 |
| 010221 | 2.5 |
| 010232 | 2.0 |
| 010258 | 100.0 |
| 010285 | 1.0 |
| 010305 | 1.0 |
| 010382 | 1.5 |
| 010426 | 5.0 |
| 010432 | 1.0 |
| 010435 | 2.5 |
| 010468 | 2.0 |
| 010512 | 1.5 |
| 010542 | 1.0 |
| 010549 | 1.5 |
| 010583 | 2.0 |
| 010589 | 1.5 |
| 010594 | 7.0 |
| 010651 | 4.5 |
| 010668 | 2.0 |
| 010669 | 4.5 |
| 010672 | 1.5 |
| 010680 | 1.0 |
| 010708 | 1.5 |
| 010756 | 1.0 |
| 010759 | 1.0 |
| 010797 | 2.5 |
| 010806 | 1.5 |
| 010838 | 1.0 |
| 010882 | 4.0 |
| 010921 | 3.5 |
| 010942 | 3.5 |
| 011017 | 3.0 |
| 011032 | 1.0 |
| 011062 | 3.0 |
| 011086 | 7.0 |
| 011125 | 2.5 |
| 011172 | 3.0 |
| 011178 | 2.0 |
| 011187 | 15.0 |
| 011195 | 1.5 |
| 011264 | 1.5 |
| 011268 | 1.0 |
| 011300 | 2.5 |
| 011342 | 1.0 |
| 011356 | 1.0 |
| 011382 | 1.0 |
| 011411 | 1.5 |
| 011432 | 1.5 |
| 011437 | 3.0 |
| 011439 | 2.5 |
| 011443 | 5.0 |
| 011469 | 13.0 |
| 011507 | 1.0 |
| 011525 | 2.5 |
| 011557 | 2.0 |
| 011572 | 3.0 |
| 011586 | 11.0 |
| 011589 | 1.0 |
| 011590 | 11.0 |
| 011598 | 3.5 |
| 011656 | 1.5 |
| 011686 | 4.5 |
| 011726 | 3.5 |
| 011730 | 4.0 |
| 011754 | 1.5 |
| 011772 | 3.0 |
| 011780 | 2.5 |
| 011799 | 3.5 |
| 011813 | 1.0 |
| 011839 | 1.5 |
| 011918 | 1.0 |
| 011939 | 9.0 |
| 011964 | 1.5 |
| 011995 | 4.0 |
| 012008 | 3.0 |
| 012009 | 2.5 |
| 012115 | 2.5 |
| 012160 | 2.5 |
| 012169 | 1.0 |
| 012185 | 17.5 |
| 012190 | |
| 2250.0 | |
| 012215 | 2.5 |
| 012221 | 30.0 |
| 012222 | 2.5 |
| 012249 | 7.0 |
| 012277 | 1.5 |
| 012294 | 1.0 |
| 012317 | 1.5 |
| 012319 | 2.0 |
| 012323 | 4.0 |
| 012327 | 3.0 |
| 012365 | 1.5 |
| 012382 | 3.5 |
| 012432 | 2.0 |
| 012438 | 2.5 |
| 012462 | 3.5 |
| 012485 | 1.0 |
| 012556 | 13.0 |
| 012586 | 2.5 |
| 012601 | 1.0 |
| 012607 | 20.0 |
| 012610 | 5.0 |
| 012611 | 2.0 |
| 012628 | 2.5 |
| 012637 | 2.5 |
| 012673 | 1.0 |
| 012679 | 1.5 |
| 012693 | 1.5 |
| 012694 | 1.5 |
| 012697 | 1.5 |
| 012700 | 1.5 |
| 012721 | 2.5 |
| 012750 | 1.0 |
| 012762 | 7.0 |
| 012787 | 1.0 |
| 012801 | 1.5 |
| 012846 | 1.0 |
| 012860 | 2.5 |
| 012893 | 1.0 |
| 012906 | 1.5 |
| 012967 | 1.0 |
| 012969 | 2.0 |
| 013007 | 1.0 |
| 013009 | 4.5 |
| 013031 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 013036 | 1.5 |
| 013079 | 5.0 |
| 013083 | 1.0 |
| 013084 | 1.0 |
| 013098 | 1.5 |
| 013103 | 30.0 |
| 013104 | 1.5 |
| 013166 | 2.0 |
| 013168 | 4.5 |
| 013181 | 2.5 |
| 013220 | 4.0 |
| 013226 | 2.0 |
| 013231 | 2.0 |
| 013238 | 1.5 |
| 013246 | 4.0 |
| 013254 | 20.0 |
| 013255 | 2.0 |
| 013271 | 2.0 |
| 013374 | 2.5 |
| 013391 | 15.0 |
| 013398 | 4.0 |
| 013412 | 2.5 |
| 013423 | 1.5 |
| 013433 | 1.0 |
| 013449 | 5.0 |
| 013450 | 1.5 |
| 013456 | 3.0 |
| 013457 | 2.0 |
| 013542 | 3.5 |
| 013547 | 1.0 |
| 013572 | 2.0 |
| 013575 | 4.5 |
| 013607 | 3.5 |
| 013610 | 20.0 |
| 013632 | 1.0 |
| 013634 | 1.0 |
| 013640 | 1.5 |
| 013644 | 25.0 |
| 013646 | 1.0 |
| 013686 | 2.0 |
| 013743 | 3.5 |
| 013753 | 1.0 |
| 013763 | 3.0 |
| 013781 | 2.0 |
| 013789 | 1.5 |
| 013794 | 5.0 |
| 013818 | 5.0 |
| 013835 | 3.0 |
| 013862 | 3.0 |
| 013870 | 2.5 |
| 013903 | 3.5 |
| 013960 | 1.0 |
| 013979 | 2.5 |
| 013983 | 1.5 |
| 014013 | 1.5 |
| 014019 | 3.5 |
| 014030 | 1.5 |
| 014049 | 1.5 |
| 014072 | 3.5 |
| 014093 | 2.5 |
| 014100 | 2.5 |
| 014115 | 9.0 |
| 014134 | 1.5 |
| 014164 | 3.0 |
| 014197 | 1.5 |
| 014205 | 1.0 |
| 014206 | 2.0 |
| 014229 | 2.0 |
| 014234 | 3.5 |
| 014286 | 4.5 |
| 014304 | 3.5 |
| 014326 | 7.0 |
| 014427 | 1.5 |
| 014438 | 1.5 |
| 014477 | 1.0 |
| 014493 | 4.0 |
| 014528 | 1.5 |
| 014530 | 2.0 |
| 014537 | 1.0 |
| 014569 | 2.0 |
| 014580 | 3.5 |
| 014591 | 1.5 |
| 014601 | 1.5 |
| 014602 | 1.0 |
| 014651 | 1.0 |
| 014657 | 1.0 |
| 014684 | 13.0 |
| 014690 | 1.5 |
| 014708 | 3.5 |
| 014710 | 3.5 |
| 014734 | 2.0 |
| 014803 | 1.5 |
| 014820 | 2.0 |
| 014829 | 3.0 |
| 014857 | 20.0 |
| 014869 | 3.0 |
| 014873 | 2.5 |
| 014883 | 1.5 |
| 014897 | 1.0 |
| 014920 | 1.5 |
| 014926 | 1.5 |
| 014957 | 3.0 |
| 014960 | 3.0 |
| 014977 | 2.0 |
| 014990 | 1.5 |
| 014999 | 2.5 |
| 015009 | 2.0 |
| 015018 | 3.0 |
| 015023 | 3.5 |
| 015055 | 15.0 |
| 015089 | 15.0 |
| 015092 | 2.0 |
| 015102 | 1.0 |
| 015107 | 3.0 |
| 015128 | 3.5 |
| 015165 | 9.0 |
| 015185 | 4.0 |
| 015221 | 7.0 |
| 015223 | 1.0 |
| 015242 | 1.0 |
| 015286 | 7.0 |
| 015346 | 2.0 |
| 015361 | 7.0 |
| 015363 | 1.0 |
| 015367 | 1.0 |
| 015369 | 10.0 |
| 015377 | 2.5 |
| 015477 | 1.0 |
| 015516 | 2.0 |
| 015534 | 1.5 |
| 015558 | 3.5 |
| 015560 | 1.5 |
| 015563 | 3.0 |
| 015588 | 1.5 |
| 015601 | 1.5 |
| 015607 | 1.5 |
| 015645 | 5.0 |
| 015691 | 1.5 |
| 015692 | 11.0 |
| 015698 | 1.0 |
| 015709 | 1.0 |
| 015716 | 3.0 |
| 015732 | 2.0 |
| 015733 | 4.5 |
| 015780 | 2.0 |
| 015781 | 1.5 |
| 015795 | 1.5 |
| 015796 | 4.0 |
| 015802 | 7.0 |
| 015808 | 2.0 |
| 015829 | 2.0 |
| 015854 | 2.5 |
| 015858 | 2.5 |
| 015864 | 1.0 |
| 015867 | 1.5 |
| 015885 | 4.0 |
| 015989 | 3.0 |
| 015993 | 2.5 |
| 016002 | 1.5 |
| 016020 | 2.0 |
| 016021 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 016057 | 2.0 |
| 016071 | 1.0 |
| 016116 | 1.5 |
| 016148 | 3.5 |
| 016161 | 1.5 |
| 016167 | 4.0 |
| 016217 | 5.0 |
| 016230 | 2.0 |
| 016286 | 5.0 |
| 016289 | 4.0 |
| 016299 | 4.5 |
| 016318 | 3.0 |
| 016319 | 1.5 |
| 016322 | 3.0 |
| 016327 | 3.0 |
| 016333 | 3.5 |
| 016349 | 2.0 |
| 016406 | 5.0 |
| 016413 | 1.0 |
| 016419 | 2.0 |
| 016477 | 3.5 |
| 016480 | 3.0 |
| 016481 | 9.0 |
| 016513 | 3.5 |
| 016516 | 3.5 |
| 016536 | 17.5 |
| 016541 | 5.0 |
| 016569 | 3.5 |
| 016572 | 1.0 |
| 016582 | 7.0 |
| 016631 | 2.0 |
| 016640 | 1.5 |
| 016644 | 2.5 |
| 016647 | 1.0 |
| 016649 | 2.5 |
| 016650 | 2.5 |
| 016676 | 3.5 |
| 016691 | 1.5 |
| 016692 | 2.0 |
| 016726 | 20.0 |
| 016771 | 1.0 |
| 016774 | 1.5 |
| 016808 | 2.5 |
| 016840 | 3.0 |
| 016854 | 7.0 |
| 016868 | 1.5 |
| 016869 | 4.0 |
| 016888 | 3.0 |
| 016905 | 15.0 |
| 016925 | 2.5 |
| 016934 | 2.0 |
| 016963 | 2.0 |
| 017024 | 1.5 |
| 017045 | 2.0 |
| 017097 | 2.0 |
| 017113 | 7.0 |
| 017146 | 1.0 |
| 017154 | 2.0 |
| 017169 | 4.5 |
| 017184 | 3.5 |
| 017190 | 2.0 |
| 017208 | 9.0 |
| 017209 | 3.0 |
| 017230 | 1.5 |
| 017253 | 3.5 |
| 017255 | 1.5 |
| 017256 | 1.0 |
| 017286 | 2.5 |
| 017290 | 17.5 |
| 017300 | 1.5 |
| 017323 | 4.0 |
| 017338 | 5.0 |
| 017341 | 1.5 |
| 017366 | 2.0 |
| 017374 | 1.0 |
| 017441 | 4.5 |
| 017460 | 1.5 |
| 017477 | 3.0 |
| 017498 | 2.5 |
| 017500 | 2.0 |
| 017501 | 3.0 |
| 017505 | 2.0 |
| 017588 | 1.5 |
| 017606 | 2.0 |
| 017610 | 3.0 |
| 017612 | 1.0 |
| 017615 | 4.0 |
| 017635 | 1.0 |
| 017649 | 2.0 |
| 017653 | 3.5 |
| 017678 | 2.0 |
| 017682 | 7.0 |
| 017688 | 1.0 |
| 017717 | 3.0 |
| 017790 | 2.0 |
| 017821 | 1.0 |
| 017828 | 1.5 |
| 017928 | 2.5 |
| 017932 | 1.5 |
| 017959 | 1.5 |
| 017971 | 1.5 |
| 017980 | 1.0 |
| 017991 | 1.5 |
| 017995 | 3.0 |
| 018014 | 2.0 |
| 018036 | 2.5 |
| 018053 | 4.5 |
| 018062 | 1.0 |
| 018074 | 2.0 |
| 018075 | 3.0 |
| 018079 | 2.0 |
| 018084 | 4.0 |
| 018118 | 1.5 |
| 018122 | 3.5 |
| 018135 | 3.5 |
| 018149 | 1.5 |
| 018152 | 5.0 |
| 018161 | 2.5 |
| 018211 | 3.0 |
| 018214 | 7.0 |
| 018251 | 7.0 |
| 018269 | 3.5 |
| 018270 | 2.0 |
| 018273 | 1.0 |
| 018280 | 30.0 |
| 018296 | 35.0 |
| 018302 | 1.0 |
| 018315 | 11.0 |
| 018337 | 3.5 |
| 018344 | 4.0 |
| 018354 | 1.5 |
| 018360 | 4.5 |
| 018371 | 2.5 |
| 018393 | 1.0 |
| 018395 | 1.5 |
| 018437 | 3.5 |
| 018450 | 2.5 |
| 018455 | 2.0 |
| 018480 | 2.5 |
| 018492 | 2.0 |
| 018502 | 11.0 |
| 018517 | 5.0 |
| 018518 | 1.0 |
| 018519 | 1.0 |
| 018523 | 2.5 |
| 018533 | 1.0 |
| 018543 | 4.0 |
| 018564 | 3.0 |
| 018569 | 4.0 |
| 018586 | 7.0 |
| 018615 | 2.0 |
| 018622 | 2.0 |
| 018628 | 2.5 |
| 018717 | 1.5 |
| 018719 | 20.0 |
| 018722 | 1.0 |
| 018757 | 2.0 |
| 018802 | 1.0 |
| 018813 | 2.5 |
| 018823 | 1.0 |
| 018843 | 1.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 018844 | 2.0 |
| 018851 | 3.0 |
| 018857 | 1.0 |
| 018861 | 1.0 |
| 018906 | 1.0 |
| 018908 | 17.5 |
| 018957 | 4.0 |
| 018970 | 1.0 |
| 019063 | 3.0 |
| 019066 | 3.0 |
| 019080 | 1.0 |
| 019094 | 2.0 |
| 019100 | 3.0 |
| 019137 | 3.5 |
| 019141 | 5.0 |
| 019144 | 1.5 |
| 019163 | 1.0 |
| 019168 | 1.5 |
| 019180 | 3.5 |
| 019193 | 9.0 |
| 019210 | 2.5 |
| 019263 | 3.5 |
| 019287 | 2.0 |
| 019288 | 1.5 |
| 019338 | 3.0 |
| 019344 | 2.0 |
| 019383 | 4.0 |
| 019384 | 1.5 |
| 019422 | 1.0 |
| 019434 | 2.5 |
| 019436 | 2.5 |
| 019438 | 1.0 |
| 019465 | 2.0 |
| 019494 | 1.5 |
| 019527 | 1.5 |
| 019583 | 1.5 |
| 019585 | 9.0 |
| 019599 | 1.0 |
| 019601 | 2.5 |
| 019606 | 1.0 |
| 019615 | 1.0 |
| 019634 | 1.5 |
| 019636 | 2.5 |
| 019651 | 2.0 |
| 019657 | 1.5 |
| 019683 | 2.0 |
| 019689 | 1.5 |
| 019695 | 1.0 |
| 019731 | 1.0 |
| 019765 | 5.0 |
| 019810 | 3.5 |
| 019843 | 1.0 |
| 019910 | 3.5 |
| 019926 | 2.0 |
| 019929 | 4.0 |
| 019968 | 1.0 |
| 019981 | 2.0 |
| 019997 | 2.5 |
| 020001 | 2.0 |
| 020013 | 3.0 |
| 020027 | 1.0 |
| 020032 | 4.5 |
| 020075 | 2.0 |
| 020084 | 2.5 |
| 020087 | 1.5 |
| 020094 | 1.5 |
| 020100 | 1.5 |
| 020107 | 1.0 |
| 020162 | 3.0 |
| 020171 | 20.0 |
| 020185 | 1.0 |
| 020198 | 1.0 |
| 020204 | 5.0 |
| 020213 | 1.0 |
| 020219 | 1.5 |
| 020269 | 1.0 |
| 020270 | 3.0 |
| 020303 | 1.5 |
| 020339 | 2.0 |
| 020344 | 1.5 |
| 020390 | 3.0 |
| 020393 | 1.5 |
| 020399 | 3.5 |
| 020418 | 3.5 |
| 020438 | 3.5 |
| 020472 | 25.0 |
| 020482 | 3.0 |
| 020498 | 3.0 |
| 020511 | 4.0 |
| 020529 | 5.0 |
| 020564 | 3.5 |
| 020582 | 4.0 |
| 020584 | 1.5 |
| 020600 | 9.0 |
| 020605 | 3.5 |
| 020612 | 2.0 |
| 020639 | 3.5 |
| 020653 | 1.5 |
| 020670 | 2.0 |
| 020705 | 1.0 |
| 020733 | 1.5 |
| 020747 | 1.5 |
| 020770 | 1.0 |
| 020801 | 3.5 |
| 020816 | 3.5 |
| 020839 | 4.0 |
| 020849 | 3.0 |
| 020853 | 2.0 |
| 020890 | 2.5 |
| 020894 | 3.0 |
| 020917 | 1.5 |
| 020946 | 1.0 |
| 020954 | 4.0 |
| 020971 | 1.0 |
| 020984 | 2.5 |
| 020988 | 1.5 |
| 021043 | 2.0 |
| 021053 | 1.0 |
| 021072 | 1.5 |
| 021085 | 1.5 |
| 021108 | 2.0 |
| 021139 | 4.0 |
| 021170 | 2.0 |
| 021175 | 3.0 |
| 021216 | 2.0 |
| 021225 | 17.5 |
| 021234 | 1.0 |
| 021240 | 1.0 |
| 021249 | 2.0 |
| 021263 | 1.5 |
| 021293 | 11.0 |
| 021302 | 1.0 |
| 021303 | 3.5 |
| 021317 | 1.0 |
| 021356 | 3.5 |
| 021384 | 2.0 |
| 021393 | 2.5 |
| 021420 | 3.0 |
| 021453 | 1.0 |
| 021468 | 20.0 |
| 021505 | 1.5 |
| 021506 | 1.5 |
| 021516 | 1.5 |
| 021520 | 3.5 |
| 021527 | 11.0 |
| 021542 | 1.0 |
| 021544 | 9.0 |
| 021545 | 3.5 |
| 021553 | 9.0 |
| 021575 | 1.5 |
| 021588 | 1.5 |
| 021639 | 2.0 |
| 021654 | 1.0 |
| 021657 | 2.5 |
| 106173 | 22.0 |
| 106204 | 2.0 |
| 106215 | 8.0 |
| 106219 | 2.0 |
| 106231 | 35.0 |
| 106245 | 4.0 |
| 106257 | 22.0 |
| 106271 | 3.0 |
| 106287 | 3.0 |
| 106311 | 8.0 |
| 106331 | 6.0 |
| 106364 | 9.0 |
| 106367 | 5.0 |
| 106375 | 2.0 |
| 106383 | 9.0 |
| 106394 | 6.0 |
| 106399 | 2.0 |
| 106401 | 3.0 |
| 106410 | 3.0 |
| 106484 | 3.0 |
| 106506 | 5.0 |
| 106538 | 7.0 |
| 106554 | 2.0 |
| 106568 | 8.0 |
| 106583 | 3.0 |
| 106589 | 5.0 |
| 106590 | 6.0 |
| 106613 | 3.0 |
| 106618 | 8.0 |
| 106651 | 7.0 |
| 106657 | 2.0 |
| 106713 | 3.0 |
| 106735 | 5.0 |
| 106767 | 2.0 |
| 106797 | 60.0 |
| 106847 | 2.0 |
| 106848 | 4.0 |
| 106862 | 8.0 |
| 106881 | 2.0 |
| 106918 | 4.0 |
| 106924 | 26.0 |
| 106969 | 9.0 |
| 106982 | 2.0 |
| 106998 | 2.0 |
| 107002 | 8.0 |
| 107023 | 7.0 |
| 107027 | 3.0 |
| 107059 | 6.0 |
| 107071 | 2.0 |
| 107073 | 8.0 |
| 107100 | 8.0 |
| 107105 | 9.0 |
| 107153 | 6.0 |
| 107166 | 6.0 |
| 107168 | 8.0 |
| 107176 | 200.0 |
| 107209 | 5.0 |
| 107220 | 4.0 |
| 107259 | 4.0 |
| 107269 | 2.0 |
| 107290 | 14.0 |
| 107326 | 3.0 |
| 107331 | 5.0 |
| 107409 | 5.0 |
| 107417 | 10.0 |
| 107449 | 10.0 |
| 107457 | 7.0 |
| 107487 | 2.0 |
| 107538 | 2.0 |
| 107588 | 2.0 |
| 107656 | 10.0 |
| 107675 | 5.0 |
| 107682 | 3.0 |
| 107765 | 3.0 |
| 107794 | 10.0 |
| 107822 | 2.0 |
| 107826 | 5.0 |
| 107858 | 6.0 |
| 107873 | 10.0 |
| 107962 | 5.0 |
| 107973 | 9.0 |
| 107980 | 8.0 |
| 107997 | 6.0 |
| 108026 | 6.0 |
| 108045 | 7.0 |
| 108046 | 5.0 |
| 108069 | 4.0 |
| 108084 | 2.0 |
| 108090 | 2.0 |
| 108123 | 5.0 |
| 108157 | 4.0 |
| 108164 | 2.0 |
| 108171 | 4.0 |
| 108181 | 3.0 |
| 108204 | 4.0 |
| 108205 | 4.0 |
| 108209 | 35.0 |
| 108215 | 2.0 |
| 108239 | 7.0 |
| 108298 | 4.0 |
| 108300 | 14.0 |
| 108301 | 3.0 |
| 108310 | 4.0 |
| 108352 | 2.0 |
| 108367 | 6.0 |
| 108375 | 5.0 |
| 108382 | 2.0 |
| 108393 | 10.0 |
| 108397 | 14.0 |
| 108421 | 7.0 |
| 108424 | 3.0 |
| 108483 | 4.0 |
| 108496 | 10.0 |
| 108497 | 5.0 |
| 108501 | 80.0 |
| 108512 | 6.0 |
| 108558 | 2.0 |
| 108572 | 7.0 |
| 108579 | 30.0 |
| 108589 | 2.0 |
| 108624 | 4.0 |
| 108635 | 6.0 |
| 108640 | 7.0 |
| 108675 | 2.0 |
| 108682 | 2.0 |
| 108704 | 7.0 |
| 108709 | 2.0 |
| 108731 | 6.0 |
| 108733 | 6.0 |
| 108799 | 8.0 |
| 108824 | 3.0 |
| 108836 | 6.0 |
| 108846 | 7.0 |
| 108884 | 4.0 |
| 108893 | 4.0 |
| 108914 | 4.0 |
| 108936 | 3.0 |
| 108954 | 7.0 |
| 108985 | 14 |
| 108986 | 14 |
| 108995 | 6.0 |
| 109004 | 6.0 |
| 109013 | 2.0 |
| 109032 | 6.0 |
| 109036 | 4.0 |
| 109056 | 10 |
| 109072 | 2.0 |
| 109074 | 9.0 |
| 109079 | 6.0 |
| 109087 | 7.0 |
| 109095 | 8.0 |
| 109108 | 6.0 |
| 109115 | 4.0 |
| 109116 | 4.0 |
| 109128 | 2.0 |
| 109132 | 3.0 |
| 109157 | 3.0 |
| 109215 | 5.0 |
| 109226 | 8.0 |
| 109232 | 3.0 |
| 109246 | 4.0 |
| 109289 | 2.0 |
| 109293 | 2.0 |
| 109359 | 7.0 |
| 109377 | 4.0 |
| 109403 | 6.0 |
| 109425 | 26 |
| 109446 | 3.0 |
| 109492 | 3.0 |
| 109512 | 2.0 |
| 109513 | 3.0 |
| 109518 | 2.0 |
| 109549 | 6.0 |
| 109550 | 4.0 |
| 109554 | 5.0 |
| 120036 | 1.5 |
| 120039 | 3.0 |
| 120044 | 3.0 |
| 120050 | 8.0 |
| 120078 | 1.5 |
| 120092 | 4.5 |
| 120109 | 6.0 |
| 120147 | 1.0 |
| 120149 | 8.0 |
| 120185 | 1.5 |
| 120197 | 4.0 |
| 120202 | 7.0 |
| 120206 | 5.0 |
| 120214 | 7.0 |
| 120215 | 7.0 |
| 120268 | 2.5 |
| 120292 | 5.0 |
| 120295 | 2.0 |
| 120312 | 3.0 |
| 120314 | 6.0 |
| 120315 | 6.0 |
| 120348 | 8.0 |
| 120382 | 1.5 |
| 120420 | 6.0 |
| 120431 | 14 |
| 120491 | 3.0 |
| 120536 | 4.0 |
| 120615 | 6.0 |
| 120626 | 9.0 |
| 120650 | 11 |
| 120652 | 1.5 |
| 120702 | 4.0 |
| 120707 | 12 |
| 120733 | 8.0 |
| 120743 | 6.0 |
| 120768 | 4.0 |
| 120784 | 8.0 |
| 120790 | 8.0 |
| 120798 | 60 |
| 120845 | 2.0 |
| 121063 | 2.0 |
| 121070 | 20 |
| 121093 | 1.5 |
| 121117 | 2.5 |
| 121119 | 9.0 |

## ბარათების მფლობელებს, რომლებიც მოიგებენ სტუდიაში დასწრების უფლებას გადაეცემათ 100 კოეფიციენტის შესაბამისი სამახსოვრო პრიზი

## სტუდიაში დასწრების უფლება მოიგეს შემდეგმა ბარათებმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 008059 | 013684 | 025560 | 040898 | 050598 | 062874 | 107918 |
| 009131 | 015560 | 026558 | 045778 | 054544 | 065514 | |
| 009404 | 016515 | 028135 | 047238 | 059411 | 098098 | |
| 011869 | 024238 | 040677 | 049687 | 059876 | 099246 | |

## გათამაშების მიმდინარეობა

| სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | მოგებულთა რაოდენობა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 41 | 0 | 0 |
| 2 | 55 | 0 | 0 |
| 3 | 42 | 0 | 0 |
| 4 | 56 | 0 | 0 |
| 5 | 75 | 0 | 0 |
| 6 | 15 | 0 | 0 |
| 7 | 65 | 0 | 0 |
| 8 | 24 | 0 | 0 |
| 9 | 38 | 0 | 0 |
| 10 | 71 | 0 | 0 |
| 11 | 60 | 0 | 0 |
| 12 | 57 | 0 | 0 |
| 13 | 51 | 0 | 0 |
| 14 | 89 | 0 | 0 |
| 15 | 39 | 0 | 0 |
| 16 | 43 | 0 | 0 |
| 17 | 32 | 0 | 0 |
| 18 | 59 | 0 | 0 |
| 19 | 35 | 0 | 0 |
| 20 | 69 | 0 | 0 |
| 21 | 87 | 0 | 0 |
| 22 | 25 | 0 | 0 |
| 23 | 62 | 0 | 0 |
| 24 | 7 | 0 | 0 |
| 25 | 9 | 0 | 0 |
| 26 | 46 | 0 | 0 |
| 27 | 3 | 0 | 0 |
| 28 | 53 | 0 | 0 |
| 29 | 34 | 0 | 0 |
| 30 | 68 | 0 | 0 |
| 31 | 66 | 0 | 0 |
| 32 | 73 | 0 | 0 |
| 33 | 12 | 0 | 0 |
| 34 | 44 | 0 | 0 |
| 35 | 4 | 0 | 0 |
| 36 | 8 | 0 | 0 |
| 37 | 82 | 0 | 0 |
| 38 | 80 | 0 | 0 |
| 39 | 77 | 1 | 17000 |
| 40 | 37 | 0 | 0 |
| 41 | 14 | 0 | 0 |
| 42 | 28 | 1 | 4500 |
| 43 | 48 | 0 | 0 |
| 44 | 74 | 0 | 0 |
| 45 | 72 | 0 | 0 |
| 46 | 84 | 0 | 0 |
| 47 | 79 | 0 | 0 |
| 48 | 29 | 1 | 1500 |
| 49 | 45 | 1 | 1000 |
| 50 | 2 | 3 | 500 |
| 51 | 83 | 1 | 400 |
| 52 | 64 | 2 | 300 |
| 53 | 30 | 3 | 200 |
| 54 | 70 | 3 | 100 |
| 55 | 47 | 6 | 90 |
| 56 | 58 | 3 | 80 |
| 57 | 11 | 11 | 70 |
| 58 | 27 | 24 | 60 |
| 59 | 81 | 13 | 50 |
| 60 | 19 | 39 | 40 |
| 61 | 40 | 28 | 35 |
| 62 | 49 | 36 | 30 |
| 63 | 78 | 38 | 26 |
| 64 | 31 | 75 | 22 |
| 65 | 76 | 57 | 18 |
| 66 | 5 | 84 | 14 |
| 67 | 18 | 162 | 10 |
| 68 | 17 | 163 | 9 |
| 69 | 1 | 233 | 8 |
| 70 | 23 | 341 | 7 |
| 71 | 26 | 386 | 6 |
| 72 | 36 | 404 | 5 |
| 73 | 6 | 532 | 4 |
| 74 | 21 | 699 | 3 |
| 75 | 20 | 785 | 2 |

## გაუთამაშებელი ნომრები

10
13
16
22
33
50
52
54
61
63
67
85
86
88
90

**ქალაქ ქუთაისში შეგიძლიათ შეავსოთ თავისუფალი ბარათები და ასევე გაანაღდოთ მოგება შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. N1**

### სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.
2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*
*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

## ჯეკპოტის გათამაშების წესი

**ვინც პირველი შეავსებს ბარათს 38 სვლის ჩათლით გამოქვეყნებულ კოეფიციენტს დაემატება 7 000.**

### მომავალი გათამაშების კოეფიციენტთა ცხრილი

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25000 | 46 | 2500 |
| 16 | 25000 | 47 | 2000 |
| 17 | 25000 | 48 | 1500 |
| 18 | 25000 | 49 | 1000 |
| 19 | 25000 | 50 | 500 |
| 20 | 25000 | 51 | 400 |
| 21 | 25000 | 52 | 300 |
| 22 | 25000 | 53 | 200 |
| 23 | 25000 | 54 | 100 |
| 24 | 25000 | 55 | 90 |
| 25 | 25000 | 56 | 80 |
| 26 | 20000 | 57 | 70 |
| 27 | 19000 | 58 | 60 |
| 28 | 18000 | 59 | 50 |
| 29 | 17000 | 60 | 40 |
| 30 | 16000 | 61 | 35 |
| 31 | 15000 | 62 | 30 |
| 32 | 14000 | 63 | 26 |
| 33 | 13000 | 64 | 22 |
| 34 | 12000 | 65 | 18 |
| 35 | 11000 | 66 | 14 |
| 36 | 10000 | 67 | 10 |
| 37 | 9000 | 68 | 9 |
| 38 | 8000 | 69 | 8 |
| 39 | 7000 | 70 | 7 |
| 40 | 6000 | 71 | 6 |
| 41 | 5000 | 72 | 5 |
| 42 | 4500 | 73 | 4 |
| 43 | 4000 | 74 | 3 |
| 44 | 3500 | 75 | 2 |
| 45 | 3000 | | |

# კლინიკებში საგადასახადო შეღავათებს მოუთმენლად ელიან

## ამ საკითხის ბედს საქართველოს პრეზიდენტი დღეს-ხვალ გადაწყვეტს

ზაზა ფაჩუაშვილი

*მრავალწლიანი მცდელობის შედეგად ამა წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა სამედიცინო დაწესებულებების შეღავათიანი დაბეგვრის პროექტი ერთხმად მიიღო და დასამტკიცებლად სახელმწიფო კანცელარიაში გადააგზავნა. ახლა მის ძალაში შესვლას შევარდნაძის ხელის მოწერაღა აკლია. ფისკალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ფინანსთა მინისტრი პროექტის წინააღმდეგია; თეორიულად, შესაძლებელია, რომ პრეზიდენტმა პარლამენტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილოს; და თუ ასე მოხდა, ისედაც სახელგატეხილ სამედიცინო რეფორმას საშველი აღარ დაადგება.*

საერთო ჯამში, სამედიცინო დაწესებულებებს მოუხსნეს შემდეგი გადასახადები: დღგ, სამეწარმეო, მოგების, საგზაო, ქონების და მიწის (საბაჟო გადასახადი შეუმცირეს) გადასახადები, რომელთა აბსურდულობის შესახებ ჯერ კიდევ 7-8 წლის წინათ საუბრობდა ჯანდაცვის სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგებზე უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ლაური მანაგაძე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ საკითხზე ინტენსიურად მუშაობდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროშიც. ერთობლივ ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჯანდაცვაში ჯერ დღგ მოხსნეს, შემდეგ საბაჟო გადასახადი შეამცირეს, 6 ივნისს კი პარლამენტმა დანარჩენი გადასახადებიც მოხსნა.

იმის შესახებ, თუ რატომ უნდა გაუქმდეს გადასახადები ჯანდაცვის სფეროში, კომენტარი ვთხოვეთ ამჟამად დეპუტატს, მრეწველთა ფრაქციის წევრს, ლაური მანაგაძეს, რომლის მიზანი და დევიზია - ჯანდაცვა გადასახადების გარეშე.

ლაური მანაგაძე: **"1994 წელს ჯანდაცვაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, მაშინდელმა ჯანდაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ თქვა, - ნუ მოვატყუებთ ხალხს და პატიოსნად ვუთხრათ, რომ სახელმწიფოს ჯანდაცვის ძველებურად დაფინანსება არ შეუძლიაო. ასე დაიწყო ფასიანი მკურნალობა. სახელმწიფო ზრუნავდა სოციალურად საშიში დაავადებების პროფილაქტიკისთვის.**

**მაშინ დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ სამედიცინო დაწესებულებები კომუნალურ გადასახადებსაც კი ვერ გადაიხდიდნენ. ამიტომ, 1995 წელს რეფორმის დაწყების შემდეგ ჯანდაცვა გათავისუფლდა ყოველგვარი ბეგარისაგან, ხოლო სამედიცინო დაწესებულებების კომუნალური ხარჯების 90 პროცენტს სახელმწიფო იხდიდა".**

- როდის შეიცვალა ვითარება?

**- 5 თვის შემდეგ, 1996 წლის დასაწყისში პარლამენტმა შემოიღო ახალი წესები და ჯანდაცვის ობოექტებს დააკისრა ყველა ის გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ სამეწარმეო და მოგებისთვის განკუთვნილი დაწესებულებები. მაშინვე გახდა ცნობილი, რომ ეს სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. დაიწყო დისკუსიები. მაშინ მთავრობის სხდომაზე განვაცხადე, - რა დამატებით ღირებულებას ახდევინებს ხალხს სახელმწიფო, რომელიც მის ჯანმრთელობაზე ვერ ზრუნავს-მეთქი. მოკლე ხანში ჯორბენაძე პარლამენტში შევიდა წინადადებით, რომ დღგ მაინც მოეხსნათ, რაც მაშინვე შესრულდა.**

- ჯანდაცვისთვის საბაჟო გადასახადიც მძიმე ტვირთი იყო.

**- ამის შემდეგ გაჩნდა ახალი საბაჟო კანონი, რომლის თანახმად, საზღვარგარეთიდან შემოტანილი წამლებისა და ხსნარებისათვის საბაჟო გადასახადი 34 პროცენტის ოდენობით დაწესდა. ეს იყო კიდევ ერთი დამანგრეველი დარტყმა ჯანდაცვისთვის. ისევ დაიწყო დისკუსიები და ჯორბენაძე ისევ შევიდა პარლამენტში შესაბამისი ინიციატივით, რასაც სიტუაციის რამდენადმე გამოსწორება მოჰყვა. წამლებისთვის ბაჟი 5 პროცენტამდე დავიდა, ხსნარებისთვის - 12 პროცენტამდე. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გამოაცალკევეს წამლებისაგან ხსნარები, რომლებიც, ასევე, სამკურნალო საშუალებებია. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო დარჩა და თუ მომავალ პარლამენტში "მრეწველები" ისევ შევლენ, ჩვენ ამ საკითხსაც მივხედავთ.**

- დარჩა ის გადასახადები, რომელთა მოხსნისათვის პრეზიდენტს ჯერ ხელი არ მოუწერია.

**- ეს გადასახადებიც არანაკლებ აბსურდულია და მე მადლობელი ვარ პარლამენტის, რომელმაც ერთხმად მიიღო მათი მოხსნის გადაწყვეტილება.**

**სრულიად გაუგებარი იყო სამედიცინო დაწესებულებებისთვის სამეწარმეო გადასახადის დაწესება. რატომ უნდა განიხილოს სახელმწიფომ ჯანდაცვა სამეწარმეო საქმიანობად?**

**ეს საკითხი პარლამენტში წინასწარი მომზადების გარეშე დავაყენე. მაშინ ძალიან კარგად გამოვიდნენ - ბატონი ზურაბ ტყემალაძე, ბატონი ვიტალი ხაზარაძე, ბატონი დავით სალარიძე და სხვები. იგრძნობოდა, რომ საკითხის გატანა შეიძლებოდა და ასეც მოხდა. კენჭისყრა იმ საღამოსვე შედგა და გადასახადი ერთხმად მოიხსნა.**

- შემდეგ დაიწყო მუშაობა სხვა გადასახადების მოსახსნელადაც.

**- დანარჩენი გადასახადები, ჩვეულებრივი წესით და რიგით, წინასწარი განხილვებით მოიხსნა, თუმცა მათი აბსურდულობა იმდენად ნათელი იყო, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდებოდა.**

**მაგალითად, მოგების გადასახადი. ჩვენ ინსტიტუტში ლიზინგით ჩამოვიტანეთ ძვირადღირებული აპარატი, რომლის ღირებულებას თანდათან ვიხდით. ვაგროვებთ ფულს და წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით ვურიცხავთ ფირმას. საგადასახადო კი მოდის, იმ შეკოწიწებულ თანხას მოგებაში მითვლის და პროცენტს მართმევს. არადა, აპარატი ჯერ ჩვენი არ არის. ჩვენი გახდება რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მის ღირებულებას დავფარავთ.**

**იგივე მეორდება სხვა შემთხვევაშიც, როცა კლინიკაში ჭერიდან წყალი ჩამოდის. სახელმწიფო არ მიკეთებს და ამისთვის სიმწრით შეგროვებული თანხიდან მოგების გადასახადსაც მართმევს. სად არის აქ ლოგიკა? მადლობა ღმერთს, რომ ეს ამორალური "მოგების გადასახადიც" მოიხსნა.**

**საგზაო გადასახადიც დიდი გაუგებრობა იყო, მით უმეტეს, რომ ვაჭრობის სფეროში ეს გადასახადი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ჯანდაცვაში. ისმის კითხვა, ჯანდაცვა უფრო უწევს გზებს ექსპლუატაციას, თუ ვაჭრობა?**

**არასწორი იყო ქონების გადასახადის დაწესებაც. საზღვარგარეთ ეს გადასახადი გარკვეულ მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებს, რათა დიდი კლინიკების უახლესი ტექნოლოგიების მიმართ დაუოკებელი ლტოლვა ზომიერების ფარგლებში მოექცეს. ჩვენთან კი პირიქით, კლინიკების წახალისებაა საჭირო და არა შეზღუდვა, რათა თანამედროვე აპარატურა შეიძინონ.**

**მოსახსნელი გადასახადების პაკეტში შევიტანეთ მიწის გადასახადიც, რათა, ბოლოს და ბოლოს მიგვეღწია იმისთვის, რომ ჯანდაცვა გადასახადებისგან თავისუფალი ყოფილიყო. კენჭისყრის შემდეგ, როცა საკითხი ერთხმად გავიდა, ამოვისუნთქე და შემიძლია ვთქვა, რომ პარლამენტში ტყუილად არ მოვსულვარ.**

- რამდენად ეფექტური იქნება რეალური შედეგი?

**- კლინიკებზე უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება პაციენტს, რა თქმა უნდა, მკურნალობის ღირებულება რამდენადმე გაიაფდება, მაგრამ ისე არა, რომ ცალკეული პაციენტისთვის ძალიან საგრძნობი იყოს. მთავარი შედეგი ისაა, რომ ის ფული, რომელიც ამ გადასახადების სახით, სახელმწიფოს უბრუნდებოდა, ამიერიდან ჯანდაცვაში დარჩება. ეს კი ჯანდაცვის პროგრამების გაფართოების, ან სულაც ახალი პროგრამების განხორციელების საშუალებაა.**



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ლაური მანაგაძე: "ამისთვის მოვედი პარლამენტში..."*

ხსენებული ეფექტის თაობაზე განმარტება მოგვცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვასიკო ჭეიშვილმაც:

**"ჩვენ უცხოელ ექსპერტებთან ერთად 5 წელია ამ საკითხზე ვმუშაობთ. აღნიშნულ ხუთ გადასახადზე სამედიცინო დაწესებულებები ხარჯავდნენ მთელი შემოსავლის 14 პროცენტს. ამის გარდა, დაწესებულებებიდან გადიოდა მოგების 20 პროცენტი. თუ ეს სახელმწიფო დაწესებულება იქნებოდა, სახელმწიფოს მთელი მოგების წაღებაც შეეძლო.**

**ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ გადასახადების მოხსნას იმ პირობით, თუ დაზოგილი თანხა ისევ დაწესებულებაში დაბრუნდება და მოხმარდება რეკონსტრუქცია-რემონტს, აღჭურვილობას, თანამშრომელთა პრემირებას, სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.**

**ფინანსთა მინისტრი წინააღმდეგია იმიტომ, რომ ეს პროექტი ფისკალურად წამგებიანია, მაგრამ ჯანდაცვაში იმხელა საქმე კეთდება, რომ ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს.**

**დღევანდელი ბიუჯეტით თუ ვიმსჯელებთ, ჯანდაცვაში უნდა დარჩეს 10 მილიონამდე ლარი, რამაც ჯანდაცვის სისტემაში საგრძნობი ცვლილება უნდა გამოიწვიოს".**

ჩვენ ვესაუბრეთ რამდენიმე კლინიკის ხელმძღვანელს, რომლებმაც დაგვიდასტურეს, რომ საგადასახადო შეღავათები მათთვის მნიშვნელოვანი დახმარება იქნება, რის გამოც, ეს ხალხი შეღავათების ძალაში შესვლას მოუთმენლად ელის.

მართალია, ქვემდგომი პერსონალი სკეპტიკურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ყველაფერს მაინც ბუღალტერია და ადმინისტრაცია "შეჭამს", მაგრამ ეს სხვა თემაა. ჯერ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას უნდა დაველოდოთ.

*სამართალი*

# პანკისში მომხდარ გატაცებებს ნელ-ნელა ფარდა ეხდება

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველთა ინფორმაციით, მედიკო კუშტანაშვილი, ბადო, თამაზ და ბაადურ მარგოშვილები აწ გარდაცვლილი ვეფხია მარგოშვილის - პანკისელი კრიმინალური ავტორიტეტის დაჯგუფების წევრები არიან და პანკისის ხეობის სოფლებში ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი. თუმცა კანონდამცველები, ჯერჯერობით, თავს იკავებენ კონკრეტიკისგან. **"ეს ისეთი კრიმინალური დაჯგუფებაა, რომლის წევრებთანაც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, ჯერჯერობით, ვერაფერს გავახმაურებთ",** - ასეთი გახლავთ ახმეტის რაიონისა და მთლიანად კახეთის რეგიონის ძალოვანთა მოკლე კომენტარები.

ჩვენი ინფორმაციით, დაკავებულმა მარგოშვილებმა უკვე აღიარეს რამდენიმე წლის წინ ჩადენილი ორი მძიმე დანაშაული. კერძოდ, 1999 წელს მოქალაქე რამაზ მაისურაძისა და 2000 წელს თელავის რაიონის სოფელ ფშაველში მცხოვრები მამუკა არაბულის გატაცების ორგანიზება და მასში თანამონაწილეობა.

დაკავებულებს, სავარაუდოდ, ბრალს დღეს წაუყენებენ. შემდეგ კი სასამართლო მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს განიხილავს. რაც შეეხება რამდენიმე დღის წინ დაკავებულ მედიკო კუშტანაშვილს, მასთან დაპირისპირებაზე დაზარალებულები, შიშის გამო დღემდე კატეგორიულ უარს აცხადებენ. მძიმე ბრალდებებით დაკავებული კუშტანაშვილი თავდაპირველად დუმილის უფლებით სარგებლობდა და დაჯგუფების წევრების ვინაობას საიდუმლოდ ინახავდა. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იგი უკვე ჩაერთო საგამოძიებო მოქმედებებში, ალაპარაკდა და წლების განმავლობაში, პანკისის ხეობაში მომხდარი გატაცებებისა და სხვა დანაშაულებების შესახებ სამართალდამცველებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. თუ, რა ჩვენება მისცა მედიკო კუშტანაშვილმა ეს, ჯერჯერობით, მკაცრად გასაიდუმლოებულია.

*მოკლედ*

**თბილისი.** თბილისის N1 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გუშინ ჩატარებული ჩხრეკა-დათვალიერების შედეგად ამოიღეს მჩხვლეტავი, ბასრი და მჭრელი საგნები და საფუარისგან დამზადებული 45 ლიტრი სპირტიანი სასმელი "ბრაგა". N1 საპყრობილეში ამ დროისთვის 500 პატიმარი იხდის სასჯელს. მათ ჩხრეკა-დათვალიერების დროს ციხის ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩხრეკისას საპყრობილეში ცეცხლსასროლი იარაღი არ აღმოუჩენიათ. ჩხრეკა-დათვალიერება ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამართალდამცველებმა ზესტაფონში, სოფელ წიფლავათეში გამავალი საავტომობილო გზიდან 50 მეტრის მოშორებით, ბუჩქნარში ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. იგი ზესტაფონის რაიონის სოფელ სანახშირეში მცხოვრები გიორგი მაღლაკელიძე აღმოჩნდა. სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის დროს გვამის თავის ქალაში ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიის გულა აღმოაჩინეს, რომელიც ბალისტიკურ ექსპერტიზაზე გადაიგზავნა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მოკვლევას ზესტაფონის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს და ვანის პოლიციის თანამშრომლების მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, გუშინ, ცხელ კვალზე გაიხსნა ყაჩაღობის საქმე, რომელიც ვანის რაიონის სოფელ სალხინოში 19 ივნისს მოხდა. სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომელთაგან ორი ნიღბით იყო, თავს დაესხა დავით ლორთქიფანიძის ოჯახს. ყაჩაღებმა ოჯახის წევრები სცემეს და ფული და ძვირფასეულობა გაიტაცეს. გუშინ დაზარალებულმა ერთ-ერთი დამნაშავე ამოიცნო, რომელიც ქუთაისში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი 26 წლის მამუკა ყიფიანი აღმოჩნდა. **ინტერ-პრესი**

# პოლიციამ გაქცეულ პატიმრებზე "სანადირო სეზონი" გამოაცხადა

სოფიკო ჩხაიძე

"24 საათი" უკვე წერდა პოლიციის მიერ შაბათს ქუთაისში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ, რომლის დროსაც ციხიდან გაქცეული ორი პატიმარი იქნა ლიკვიდირებული.

სპეცოპერაცია ქუთაისის ცენტრში დღისით ჩატარდა, გაქცეულები მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთ ბინას აფარებდნენ თავს, რომელიც მავან ქუთაისელ კრიმინალურ ავტორიტეტს, ვინმე კოხრეიძეს უნდა ეკუთვნოდეს.

როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, სპეცოპერაციისას, რომელსაც ორმხრივი სროლა მოჰყვა, მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხე არ შექმნია. იმავე პოლიციელთა მტკიცებით, ცეცხლი ბოროტმოქმედებმა გახსნეს, მეტიც, ისინი სპეცოპერაციის მონაწილეთაგან თავდაცვას სხვადასხვა სახის იარაღითა და ხელყუმბარებით ცდილობდნენ. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველთაგან არავინ დაშავებულა, ციხიდან გაქცეული ორივე პატიმარი კი კონსპირაციულ ბინაშივე ჩაცხრილეს.

სპეცოპერაციის სასწრაფოდ ჩატარების აუცილებლობას პოლიცია გაქცეულთაგან მომდინარე საშიშროების თავიდან აცილებით ხსნის. კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ სამართალდამცველებს ორი განსაკუთრებით საშიში დამნაშავის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია უკვე მთელი კვირა ჰქონდათ, მაგრამ მათ დასაკავებლად შესაფერის მომენტს ეძებდნენ. სამართალდამცველთა ინფორმაციით, გუშინწინ მათ დამატებითი ინფორმაცია მიიღეს, რომლის თანახმადაც ციხიდან გაქცეული პატიმრები ქუთაისში ახალ დანაშაულს – ადამიანის გატაცებას გეგმავდნენ. ამ ვარაუდს ახლა უკვე ველარავინ დაადასტურებს. არადა, არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის გარკვევაც, პატიმართა ცოცხლად დატოვების შემთხვევაში, ურიგო არ იქნებოდა, კერძოდ, როგორ, რა ვითარებაში და ვისი დახმარებით გამოაღწიეს მათ ციხიდან.



*პოლიციამ ოპერაცია "წარმატებით" ჩაატარა.*

ციხიდან კი აწ ლიკვიდირებული ორი ბოროტმოქმედი სხვადასხვა დროს არის გაქცეული.

ერთი მათგანი – პაატა დოლაბერიძე მე-5 საპყრობილიდან ახლახანს, სხვა თოთხმეტ პატიმართან ერთად გაიქცა. მისი სახელი, ბოლო ერთი წლის მანძილზე, არაერთ კრიმინალურ ისტორიაში ფიგურირებდა. თავად იგი პოლიციურ ცნობებში კრიმინალური დაჯგუფების ლიდერად მოიხსენიება. დოლაბერიძე შარშან ზაფხულში დააკავეს, მას შემდეგ, რაც ბენზინგასამართ სადგურზე თავდასხმისას ორი ადამიანი მოკლა. დააკავეს მისი ჯგუფის რამდენიმე წევრიც.

შაბათს ლიკვიდირებული მეორე ბოროტმოქმედი – გავაშელაშვილი ერთი წლის წინ საგარეჯოს მესამე მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაიქცა. კოლონიიდან ის ორ სხვა პატიმართან ერთად გეგმავდა თავის დაღწევას, თუმცა, გაქცევის გეგმის განხორციელებისას კოლონიის გუშაგებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. გავაშელაშვილის ორი თანამოაზრე დაიჭრა, მან კი გაქცევა მაინც მოახერხა. სავარაუდოდ, სწორედ გავაშელაშვილი ახლდა დოლაბერიძესა და მასთან ერთად ციხიდან გამოქცეულ უტიაშვილს გლდანში მომხდარი მკვლელობისას.

როგორც ცნობილია, უტიაშვილი სამართალდამცველებმა სწორედ გლდანში მომხდარი ინციდენტისას მოკლეს. ეს ამბავი, დაახლოებით, ორი კვირის წინ მოხდა: პოლიციის სამკაციანმა პატრულმა სამი საეჭვო პიროვნება შენიშნა, რომლებიც მოზრდილ ჩანთებს ტაქსის საბარგულში ალაგებდნენ. მათთვის საბუთების მოთხოვნას სროლა მოჰყვა. სროლისას ორი პოლიციელი დაიჭრა, მესამემ კი, რომელსაც დანარჩენებისგან განსხვავებით, ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, გაქცეულებს ესროლა და ერთი მათგანი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა – უტიაშვილი მოკლა. დანარჩენმა ორმა გაქცევა მოახერხა. სროლისას, ბოროტმოქმედთა მიერ ავტომატიდან ნასროლი ტყვიით დაიჭრა გზაზე საკუთარი მანქანით მიმავალი მოქალაქე ირემაშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მაშინ პოლიციას, რომელმაც მოკლულ დამნაშავეში ციხიდან გაქცეული უტიაშვილი ამოიცნო, თავიდანვე გაუჩნდა ეჭვი, რომ შემთხვევის ადგილიდან გაქცეული წყვილიდან ერთი პაატა დოლაბერიძე უნდა ყოფილიყო. დღეს კი, უკვე ვარაუდობენ, რომ გლდანში მომხდარი ინციდენტის მესამე მონაწილე შაბათს ქუთაისში ლიკვიდირებული გავაშელაშვილი გახლდათ.

# „პოლიციამ საკუთარი თანამშრომელი აწამა" - ამბობს ადვოკატი

თამარ კაციტაძე

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკნიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში კიდევ ერთი ნაცემი პატიმარი გადაიყვანეს. მიღების წინ 21 წლის ირაკლი თუშიშვილს დაწესებულების თანამშრომლებმა შემოწმება ჩაუტარეს.

**"პატიმარს საპყრობილეში შემოსვლისას აღენიშნება ორივე მხარზე და ბარძაყებზე მოწითალო სისხლნაჟღენთები, ზურგზე კი მრავლობითი ნაკაწრი. ბრალდებულის გადმოცემით, დაზიანებები მიღებული აქვს შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში".** – წერს ცნობაში საპყრობილის ექიმი. აღნიშნული ცნობის საფუძველზე სასჯელაღსრულების დაწესებულებამ მოკვლევა დაიწყო და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა. ექსპერტმა ახალბედაშვილმა დაადასტურა თუშიშვილის დაზიანებები და შესაბამისი დასკვნაც დაწერა.

ამასთან ერთად, თუშიშვილის საქმეში დევს ცნობა, რომელიც შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორის ექიმმა ერთი დღით ადრე გასცა: **"პატიმარი პრაქტიკულად ჯანმრთელია და მას დაზიანების კვალი არ აღენიშნება".** სხვათა შორის, იმ დღეს - 19 ივნისს ირაკლი თუშიშვილს სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მაგრამ პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ მიუყვანიათ. ერთი ღამით იგი კვლავ "კაპეზეში" დააბრუნეს, რაც კანონის უხეში დარღვევაა. როგორც თუშიშვილის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ირწმუნება, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, პოლიციამ №5 დაწესებულებაში წაიყვანა, მაგრამ საპყრობილის ეზოში შესულ პოლიციელებს ვიღაცამ დაურეკა და პატიმარი კვლავ იზოლატორში წაიყვანეს. იმას, რომ თუშიშვილი პოლიციამ მართლაც მიიყვანა საპყრობილის ეზოში და შემდეგ უკან წაიყვანა, არც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები უარყოფენ.

თუშიშვილმა დაზიანებები სწორედ 19-დან 20 ივნისამდე მიიღო.

**"იმის გარდა, რომ "კაპეზეში" მიბრუნებული ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პოლიციამ სასტიკად სცემა, იგი ელექტროშოკითაც აწამეს",** - ამბობს ადვოკატი როსტიაშვილი.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ნარკომანიის განყოფილების თანამშრომელი ირაკლი თუშიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილმა ყაჩაღობისა და დოკუმენტების მითვისების ბრალდებით 16 ივნისს დააპატიმრა.

მიუხედავად იმისა, რომ, კანონით, პოლიციის თანამშრომლის საქმის გამოძიება მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურის პრეროგატივაა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძებო ნაწილის გამომძიებელმა ზაზა შანშიაშვილმა, როგორც ჩანს, კოლეგა პროკურატურისთვის "ვერ გაიმეტა" და კანონის დარღვევა არჩია. სხვათა შორის, პოლიციის თანამშრომლის მიმართ პოლიცია რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას ითხოვდა, ამაში საეჭვო არც კრწანისი-მთაწმინდის რაიონის მოსამართლეს სონღოლაშვილს შეუმჩნევია და მოთხოვნა უკრიტიკოდ დააკმაყოფილა. საეჭვო კი, როგორც ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ირწმუნება, საქმეში ბევრი რამაა.

გამოძიება თუშიშვილს მოქალაქეების - წიკლაურის და იმნაიშვილის დაყაჩაღებაში ედავება. თითქმის ერთი წლის წინ ცოლ-ქმარს რამდენიმე ბოროტმოქმედმა ფული და სხვა ძვირფასი ნივთები გასტაცა. სხვათა შორის, აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე თვის შემდეგ გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგამოძიებო ნაწილმა კერძო დაცვის სამსახურის "იმედის" თანამშრომლები - გოგილაშვილი, კაპანაძე და ბროლიძე დააპატიმრა, მაგრამ რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებს დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი, სამივე პატიმარი გაათავისუფლეს და საქმეც დახურეს.

მიმდინარე წელს კი დაზარალებულთა მოთხოვნის საფუძველზე საქმე კვლავ განახლდა და გამოსაძიებლად შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიქვემდებარა. სწორედ განახლებული გამოძიების შემდეგ (ანუ თითქმის ერთი წლის შემდეგ) დაზარალებულებმა საკუთარ ჩვენებაში ახალი და "მნიშვნელოვანი" დეტალი გაიხსენეს. **"დაყაჩაღების დროს ერთი პიროვნება, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული, გვემუქრებოდა და იარაღს გვირტყამდა. პოლიციის თანამშრომლობის დამადასტურებელ ლურჯ საბუთს გვაჩვენებდა და ყვიროდა ირაკლი ვარო",** – ასეთი შინაარსის ჩვენება მისცეს განმეორებითი დაკითხვისას დაზარალებულებმა და სწორედ ეს ჩვენება დაედო საფუძვლად ირაკლი თუშიშვილის დაპატიმრებას (ცნობისათვის, თუშიშვილი რესტორან "ასტორიას" ერთ-ერთი მეპატრონის შვილია). თუმცა, მისი ადვოკატის ინფორმაციით, პოლიციამ დაზარალებულების დახმარებით შეთხზა აღნიშნული ბრალდება, თორემ რეალურად მათ სულ სხვა "დაინტერესება" აქვთ.

**"როგორც ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა მითხრა, პოლიცია მისგან სხვა მძიმე დანაშაულის აღიარებას მოითხოვდა; კერძოდ, თუშიშვილს წამების დროს აიძულებდნენ, ეღიარებინა, რომ თითქოს მან, ძმასთან და მამასთან ერთად, ვიღაც პიროვნება მოკლა. თუშიშვილი იმდენად არის ნაწამები, რომ ზუსტად გვარსაც ვერ იხსენებს,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზურაბ როსტიაშვილმა.

დაცვის მხარემ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმეში ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციაც, მაგრამ გენინსპექციის უფროსი დავით ჯინჯოლავა, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავს იკავებს. **"საქმეში რამდენიმე საათის წინ ჩავერთეთ და არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ორ დღეში ყველაფერს გავარკვევთ და გეტყვით",** - გვპირდება ჯინჯოლავა.

ორ დღეში კი საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაც გამოქვეყნდება. **"კარგად ვიცი, ვინ არის ჩემი შვილებით და ჩემი ახლობლებით დაინტერესებული. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ვინახავ ერთ საიდუმლოს. თუ საოლქომაც არ დაიჯერა ჩემი შვილის უდანაშაულობა, მაშინ ყველაფერს ვიტყვი",** – ამბობს ბრალდებულის დედა ქეთევან თუშიშვილი.

ადვოკატი როსტიაშვილი კი სამართალდამცველი ორგანოებისგან მოითხოვს, დადგინდეს ის პიროვნება, ვინც საპყრობილეში მიყვანილი თუშიშვილი "კაპეზეში" დააბრუნა და ვისი ბრძანებითაც იგი ელექტროშოკით აწამეს.

www.24hours.ge
24
B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

დიდი ხანია, ჩვენი დედაქალაქისათვის სისხლხორცეულ თემას, სამარშრუტო ტაქსებს არ შევხებივარ. ერთი პირობა, მახსოვს, იმას ვწერდი, ხალხი ჩივის, "24 საათის" ფორმატი მარშრუტკაში წასაკითხად მოუხერხებელიაო. მაგრამ ხალხი ჩივის, ჩივის და ბოლოს გამოსავალს მაინც ნახულობს: დღეს, მაგალითად, ერთი სანდომიანი ქალბატონის გვერდით ვიჯექი მარშრუტკაში; ქალბატონს ხელში ცოცხალი ყვავილების დიდი და ბუნებრივად, ესე იგი, საკუთარი ხელით შედგენილი თაიგული ეჭირა და ეს თაიგული ჩვენი გაზეთის ძველ ნომერში იყო შეხვეული. კაცმა რომ თქვას, ძველი გაზეთისთვის არცთუ უღირსი გამოყენებაა, მაგრამ ახლა კვლავ ეს მინდა გავიმეორო: ხალხი ბრძენია, იჩივლებს, იჩივლებს და პრობლემასაც გადაწყვეტს.

აკი ევროსაბჭოს ბრიტანელმა ექსპერტმა, **გავინ მილერმაც** იგივე არ გვითხრა? ხომ გაეცანით 18 ივნისის ნომრის პერსონას (**მაია ჭალაგანიძე**, *ხელისუფლება ძალაუფლებას ძნელად ეთხოვება*): "**თითოეული საჩივარი წვეთობით ემატება მთლიან პოლიტიკურ ფონს. საბოლოო ჯამში, თასი ივსება და სისტემა იცვლება**". აგაშენა ღმერთმა, გავინ, მაგრამ თასი თასად და ჩვენში კი უფრო უძირო ჭაა, რომლის ავსებას აღარ დაადგა საშველი. თუმცა, მარტო ეს არაა საინტერესო მისტერ მილერისა და ევროსაბჭოს სხვა ექსპერტთა ჩამოსვლაში, რომელსაც, როგორც რეტრო სტილზე გადარეული ჟურნალისტი დაწერდა, გასულ კვირას ჰქონდა ადგილი.

ჯერ ერთი, იმავე 18 ივნისის ნომერში **თამარ ხორბალაძის** მასალის სათაური რად ღირს: *ეუთო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაზე უარს ამბობს*. ესეც ასე! აბა, ერთი ვნახოთ, რატომ ამბობს. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს დირექტორს, კრისტიან შტროჰალს თურმე ორჯერ მოუხდა იმის განმარტება, რომ "**ეუთო-ს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება არ იქნება მართებული, რადგან ეს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავს**". ალბათ, ჟურნალისტები მიზეზის სიმარტივის გამო ვერ იჯერებდნენ, თორემ ჩვენს მედიას რაიმეს ორჯერ ახსნა როგორ უნდა დასჭირვებოდა. არა, თამარ ხორბალაძის სტატიაში ისიც წერია, რომ შტროჰალმა ეს განცხადება ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტთან გამართული დახურული შეხვედრების შემდეგ გააკეთა, მაგრამ ნუ გამოვეკიდებით სიტყვაზე ავტორს და ნუ გვეგონება, რომ იქ, სამინისტროში და მერე პრეზიდენტთან ავსტრიელი შტროჰალი ქართულად შეაბეს. ჯერ ერთი, ამის შესახებ არაფერი ვიცით, მეორეც, ამგვარი ახსნა ნამდვილად არაპროდუქტიული იქნება — ვერაფერს ვისწავლით გარდა იმ მილიონჯერ უკვე გამეორებული დებულებისა, რომ მთავრობა არ გვივარგა. მოდით, თვითონ შტროჰალის გამონათქვამივით მარტივი და ნათელი დასკვნა გამოვიტანოთ: დიდი ბიჭები ხართ უკვე და თქვენს თავს თვითონ მოუარეთო!

მე კი ცხონებული **ვლადიმირ ვისოცკის** ერთი სიმღერა გამახსენდა: а вчера все вокруг говорили: Сэм Брук, Сэм наш гвинейский друг. ოღონდაც ჩემს შეგრძნებებს არანაირი ბოლმა არ ახლდა, გარდა ალალი გაკვირვებისა. ჯერ ხომ "ნაციონალებმა" ატეხეს ერთი ვაი-უშველებელი — ეუთოს მოვითხოვთო, მერე ხომ "დემოკრატები" აყვნენ უნისონში. საქმე იქამდე მივიდა, რომ "ლეიბორისტებმა" დაიჩემეს, ჩვენ ამას მანამდეც ვამბობდითო. არც მესამე სექტორში იყო საქმე უკეთესად: ერთბაშად რაღაც "მაოკი" გაჩნდა, ლამის ის მომაგონა, ცივი ომის დროს რომ "მიუმხრობელ ქვეყანათა" კოალიცია არსებობდა. თუმცა, "მიუმხრობელი" და "მიუკერძოებელი" მაოკი გააფთრებით იცავდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადგილობრივ "სასტავს". ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ გამიკვირდა: ნუთუ ვერავინ გამოჩნდა მთელს ამ მრავალხმიანობაში, ვინც ჰერ შტროჰალის ასეთ უბრალო პასუხს იწინასწარმეტყველებდა ან ივარაუდებდა მაინც. იქნებ ამისთვის ეუთო-ს წესდების წაკითხვა იკმარებდა. არ გვცალია, ბატონო, არ გვცალია — არჩევნები კარს მოგვადგა!

პოლიტიკური სპექტრი არჩევნების საბედისწერო მოახლოებას ვერ მოსწყდა, მე კი 18 ივნისის ნომერს. ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია ეს ნომერი. აი, **ლელა მჭედლიძის** სტატია აგრძელებს ჩვენს მიერ დაწყებულ თემატიკას: *არჩევნები და მედია; ევროსაბჭოს ხალისიანი ექსპერტები და გამცდენი ქართველი პოლიტიკოსები*. თურმე 17 ივნისს ეუთო-ს ექსპერტების გუნდს სემინარი ჩაუტარებია სასტუმრო "სიმპათიაში": "არჩევნების პერიოდში მედია და პოლიტიკოსები". მართალი გითხრათ, ასე აჯობებდა: "მედია და პოლიტიკოსები არჩევნების პერიოდში". მაგრამ ამით უხერხულ სტილზე არ მივუთითებ მხოლოდ — სემინარის სათაურის გამეორება მინდა. ხომ გაიგემოვნეთ, რომ მნიშვნელოვანია ეს თემა? ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ (ასე გვიმტკიცებენ ყველანი), დემოკრატიულ სახელმწიფოში კი მედიის მნიშვნელობა არჩევნების დროს გადამწყვეტი რომაა, ეს კამათის საგანს, მგონი, არ უნდა წარმოადგენდეს. მაშ, რატომ გააცდინეს სემინარი ჩვენმა პოლიტიკოსებმა. სამწუხაროდ, სტატიაში მხოლოდ ისინი არიან მოხსენიებული, ვინც მოვიდა: "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილი და "აღორძინებიდან" — ვალერი გელბახიანი. ჯერ, "უჟასის" ჟანრის ყველა კანონის დაცვით, პატარა სასპენზი უნდა შემოგთავაზოთ: კი ბატონო, "აღორძინება" განყენებული სახელია, არანაირად არ ასახავს ბლოკის პოლიტიკურ შინაარსს, ამიტომ ბრჭყალებში მისი ჩასმა გამართლებულია, მაგრამ ნუთუ ყველას ასე გვეპარება ეჭვი, რომ ქართველი "სოციალისტები" შინაარსითაც სოციალისტები არიან? ახლა სასპენზი მორჩა და საქმეზე გადავიდეთ: სტატიის ავტორმა გვითხრა, რომ მოწვეული სტუმრების სია საკმაოდ გრძელი იყო. როგორიც არ უნდა იყოს დასწრება, გამცდენთა ვინაობა ყოველთვის გაცილებით უფრო საინტერესოა და ინფორმაციული თვალსაზრისით — არსებითი. ვინ იყო მოწვეული "ნაციონალებიდან" ან "დემოკრატებიდან"? — ხომ ხედავთ, მეც ბრჭყალებს მივმართავ უკვე. რატომ არ მობრძანდნენ? დროში როგორ იყო განაწილებული სემინარი და კრისტიან შტროჰალის განცხადება? ამ ბოლო კითხვაზე პასუხი მეტად მნიშვნელოვანია: გამცდენმა პოლიტიკოსებმა უკვე იცოდნენ, რომ ეუთო-ს მონაწილეობა მომავალ არჩევნებში საკმაოდ შეზღუდული იქნებოდა თუ ჯერ არა?

თუ ჯერ არ იცოდნენ, მაშინ არმოსვლა უბრალოდ უდარდელობას ან სხვა რამ ადამიანურ, თუმცა კი ადამიანურობის გამო არცთუ საპატიო მიზეზს უნდა მივაწეროთ. მაგრამ თუ იცოდნენ, ზემოხსენებულ ადამიანურ ფაქტორებს კიდევ ერთი მიზეზი ემატება: ჩვენი პოლიტიკოსებისთვის ეუთო და არა მარტო ეუთო, არამედ ღირებულებათა ის კომპლექსი, რომელზედაც ეს ორგანიზაციაა დაფუძნებული, მხოლოდ ინსტრუმენტია. როგორც ეტყობა, რეალურად არავინ ფიქრობს არც ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას, არც ხალხის შეგნების აღზრდას, არც ადამიანის უფლებათა პატივისცემას. მთავარია, ელექტორატი ყოველთვის საკმარისად იდიოტურ მდგომარეობაში შენარჩუნდეს, რომ თეთრ-წითელი ან ყვითელ-მწვანე, ან ლურჯ-თეთრი ზიზილ-პიპილებით მოიხიბლოს. პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები, თითქოს ცდილობენ, ჩვენში მათთვის სასურველი პირობითი რეფლექსები გამომუშავდეს ფერთა გარკვეულ შეხამებაზე გარკვეული რეაქციის სახით.

მაგრამ აკი მოგახსენეთ, რომ ხალხი ბრძენია და მალევე მიუხვდება, რასაც ცდილობენ. ისინი კი არა მარტო ცდილობენ, არამედ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ცდას არ აკლებენ... ოღონდ რას? აი, ისევ 18 ივნისის ნომერი და **თამარ მჭედლიშვილის** სტატია *თამაში რიცხვებით — უშედეგო კონსულტაციათა სერია გრძელდება*. როგორ იწყება სტატია? — "**სამი — ცხრაში, ხუთი — თერთმეტში, ექვსი — ოცში, რვა — ოცდაერთში" — ეს აზარტული მოთამაშეების მიერ გაკეთებული ფსონები ან პენალტების სერია არ გახლავთ. ეს ვაჭრობაა. მას ოფიციალურ-პოლიტიკურ ენაზე პარლამენტართა დახურული კონსულტაციები ეწოდება. იგი, როგორც მიხვდით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეხება და რიცხვებით კომისიის წევრთა რაოდენობა და პარტიათა კვოტები აღინიშნება**". კიდევ ერთხელ: ხელისუფლება და ოპოზიცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაზე და მასში "თავისიანების" წილზე კამათობს. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ ამაზე კამათი არ შეიძლება, მაგრამ რის მანიშნებელია ის ვითარება, რომ კამათი მხოლოდ ამის გარშემო მიმდინარეობს? არ გჯერათ? აი, ნაწყვეტი სტატიიდან: "**პარლამენტარებს მაინც სჯერათ, რომ დღეს ვითარება შეიცვლება. ასე მაგალითად, ბატონი ხაზარაძე იმედოვნებს, რომ დღეს პარლამენტარები კონსენსუსს მიაღწევენ და რიცხვთა ახალ კომბინაციებზე საუბრობს**". რიცხვებისა და წილების მიღმა ვერ მიდის მათი გონება! ერთადერთი გასაყოფი შემდეგია: ვის დარჩება წევრთა ორი მესამედი. თუმცა კი, ერთი გადაწყვეტილება შეიძლება ვუკარნახოთ კამათის მონაწილეთა შესათანხმებლად: ვისაც არ გაუმართლებს და გასაყოფი რეალობის მხოლოდ ერთი მესამედი შერჩება ხელში, სანუგეშოდ ის მაინც შეიძლება მოითხოვოს, რომ ეს მესამედი გრძელი იყოს.

აი, ასე ვითარდება ჩვენი წინასაარჩევნო ციებ-ცხელება, რომელმაც მეც შემიპყრო და კარნავალური მოტივის გათამაშებასაც ვერ ავცდი ამ გაგანია ივნისში. "იმედი ბოლოს კვდებაო" — გვახსენებს თამრიკო მჭედლიშვილი და ჩვენც დავეთანხმოთ. მით უმეტეს, თუ ჩვენში **პაატა ბურჭულაძის** ოცდახუთწლიანი სასცენო მოღვაწეობის საპატივცემულოდ გამართულ კონცერტში ბორის გოდუნოვის ზეობის სცენა გუნდისა და ზარების გარეშე შეასრულეს, რის გამოც ბილეთზე ასი ლარის დამხარჯველი მაყურებელი რამდენიმე ათეული ტაქტის განმავლობაში ორკესტრის გაშიშვლებულ ცუმპა-ცუმპას უსმენდა, რატომ არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ჩვენში საოცნებო დემოკრატიული არჩევნები ეუთო-ს ექსპერტთა ან, თუნდაც ცესკო-ს გარეშე ვერ ჩატარდება? საქართველო ხომ სასწაულების ქვეყანაა!

დადასტურებაც ასეთი უნდა: სასწაულების კატეგორიას ხომ "ლეიბორისტების" ახალი პროექტიც განეკუთვნება, რომლის შესახებ ბელა მახარაძემ გვაუწყა 20 ივნისს: "**მას შემდეგ, რაც "ლეიბორისტების" ინიციატივა — საარჩევნო კომისიები ეუთო-ს წევრებით დაეკომპლექტებინათ, არ იქნა მიღებული შესაბამისი ორგანოების მიერ, მათ ახალი წინადადება შეიტანეს პარლამენტში და ითხოვენ, არჩევნების შედეგი სასამართლომ დაამტკიცოს**". ნეტა რა პასუხი შეხვდება **შალვა ნათელაშვილის** შემდეგ ხმამაღალ განცხადებას? — "**თუ ყველა მათგანს** (ე. ი. ქართულ სასამართლოებს — *ნ. ლ.*) **გაუწყდება ნამუსის ძარღვი, არჩევნების შედეგების დამტკიცება, მე-6 მუხლის მიხედვით, პირდაპირ ევალება ევროპის სასამართლოს**". საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი ბრძანებს: "*საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ*". მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ ყველა საკითხზე, შუქის ტარიფის ჩათვლით, ნათელაშვილმა ხან სტრასბურგში იჩივლოს და ხან ჰააგაში?

დიახ, საქართველო სასწაულების ქვეყანაა, თუმც კი, როგორც ყოველთვის — "ყოველგნით შეიწრებული". არაფერს ვამბობ სავალუტო ფონდის მოთხოვნებზე და პრესის ფურცლებიდან თუ ტელეეკრანებიდან სულ უფრო ხშირად მომზირალი ქართველი ფინანსისტების უსაფუძვლო იმედებით აპრიალებულ თვალებზე. ეს მზარდი დაძაბულობა მეც მაშინებს და, უნდა გითხრათ, ხელისა და გულის კანკალით ინტერვიუს ფინანსთა ექსმინისტრთან, დავით ონოფრიშვილთან (20 ივნისი, **მაია ჭალაგანიძე**, *მთელი მთავრობის პასუხისმგებლობას ყოველთვის ფინანსთა მინისტრს აკისრებენ...*). ერთი პირობა, რაღაც სხარტისა და ბასრის დაწერა მინდოდა ჩვენი კურთხეული სამშობლოსა და სავალუტო ფონდის გაფუჭებულ ურთიერთობებზე, მაგრამ აქ ნამდვილად უადგილო იქნებოდა. საფრთხე არა მარტო აშკარაა, მისი უშუალო მსხვერპლი მე და თქვენ გავხდებით. ექსმინისტრთან ინტერვიუ ასე იწყება: "**დავით ონოფრიშვილი ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე წინა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე დაინიშნა. ახლა მოგეხსენებათ, რომელი წელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში პროგრესს მხოლოდ პრობლემები განიცდიან, რადგან გადადგომისას დავით ონოფრიშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები — თუ სისტემა არ შეიცვალა, ვითარებას ვერც ერთი ფინანსთა მინისტრი ვერ გამოასწორებსო — დღესაც აქტუალურია**".

მართლაც, აქტუალურია ეს სიტყვები და აქ კი დგება მთავარი საკითხი: რას ვუწოდებთ სისტემას? შევარდნაძეს და ძმათა მისთა? თუ საქმის არსი უფრო ღრმაა? აი, არასამთავრობოებმა საქართველოს პრეზიდენტისადმი კიდევ ერთი ღია წერილი დაბეჭდეს 19 ივნისს და ვინ იცის მერამდენედ ითხოვენ რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის გადაწყვეტას. საბაბიც მნიშვნელოვანი აქვთ: 15 ივნისს, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში ბაპტისტური ეკლესია დაუწვავთ. წერილში ვკითხულობთ: "**ხელისუფლება კვლავინდებურად უმოქმედოა და ფარულად თუ აშკარად აქეზებს გალაღებულ ექსტრემისტებს**". მაგრამ ვისი ხელისუფლებაა ეს და ვინაა ამ ხელისუფლებაში?

განმარტებისთვის მოვიყვან ერთ განცხადებას, რომელიც რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ დერეფანში ვიხილე კედელზე გაკრული (სტილსა და კორექტურას ვინარჩუნებ):

*სრულიად საქართველოში და საინგილოში, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებელი ბერი, მალხაზ I — ლუკაშვილი.*

*იაღოველებო, ბაბტისტებო და სხვადასხვა მტრებო და დამანგრევლებო ქრისტიანული მართლმადიდებელი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, დროა გონს მოეგოთ, დაუბრუნოთ თქვენი ჭეშმარიტი გამჩენი მამის სახლს, მშობლიურ კერას, ეკლესიებსა და ტაძრებს, მშობლიურ დედა ეკლესიას. სძლიეთ და მიუხვდით ეშმაკს, მის სატანურ შთაგონებასა და ძალებს, დაიხსენით თავი მისი დამღუპველი კლანჭებისაგან და დაუბრუნდით თქვენს ჭეშმარიტ ღმერთს, იესო ქრისტეს, ჩვენს მხსნელსა და ჩვენს მშველელ ღმერთს. შეიცანით უფალი ჭეშმარიტად, დაადექით მის ჭეშმარიტ გზას, შეუდექით მის ჭეშმარიტ მოძღვრებას თქვენივე სულის გადასარჩენად და სახსნელად. ნუ იტყუებთ თავს და ნუ ღუპავთ ხალხთა სულებს, მოინანიეთ თორემ დრო აღარ ითმენს, მოახლოებულია საშინელი სამსჯავრო, განკითხვის დღე, რასაც ვერ გადაურჩებით ხალხთა სულების დაღუპვის გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაეცემით სამუდამო სატანჯველს.*

როგორაა შესაძლებელი ამგვარი ტექსტის წარმოშობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ან მის გარეთ? — თუ ეს მალხაზ I ეკლესიის წევრია, გაუგებარია, თუ ვისი კურთხევით ქადაგებს ამგვარად. თუ იგი სქიზმატია, ან რომელიმე თავისთავად წარმოშობილი ქარიზმატული დაჯგუფების ლიდერია, რატომ აქამდე არავის განუხილავს ამ მიმართულების სექტები? მეორე მხრივ, მთავრობის რომელი წევრი ან თუნდაც იმავე არასამთავრობო ორგანიზაციების რომელი აქტივისტი შეამჩნევს, რომ "ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მქადაგებელს" სემინარული ღვთისმეტყველების დისკურსიც ვერ აუთვისებია და ქრისტიანული მისიის მეთოდებზეც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს? გამოდის, რომ თხოვნის მიმღები სუბიექტი ვერ გაიგებს, კონკრეტულად რას ითხოვენ დასავლეთის ეს ემისრები. თხოვნის ავტორთა უმრავლესობა კი ბრმად ითხოვს მოცემული საზოგადოებისათვის უცხო ღირებულებათა დამკვიდრებას.

ასეთ ვითარებაში, თუმც კი არასამთავრობოთა და ინტელიგენტთა შეკრებებს ნამდვილად კეთილშობილური მიზანი ამოძრავებს, ეს შეკრებები ნაკლებად ქმედითია. ჯერ კიდევ "რელიგიურ თემაზე მორატორიუმის დაწესების" მოთხოვნის დროიდან ვფიქრობ: სად შეიძლება იყოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან? ჯერჯერობით შემდეგ დასკვნამდე მივედი: დავსხდეთ ყველანი ერთად — სამღვდელოება, მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება — და ვიმსჯელოთ ფართოდ და დაუფარავად. საკითხი ნამდვილად ღირს საამისოდ. ახლა ზოგიერთები მოწინააღმდეგეებს უღრენენ, ზოგიერთები — მოუწოდებენ. უმრავლესობა მათ შორის ირჩევს, მაგრამ არჩევანის კრიტერიუმები უცნობია. დავსხდეთ, ნუ დაგვენანება დრო და ძალები. ოღონდ ყველანი ერთად ვიყოთ და ბევრნი. ნუ შეგვეშინდება, თუ უცებ აღმოჩნდება, რომ ჩვენი რეალური სულიერება სამარხვო რაციონის დაცვასა (სამარხვო ნაყინი!) და საკურთხის გასამზადებელი დღეების ცოდნას არ აღემატება. რომ ამგვარი ვითარებით ერიც და ბერიც ერთნაირადაა კმაყოფილი. ყოველგვარი სნეულება განკურნებადია, თუ მისი დაძლევის სურვილი გულწრფელია. ამგვარად, მალხაზ I-ს არ მოჰყვება მალხაზ II.

სწორედ ამ მალხაზების წარმომშობი რეალობაა სისტემა, და არა შევარდნაძის კლანი, რომელიც მხოლოდ დროებითი ლაქაა სისტემის კანზე. ეს ლაქაც გაქრება, ოღონდ ნურავინ მიიწერს დასტაქრის ღირსებას, თუნდაც იმიტომ, რომ იმავე წუმპეში დავრჩებით!






## ბიძინა მაყაშვილის სვეტი



## გასტროლები

როგორც კი კალენდარული შაბათი დადგა, ანუ როგორც კი პარასკევს საათის ისრები ღამის 12 საათს გადასცდა, ბრიტანეთში როულინგის მეხუთე წიგნის, "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენის" გაყიდვა დაიწყეს. წიგნი რომ დაწერამდე ბესტსელერი იქნებოდა, ერთი წლით ადრე იყო ცნობილი. ჩვენთვის საინტერესო სხვა რამეა: გამოსვლამდე ორიოდე დღით ადრე წიგნის, დაახლოებით, 8 ათასი ეგზემპლიარი მოიპარეს. ვეჭვობ, რომ საქართველოში უკანასკნელ ხანებში ასეთი ტირაჟით რამე წიგნი გაყიდულიყოს (თუ არ ჩავთვლით იგივე ჰარი პოტერის პირველ წიგნს).

გარდა ამისა, დღეს ორი კვირა შესრულდა, რაც ამერიკაში ჰილარი კლინტონის წიგნი, "ცოცხალი ისტორია" გამოვიდა. გამოსვლიდან მეორე დღეს უკვე 200 ათასი ცალი იყო გაყიდული. საწყისი ტირაჟი ერთი მილიონი ჰქონდა, მაგრამ, ცხადია, რომ მალე დამატება მოუწევთ. შთამბეჭდავია, არა?!

ამდენი წიგნი საქართველოში, ალბათ, ერთი წლის განმავლობაშიც არ იყიდება (თვით სკოლის სახელმძღვანელოების ჩათვლით). გარანტირებული კომერციული წარმატების მომტანი სახელმძღვანელოების გამოცემის უფლებებზე ნადირობა კი ჩვენი გამომცემლების დიდი ნაწილის საყვარელი საქმიანობაა.

თუმცა, ბოლო ხანებში ამ მხრივ სასიკეთო ცვლილებებია. გამოჩნდნენ გამომცემლები, რომლებიც არა მარტო არაკომერციულ, არამედ ყოვლად წამგებიან, ჯერ არავისთვის ცნობილ ქართველ ავტორებს ბეჭდავენ. ეს კიდევ არაფერი, უარესს გეტყვით - ისინი პოეზიასაც "ეთამაშებიან". და საოცარი ის არის, რომ ეს "ოხერი" პოეზიაც იყიდება. და რადგან იყიდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ფული მოაქვს.

საერთოდ, ფული ბევრ რამეს მოაქვს. მთავარია, საკუთარი თავსი აიძულო - უარი თქვა რაღაც პრინციპებზე. მაგრამ არსებობს ფულის გაკეთების სხვა გზაც - ორიგინალური მიდგომა ტრადიციული თემებისადმი. მაგალითად, როგორც გამომცემლობა "ლიტერამ" მოახერხა: თანამედროვე, პოპულარულ ქართველ მწერლებს შეუკვეთა საქართველოს ისტორიის ფრაგმენტები, მიმზიდველად დაასურათებინა... და შედეგიც სახეზეა; სიძვირის მიუხედავად, წიგნები პოპულარობით სარგებლობენ. კიდევ ერთი მაგალითი: გამომცემლობა "არეტეს" წარმატებული დებიუტი შედგა ბესიკ ხარანაულის პოემით, "ამბავი ამბა ბესარიონისა". დებიუტი ჰქონდა აგრეთვე "რუსთავი 2 პრინტს" სამი ახალი წიგნით: ოთარ ჭილაძის ახალი რომანით, "გოდორი", თანამედროვე ქართველი მწერლების კრებულით "დღეს" და ნიკოლოზ რურუას ესეების და დემოკრატიის საფუძვლების მამამთავრების ნაშრომების ნაკრებით.

დღეს საქართველოში წიგნების გაყიდვის მაჩვენებელი ახლოსაც ვერ მივა 15 წლის წინანდელ რაოდენობებთან, მაგრამ აქედან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ დაკარგა საქართველომ, რომ წიგნზე მოთხოვნის დაცემა არ უნდა გაგვიკვირდეს; მით უმეტეს, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. თბილისში უკვე მეხუთედ ჩატარდა წიგნის ბაზრობა-ფესტივალი და ყოველი მათგანი წინაზე უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. რა თქმა უნდა, იმის ილუზია არ გვაქვს, რომ ჩვენი ბაზრობა ისეთივე მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ფრანკფურტის, ან თუნდაც მოსკოვის ანალოგიური ღონისძიებები. ჩვენ ბაზრობას ჯერჯერობით უფრო სხვა ფუნქცია აკისრია - ის ამ ეტაპზე პოპულარიზაციას ემსახურება და აღწევს კიდეც მიზანს: ამ ბაზრობაზე ორიოდე ისეთი ნაცნობი შემხვდა წიგნებით ხელში, რომელთა მთავარ საზრუნავს ცოტა ხნის წინათ, წინა საღამოს მათ მიერვე დაცლილი ბოთლების ჩაბარებით, "პახმელიაზე" გამოსვლის საშუალების მოპოვება წარმოადგენდა.

მაგრამ, რა გგონიათ - დასავლეთში არ სვამენ?! იქ ისე სვამენ, აქ რომ არც დაგვესიზმრება (აქ არ სვამენ, აქ ქეიფობენ). ან ის ხომ არ გგონიათ, რომ მათ ჩვენზე მეტად უყვართ წიგნი?! ან იქნებ ჰარი პოტერის თავგადასავლები და ჰილარი კლინტონის ქმრის სექსუალური რელაქსაციების აღწერა მიგაჩნიათ დიდ ლიტერატურად და მაღალ ხელოვნებად?! ცდებით, ეს სუროგატია. დასავლეთის მიმართებაში ნამდვილი ხელოვნება ის არის, რასაც გუშინ ვუყურე რომელიღაც ტელეარხზე - ერიკ კლეპტონის კონცერტი და 7 ოსკარის მფლობელი ფილმი ალეკ გინესის მონაწილეობით - "ხიდი მდინარე კვაიზე".

ინგლისური "ვოლკანოს" თეატრი, ფრანგული თეატრი ლიონიდან და ლათინური მუსიკის საღამო ხელოვნება არ არის, შოუ-ბიზნესია.

ასევე, რაც არ უნდა დიდი ფეხბურთელი იყოს, დევიდ ბექჰემის ტრანსფერი ფეხბურთი არ არის - ბიზნესია. რაც შეეხება საქართველოს - არც რუსული "ვიაგრას", არც ფრანგული "ბაბურის" და არც ინგლისური "ინკოგნიტოს" გასტროლი არ არის ხელოვნება; ეს გართობაა, დროის მოკვლა. ხელოვნება ის არის, რაც პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე ხდებოდა (სოტკილავა, ქასრაშვილი, ათანელი, ნიქაბაძე, გულეგინა, დემურიშვილი...); ხელოვნება ირმა ნიორაძის და ნიკოლოზ ცისკარიშვილის "ჟიზელია".

გული მარტო იმაზე მწყდება, რომ ისინიც გასტროლებზე არიან ჩამოსულები საქართველოში.

## კოვენტ გარდენის გასტროლები მოსკოვის დიდ თეატრში

29 ივნისის ჩათვლით, მოსკოვის დიდ თეატრში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო დასის – დიდი ბრიტანეთის სამეფო ბალეტის გასტროლები ჩატარდება. სამეფო ბალეტი, რომელიც საოპერო თეატრის – "კოვენტ გარდენის" ყველაზე პრესტიჟული საბალეტო დასია დიდ ბრიტანეთში, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ყოფილა საგასტროლოდ. კოვენტ გარდენის ხელმძღვანელია მონიკა მეისონი.

სამეფო დასი რუსეთის დედაქალაქში თავის რეპერტუარში არსებული საუკეთესო ერთ და რამდენიმე აქტიანი სპექტაკლებით წარდგება. გასტროლებზე ასევე ნაჩვენები იქნება დივერტისმენტები. აღსანიშნავია, რომ დასი სრული შემადგენლობით – 83 მსახიობით წვევა რუსეთის დედაქალაქს. მათ შორის არიან ისეთი ვარსკვლავები, როგორებიცაა: ალინა კოდჟოკარუ, ჯონათან კოუპი, ჯემი ტეპერი, ზინაიდა იანოვსკი და მიიაკო იოშიდა და აგრეთვე მოწვეული სოლისტები – კარლოს აკოსტა და ირეკ მუჰამედოვი.

უკანასკნელად დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრი 1987 წელს გახლდათ მოსკოვში გასტროლებზე, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ამჟამინდელი ტურნე გალა კონცერტით დაიწყება, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნება ბალეტები: "ტრისტი", "სილფიდა", მარიუს პეტიპას "კორსარი", "გედების ტბა", "იუდას ხე", "გლორია", კენეტ მაკმილანის "მაიერლინგი" და სხვა დადგმები.

სულ ცოტა ხნის წინ, სამეფო თეატრის პრეზიდენტი პრინცი ჩარლზ უელსელი გახდა.

# ჯაზი ჩონგურზე

### ფესტივალის არაორდინარული დასაწყისი "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე



ფესტივალი დაიწყო...

გუშინ დილით "ინკოგნიტოს" წევრები თბილისიდან გაემგზავრნენ. წინა ღამით კი მათ თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის გახსნის საპატიო მისიას თავი ღირსეულად გაართვეს. ეისიდ-ჯაზი, ფანკი და ჰაუსი ფესტივალის დასაწყებად საუკეთესო არჩევანი აღმოჩნდა. ჟან-პოლ მონიკმა იოლად აასრულა დანაპირები – კონცერტის დაწყებისთანავე ფესტივალის სტუმრები ცეკვის ჟინმა შეიპყრო. კონცერტის ბოლოს კი მონიკის "ინკოგნიტომ" მთელი დარბაზი ჩონგურით შესრულებულ ჯაზზე აცეკვა.

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" ფესტივალის გახსნაზე მოსული აუდიტორიის რაოდენობა მოულოდნელი არ ყოფილა. განსაკუთრებული უფრო ამ საზოგადოების სპექტრი იყო. ვერ ვიხსნებ ბოლო დროს გამართულ უცხოელ გასტროლიორთა თუნდაც ერთ კონცერტს, სადაც ამდენი ადგილობრივი მუსიკოს-შემსრულებელი შეკრებილიყო, რამდენიც "ინკოგნიტომ" მოიზიდა. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ყველანი ამ ბრიტანული ეისიდ-ჯაზ პროექტის სიყვარულმა მოიყვანა კლუბში. სამაგიეროდ მჯერა, რომ საყოველთაო ინტერესის მიზეზი თავად ფესტივალი იყო.

კლუბში თავიდანვე გამოჩნდნენ თბილისელი ჯაზ-მუსიკოსები (ნაწილი ფესტივალში იღებს მონაწილეობას), ნელ-ნელა ემატებოდნენ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, არამხოლოდ მუსიკოსები: კლიპმეიკერები, ცნობილი სახეები ქართული მოდის სამყაროდან, პოეტები და პოლიტიკოსებიც კი. ერთი სიტყვით, ვარსკვლავები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა სფეროების მიუხედავად, გვამახსოვრებენ თავს. შემსრულებლებს შორის ერთი-ორი ისეთიც გამოერია, ჯაზს რომ ვერასდროს დაუკავშირებ კი არა, ცოცხლად მხოლოდ მეგობრების წრეში, სუფრასთან რომ მღერის. მათი გამოჩენა მსგავს ღონისძიებებზე თავისთავად არაა ცუდი, თუკი რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათ შემოქმედებითი პოტენციის გაზრდაზე და მონდომებაზე დადებითად იმოქმედებს. სხვა შემთხვევაში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მათი ჯაზ-ფესტივალებზე სიარული ე.წ. "მარიაჟობის", საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნის ერთ-ერთი საშუალებაა. სხვა შემთხვევაში, ისინი ვერასდროს მოიპოვებენ ნამდვილი მსმენელის სიმპათიებს ისე, როგორც ეს შაბათს "ინკოგნიტომ" შეძლო.

გემოვნების საქმეა მხოლოდ იმ მუსიკის მოწონება-არმოწონება, რომელსაც "ინკოგნიტოს" წევრები ქმნიან. მაგრამ, არ აღიარო მათი პროფესიონალიზმი, ეს უკვე დაუნახაობაა. კონცერტზე, ალბათ, ბევრი დარწმუნდა, რომ პროექტის ავტორის ჟან-პოლ მონიკის თბილისში რამდენიმეჯერ ნათქვამი ფრაზა – "ინკოგნიტოში" ყველანი თანაბარი დონის ვარსკვლავები არიან, არ იყო ჯგუფის ლიდერისგან სავალდებულო ნათქვამი. ორი საათის განმავლობაში (დაახლოებით, ამდენ ხანს გაგრძელდა კონცერტი) ძალიან გამიჭირდა და საბოლოოდ ვერც შევძელი მათგან საუკეთესოს გამორჩევა. თუმცა, აპლოდისმენტების განაწილების მიხედვით როგორც მივხვდი, თბილისელების სიმპათიები უფრო ვოკალისტების გუნდისკენ იხრებოდა; მართალია არცთუ უსამართლოდ, მაგრამ მაინც მგონია, რომ "ინკოგნიტოს" მთავარი ძალა მაინც ჯგუფის რიტმ-სექციაა.

კლუბის აუდიტორიას საკმაოდ გულუხვად დახვდა ფესტივალზე "ინკოგნიტოს" წარმდგენი "ნესკაფე". კომპანია ცხელი ღამის სტუმრებს ცივი ყავითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდა. ამ კონცერტით "ნესკაფემ" "ისთერნ პრმოუშენთან" ერთად კონცერტების ციკლი "ნესკაფე დენს ფართი" გააგრძელა. ასევე გრძელდება თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენიდან ამერიკელი საქსაფონისტი კენი გარეტი ამჯერად უფრო პრეტენზიული მსმენელის ამბიციებს დააკმაყოფილებს.

# დიდი ჯაზმენი

### კენი გარეტი - ჯაზ-ფესტივალის აკადემიური გაგრძელება

ვერა ნეფარიძე

გუშინ საღამოს "ისთერნ პრომოუშენმა" ჯაზ-ფესტივალის მორიგი სტუმრები მიიღო. დაახლოებით, ხუთ საათზე თბილისში ვენა-თბილისის ავიარეისით კენი გარეტის კვარტეტი ჩამოვიდა. ამერიკელი მუსიკოსების კონცერტს დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი უმასპინძლებს.

თბილისელი ჯაზის მოყვარულებისთვის დღეს განსაკუთრებული დღეა. საერთოდ, წლევანდელ ჯაზ-ფესტივალს ერთი სადაო საკითხი აქვს. სადაოა მოსაზრება, რომ ფესტივალის კულმინაცია იქნება ამერიკული ვოკალური კოლექტივის Take 6-ის კონცერტი; საპირისპიროს ამტკიცებენ ინსტრუმენტული ჯაზის მოყვარულები – კულმინაცია სწორედ დღევანდელი საღამო, პოსტ-ბოპის თანამედროვე ლეგენდა კენი გარეტის კონცერტზე გველის. ჩემი აზრით, ყველაფერი გაცილებით მარტივადაა – უბრალოდ, წლევანდელ ფესტივალს ორი კულმინაცია აქვს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეფასება დღევანდელი ღონისძიებისთვის გადაჭარბებული ნამდვილად არ არის.

არტ ბლეიკი, დიზი გილესპი და მაილს დევისი, - ეს ის ლეგენდებია, ვისთანაც კენი გარეტს შემოქმედებითი კავშირები ჰქონდა წლების განმავლობაში. ასეთი პატივი კი ჯაზში გადამწყვეტი ფაქტორია. ალბათ, არც ის ნიშნავს ცოტას, რომ დღესდღეობით კენი გარეტს იწვევენ: ბრუს სპრინგსტინი, სტინგი და პიტერ გებრიელი. მაგრამ, ყველაზე მთავარი ისაა, რომ კენი გარეტი უკვე თავად გახლავთ ავტორი-



კენი გარეტი თბილისშია

ტეტი. მისი გასტროლი კი უკვე მოვლენაა ამა თუ იმ ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში და ამაში დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში მოსული საზოგადოება თავად დარწმუნდება.

კენი გარეტი რომ სერიოზული ადამიანია, გუშინ აეროპორტშივე დავრწმუნდი. ვერ იყო და ტელე და ფოტოკამერების დანახვისთანავე გარეტი საკუთარი კვარტეტის წევრებთან ერთად მანქანიდან გადმოსვლას არ ჩქარობდა. ბოდიში მოგვიხადა: კამერები გამორთეთ, გთხოვთ, არ ვართ ფორმაშიო. ზრდილობიანი მოსალმების შემდეგ კი ამერიკელი მუსიკოსები ერთ-ერთ ოთახში შეიკეტნენ, მოვწესრიგდებით და გამოვალთო. დროდადრო კვარტეტის წევრები ცდილობდნენ, შეუმჩნევლად გამოსულიყვნენ ოთახიდან და შიგადაშიგ ჟურნალისტებთან გახუმრებასაც ახერხებდნენ, თუმცა მათთან გასაუბრებას დიდად არ ცდილობდნენ. ბოლოს, როგორც ჩანს, ჩვენი განაწყენებისგან დიდმა ჯაზმენმა თავი შეიკავა და რამდენიმე სიტყვით გაგვიზიარა შთაბეჭდილებები დღევანდელი კონცერტის შესახებ. სამწუხაროდ, მგზავრობისგან გადაღლილი მუსიკოსის საუბარი საკმაოდ ზოგადი იყო. "რა თქმა უნდა, ხვალინდელ კონცერტზე წარმოვადგენთ ახალ ალბომს, მაგრამ ამასთან ერთად, ვეცდებით, კონცერტი განსაკუთრებული გამოვიდეს. ჩვენი სურვილია, ყოველი კონცერტი რაღაცით იყოს განსხვავებული სხვა დანარჩენისგან". გარეტისთვის არ ვიცი, მაგრამ თბილისელი მელომანებისთვის რომ დღევანდელი კონცერტი დაუვიწყარი იქნება, ამაში ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება.

# სცენაზე მფრინავი ჟიზელი და პრინცი ალბერი

ნათია ვადაჭკორია

გუშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე შეიძლება ითქვას ვარსკვლავთცვენა იყო. დიდი თეატრის პრემიერის ნიკა ცისკარიძის და მარიას საიმპერატორო თეატრის პრიმა ბალერინას ირმა ნიორაძის მიერ შესრულებული "ჟიზელი", მართლაც, შთამბეჭდავი გამოდგა. ოპერის თეატრში ნემსიც არ ჩავარდებოდა, კიბეებზე და იარუსებზე სპექტაკლის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იკავებდნენ ადგილებს. საერთოდ შეუძლებელია იმ ემოციების და ნანახით განცდილი სიამოვნებისგან დატვირთული გრძნობების გადმოცემა, რაც გუშინ ოპერის თეატრში ხდებოდა.

აღსანიშნავია ირმა ნიორაძის "ჟიზელის" სიგიჟის სცენა პირველ მოქმედებაში, რაც იმგვარად იყო შესრულებული, რომ ჟრუანტელიც კი დაგივლიდა. საერთოდ მაყურებელი მთელი სპექტაკლის მანძილზე ტაქტში აყოლებდა ტაშს ირმა ნიორაძის და ნიკა ცისკარიძის გამოსვლებს. თავი არც ოპერის დასს და ჩვენს სოლისტებს შეურცხვენიათ, პირიქით, ისინიც მაღალ დონეზე გამოიყურებოდნენ.

რაც შეეხება ნიკა ცისკარიძეს, მისი ნახტომი, მართლაც, სცენაზე გაფრენას წააგავდა, ისედაც მაღალი ნიკა ცისკარიძე მფრინავ მზეჭაბუკს



"ჟიზელი" ქართულად - ირმა ნიორაძე და ნიკოლოზ ცისკარიშვილი

ემსგავსებოდა და მაყურებლის მიერ მქუხარე ტაშითაც საჩუქრდებოდა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მეორე მოქმედება და ვილისების წიაღში განვითარებული სიუჟეტი. საერთოდ, "ჟიზელი" ისედაც უაღრესად ლამაზი დადგმაა თავის დროზე პეტიპას მიერ განხორციელებული, თავისი ულამაზესი დეკორაციით და სცენოგრაფიით, ზედ ადოლფ ადანის შესანიშნავი მუსიკაც ერთვება და მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომაცაა "ჟიზელი" უკვდავი ბალეტი, რომელსაც ყავლი, ალბათ, არასოდეს გაუვა.

სპექტაკლში ცეკვის გარდა, ნიკა ცისკარიძეს გუშინ სხვა მხრივაც ღირსშესანიშნავი დღე ჰქონდა - საქართველოს პრეზიდენტმა მას ღირსების ორდენი გადასცა ქველმოქმედებისა და საბალეტო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი ღვაწლისთვის.

მერამდენედ იცეკვეს "ჟიზელი" ირმა ნიორაძემ და ნიკა ცისკარიძემ თავიანთი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე ვერ გეტყვით, მაგრამ ერთობლივად შესრულებული ეს სპექტაკლი მათთვის პირველი გამოდგა.

სპექტაკლის დასასრულს უამრავი თაყვანისმცემელი მიაწყდა კულისებს, ირმა და ნიკა ავტოგრაფებს ვერ აუდიოდნენ და ამ თაყვანისმცემელთა რიცხვში მეც აღმოვჩნდი, შესაბამისად ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გავუშვი და ნიკას და ირმას ემოციებით დავინტერესდი.

**ნიკა ცისკარიძე**: "ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა, რადგან ყოველი სპექტაკლი მაინც ღელვაა, გსურს რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს და გიხარია".

**ირმა ნიორაძე**: "მიხარია, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ვდგავარ, სადაც ჩემი პირველი ნაბიჯები გადავდგი. მიხარია, რომ თბილისელ მაყურებელს სიხარული მივანიჭე და ისიც, რომ ჩემი პარტნიორი ნიკა ცისკარიძე იყო. ჩვენ არა მხოლოდ ცეკვა და პროფესია გვაკავშირებს, არამედ, დიდი მეგობრებიც ვართ".

ასე გასრულდა ამბავი "ჟიზელისა" და ვარსკვლავების ცვენისა თბილისის ოპერის სცენაზე.

# ნიდერლანდული კვარტეტი ქართული მუსიკით დაინტერესდა

*ახალი ქართული მუსიკა, ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, სამწუხაროდ, თითქმის უცნობი სამშობლოში, საკმაოდ ხშირად ჟღერს საზღვარგარეთ. ამ თაობაში გამოირჩევა ერთ-ერთი საინტერესო, თვითმყოფადი, ორიგინალურად მოაზროვნე კომპოზიტორის, მაკა ვირსალაძის შემოქმედება. მისი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები ხშირად სრულდება გერმანიასა და რუსეთში, სომხეთსა და უკრაინაში, შვეიცარიაში, აზერბაიჯანში, პოლონეთში... წლეულს მაკა ვირსალაძე მიწვეული იყო ნიდერლანდებში, საქსოფონების კვარტეტ "აურელიას" მიერ რეალიზებულ ქართულ-ნიდერლანდულ მუსიკალურ პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პროექტის არსი ის იყო, რომ საქსოფონების კვარტეტსა და ქართველ ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ "მზეთამზეს" მოემზადებინა და ნიდერლანდების რამდენიმე ქალაქში შეესრულებინა ერთობლივი საკონცერტო პროგრამა. კონცერტებზე ქართული ფოლკლორის ნიმუშებთან ერთად ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიც შესრულდა, მათ შორის მაკა ვირსალაძის "მოგონება" საქსოფონთა კვარტეტისთვის.*

ქეთევან ბოლაშვილი

**- მაკა, რა იყო ნიდერლანდებში შენი ვიზიტის მიზეზი?**

- ნიდერლანდების სამეფოში ჩემი ვიზიტი დაკავშირებული იყო საქსოფონების კვარტეტ "აურელიას" პროექტთან. კვარტეტი ქართული ანსამბლის "მზეთამზის" მოსმენის შემდეგ დაინტერესდა ქართული ფოლკლორით და მასთან ერთობლივი კონცერტის გამართვა გადაწყვიტა. საინტერესოა, რომ ანსამბლ "აურელიას", რომელიც, ძირითადად, აკადემიურ მუსიკას ასრულებს, როგორც ახალს, ისე ძველს, ადრეც ჰქონია რეალიზებული მსგავსი პროექტები, კერძოდ, არგენტინულ და იაპონურ ეთნოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად.

**- თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით, რა იგულისხმება ერთობლივ კონცერტში? რა პრინციპით შეიძლება გაერთიანდეს რადიკალურად განსხვავებული ეს ორი ანსამბლი?**

- კონცერტზე კვარტეტსაც და "მზეთამზესაც" ქართული ხალხური სიმღერები უნდა შეესრულებინათ. კვარტეტს, ცხადია, - ხალხური სიმღერების არანჟირებები, რომლებიც თვითონ გააკეთეს. მაგრამ იმისთვის, რომ კონცერტი მხოლოდ ფოლკლორული არ გამოსულიყო, მათ სპეციალურად ამ საღამოსთვის მოამზადეს გია ყანჩელის "ღამის ლოცვების" ტრანსკრიფცია და რამდენიმე კომპოზიტორს სპეციალურად დაუკვეთეს ნაწარმოები, მათ შორის, ჰოლანდიელ აბ სანდბრიკს და ნოდარ მამისაშვილს. ბატონმა ნოდარმა კი რამდენიმე ახალგაზრდა კომპოზიტორს გაგვიწია რეკომენდაცია და "აურელია-კვარტეტმა" ჩვენი მუსიკის წინასწარი გაცნობის შემდეგ გააკეთა არჩევანი. აბ სანდბრიკს და ბატონ ნოდარს მათ დაუკვეთეს ნაწარმოები ორივე ანსამბლის ერთობლივი შესრულებისთვის, მე კი - მხოლოდ საქსოფონთა კვარტეტისთვის.

**- რა ტიპის იყო მათი დაკვეთა, ანუ როგორი რეგლამენტი დაგიწესეს?**

- არავითარი რეგლამენტი არ ყოფილა, გარდა იმისა, რომ მე ვიცოდი შემადგენლობა და ხანგრძლივობა - შვიდი წუთი. სულ ესაა. რაც შეეხება ქართულ ფოლკლორთან კავშირებს, მათ არც ეს მოუთხოვიათ, მაგრამ რადგან მე ვიცოდი, სად და რა პირობებში შესრულდებოდა ჩემი ნაწარმოები, ამან, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენა მოახდინა ჩემზე, განსაზღვრა ნაწარმოების საერთო იდეაც და მისი მუსიკალური ენის თავისებურებაც. ნაწარმოებს დავარქვი "მოგონება" და ვგულისხმობდი მოგონებებში თანდათანობითი ჩაძირვის პროცესს, მაგრამ არა მხოლოდ ინდივიდუალურ მოგონებებში, არამედ ერის გენეტიკურ მეხსიერებაში. ამ ჩანაფიქრმა თითქოს ამოატივტივა ხალხური სიმღერა "მუმლი მუხასა", უფრო ზუსტად, არა თვითონ სიმღერა, არამედ მისი იდეა, როგორც მეტაფორა, ნეგატიურ ძალასთან დაპირისპირების აბსტარქცია.



*მაკა ვირსალაძეს უკვე ჰოლანდიაშიც იცნობენ*

**- როგორ შეაფასა ეს კონცერტი ნიდერლანდების საზოგადოებამ, პროფესიონალებმა და პრესამ?**

- პროექტი ძალიან კარგად მოამზადეს, იყო არაჩვეულებრივი რეკლამა. კონცერტები იმართებოდა საუკეთესო დარბაზებში, მათ შორის, ამსტერდამის კონცერტგებაუს კამერულ დარბაზში, ყოველ კონცერტს წინ უძღოდა ჰოლანდიელი მუსიკისმცოდნის მოკლე ლექცია ქართულ მუსიკასა და ფოლკლორზე, პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე ინტერვიუ და ანალიტიკური პუბლიკაცია. კონცერტები ჩაიწერა რადიომ. ერთი სიტყვით, პროექტი საუკეთესოდ გაშუქდა, ხოლო დარბაზების სისავსით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოების დიდი ინტერესიც გამოიწვია.

**- როგორც ვიცი, "აურელია-კვარტეტმა" შენი ჩარევის გარეშე ისწავლა ნაწარმოები. კმაყოფილი ხარ თუ არა მათი ინტერპრეტაციით?**

- ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა, ჩაფიქრებული მქონდა სტერეოფონური აკუსტიკური ეფექტი და გარკვეული თეატრალიზებული ქმედება. მაგრამ ამისთვის მეტი დრო და მეტი რეპეტიცია იყო საჭირო. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ჩემი ნაწარმოებიც და სხვა ავტორთა თხზულებები და ხალხური სიმღერების არანჟირება მაღალპროფესიულად შესრულდა.

**- ამ ვიზიტისა და შეკვეთის შედეგად ხომ არ გაჩნდა შემდგომი ურთიერთობის პერსპექტივა?**

- იყო კონკრეტული წინადადება სხვა ჰოლანდიური ანსამბლისგან, რომ იგივე ნაწარმოები მათთვის გადამეტანა. "აურელია-კვარტეტმა" შემომთავაზა ნაწარმოების გამოცემა (ანსამბლის ერთ-ერთი წევრი გამომცემელიცაა). გარდა ამისა, ძალიან გვინდა, ეს კონცერტი საქართველოშიც ჩატარდეს, რაც მხოლოდ ერთ პრობლემასთან - საჭირო თანხის მოძიებასთანაა დაკავშირებული.

# რეპი - გაფრთხილება თუ კრიმინალი?!

## ჯი მენის განგსტერული რომანტიკა

თამარ სუხიშვილი

ჯგუფი So Solid Crew მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ეს ყურადღება ძალიან ხშირად მისი ახალი ალბომებითა და კონცერტებით კი არა, მისი წევრების უჩვეულო საქციელით და, როგორც ამბობენ, "მავნე გავლენით" არის გამოწვეული. როცა საუბარია იმაზე, თუ როგორ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს თანამედროვე მუსიკა საზოგადოებაზე, So Solid Crew არასოდეს ავიწყდებათ. მის რეპს კრიტიკოსები ბანდების, განგსტერების მუსიკად მიიჩნევენ და იმასაც ამბობენ, ამ რეპ-ჯგუფს დიდი წვლილი მიუძღვის განგსტერების კულტურის პოპულარიზაციასა და, საერთოდ, ძალადობის აღზევებაში. მარტო კრიტიკოსები რომ იდგნენ ამ აზრზე, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ ამ ჯგუფის დანაშაული ლამის სახელმწიფოებრივი კრიმინალის დონეზეა აყვანილი. ბრიტანეთის მთავრობის წევრები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ დანაშაულის ზრდა სწორედ ისეთი "იდიოტების" (რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს პატივცემული ადამიანები სწორედ ასე მოიხსენიებენ ჯგუფის წევრებს) ბრალია, როგორებიც არის, მაგალითად, ჯგუფი So Solid Crew. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დანაშაულებათა რიცხვის საგრძნობ მატებას ამ ჯგუფის სახელსაც უკავშირებენ. რამდენად სტაბილური იქნებოდა ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია, ეს ჯგუფი რომ არ არსებობდეს, ნამდვილად ვერ გეტყვით. რაღაც საეჭვო კია. მით უმეტეს, რომ ამ ჯგუფის მუსიკაში, მის პათოსში, ცხოვრებაში თუ სიმღერების ტექსტებში ისეთი განსაკუთრებული არაფერია, სხვა რეპერებს რომ არ ეთქვათ ან არ გაეკეთებინოთ. So Solid Crew-ს შემოქმედება მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ ფენომენისა, რასაც რეპი ჰქვია, და რაც მხოლოდ განსხვავებულ მუსიკალურ სტილს კი არა, ცხოვრების სტილსაც გულისხმობს. რეპი სოციალური მოვლენაა, ის თვით ცხოვრებამ მოიტანა და თუ თავად რეპერებს დავესესხებით, თვით ყველაზე აგრესიული ფრაზები და რიტმიც კი არ ბადებს აგრესიას - ეს გაფრთხილებაა, ეს არის ასახვა იმისა, რაც ხდება ქუჩაში, რაც ხდება ჩვენს გარშემო. ეს არის ნიშანი, რომ ყველაფერი სულაც არ არის კარგად და პროტესტი იმის გამო, რომ ყველაფერი კარგად არ არის...

ასეა თუ ისე, ჯგუფი So Solid Crew ყველაზე კრიმინალურ რეპ-ჯგუფად მიიჩნევა. განუწყვეტელი საჩივრები, სასამართლოები, ციხე – მისი წევრების მშფოთვარე ცხოვრების განუყრელი ნაწილია. პოლიციასთან ურთიერთობა ჯგუფს განსაკუთრებით ბოლო წლებში გაურთულდა. მუსიკოსები ისეთს თითქოს არაფერს აშავებენ, მთავარი ბრალდება იარაღის ტარებაა. იარაღს კი ისინი პრინციპში იმიჯის შესაქმნელად იყენებენ; კარგად იციან, რომ ეს არ ეპატიებათ, მაგრამ არ დაგიდევენ, დაუდევრობა, უხეშობა და თავნებობა რეპერების სტილია... ამასწინათ სასამართლოში ჰქონდა საქმე ქეიშს (ნამდვილი სახელი შეინ ნეილი), გასულ წელს ეშლი უოტერსს 18 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და არასრულწლოვანთა კოლონიაში ჩასვეს იარაღის ტარებისათვის. დარენ უიერიც დააკავეს, მან 16 წლის თაყვანისმცემელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ორი წლის წინ ერთ-ერთ ღამის კლუბთან ატეხილი სროლის დროს ფეხში დაიჭრა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. ახლა ჯი მენის (იგივე ჯეისონ ფილიპსის) ჯერიც დადგა, მას რამდენიმე დღის წინ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რატომ? – რაღა თქმა უნდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების გამო.



*რეპ ჯგუფს So Solid Crew-ს განგსტერების ბანდას ეძახიან*

ეს ამბავი ნოემბერში მოხდა. ჯეისონ ფილიპსი ჯერ კინოთეატრში პრემიერაზე გამოცხადდა იარაღით, მერე გზად პოლიციას გადაეყარა, იმ უბანში, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობა მიმდინარეობდა, ფილიპსი პოლიციას დაემალა, ხოლო როცა პოლიციელებმა ეჭვი აიღეს და დაედევნენ, მდევრის განცხადებით, მუსიკოსმა, რომელიც აღელვებული ჩანდა, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და ნაგვის კონტეინერში ჩააგდო. მოგვიანებით კონტეინერში რევოლვერი იპოვეს, და თუმცა ფილიპსი მის მფლობელობას უარყოფდა, ექსპერტებმა იარაღზე რეპერის თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს. მის ლონდონის ბინაში კი 11 პისტონი იპოვეს.

სასამართლოზე ჩვენებების მიცემისაგან 24 წლის ჯი მენი შეძლებისდაგვარად თავს იკავებდა. მან ყველა ბრალდება უარყო და მხოლოდ ის თქვა, რომ იარაღი თავის დასაცავად ნამდვილად არ სჭირდება, იმიტომ რომ არავინ გაუხდია მტრად და თავადაც არავის ერჩის; ხოლო დაცვა რომ სჭირდებოდეს, მაშინ ბოდი-გარდს აიყვანდა.

პოპულარულმა ჰიტმა - 21 Seconds ამ შემთხვევაში მის ავტორს ველარ უშველა.

თუმცა, მოსამართლემ ერთგვარი სოლიდარობა გამოუცხადა რეპერს, როცა აღნიშნა – დარწმუნებული ვარ, ფილიპსს იარაღი იმიჯისთვის ჰქონდა და არა იმისათვის, რომ რეალურად გამოეყენებინაო. მაგრამ მოსამართლის ნათქვამი ნათქვამად დარჩა, განაჩენი – განაჩენად. საზოგადოებამ კი საკუთარი განაჩენი გამოიტანა: So Solid Crew ბანდიტური კულტურის გაიდეალებარომანტიზაციას ახდენსო, და ჯგუფის წევრებს შეიარაღებული რომანტიკოსებიც უწოდა. უფრო დიდი ხნით უნდა ჩაესვათ, ჭკუა რომ ისწავლონო, - მკაცრად და უკმაყოფილოდ განაცხადეს ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლმა ორგანიზაციებმა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, "ნაჯდომმა" აშერ დიმ ინტერვიუში განაცხადა: ძნელი იყო ჯდომა, მაგრამ ბევრი დრო მქონდა, ბევრი ლექსი დავწერეო.

"მოწყენილი ვიყავი – ცხადია, მოწყენილი იქნები - შეშინებულიც, მარტო ხარ შენს შიშებთან. და შენ ამას გვერდი უნდა აუარო, გააკეთო ის, რაც უნდა გააკეთო, არსად არ გარბიხარ, არც არავის გაურბიხარ, არც სადმე მიდიხარ. ასეთ დროს მგრძნობიარე ხდები, ნაზი, შეგიძლია ყოველ წუთას იტირო. გესმით, რას ვამბობ? შენი ემოციები ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიმართულებით შეგიძლია მიუშვა. ამ დროს ბევრი რამ მოგდის გონებაში, შენ კი ქაღალდზე უნდა გადმოიტანო."

რეპერის "განგსტერული რომანტიკის" შედეგი – ახალი ტექსტები ახალ სიმღერებს დაედო საფუძვლად.

ვერ გეტყვით, რამდენად იმოქმედებს სასამართლოს განაჩენი დანაშაულის რიცხვის შემცირებაზე, მაგრამ, მეგობრის რჩევას თუ გამოიყენებს, ოთხწლიანი ციხე ფილიპსისთვისაც და, საერთოდ, ჯგუფისთვისაც, შესაძლოა, საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდეს.

# ბოდი-არტის ქაოსი და ჰარმონია

თამარ მურვანიძე

რა თქმა უნდა, გსმენიათ ბოდი-არტის ანუ სხეულის მოხატვის ხელოვნების შესახებ. ახლა არა მარტო გვსმენია, არამედ გვინახავს კიდეც, ფოტოებზე ან უცხოურ ჟურნალებში კი არა, ცოცხლად, როგორც "ტუსოვშიკები" ამბობენ – "ლაივში". ბოდი-არტის პირველი ექსპერიმენტი თბილისში რესტორან "კრისტალში" განხორციელდა. ეს იყო ბოდი-არტის პირველი ექსპოზიცია, რომელიც საქართველოში მოეწყო, პერიოდულად ჩვენში გამართულ შოუებსა თუ დეფილეებზე წარმოდგენილ ბოდი-არტის ცალკეულ ელემენტებს არ ჩავთვლით.

"ჰარმონიული ქაოსი" – ასე ერქვა ჩვენებას, რომლის ორგანიზატორი და ესკიზების ავტორი მანანა მანჩინი გახლდათ. თბილისური ექსპერიმენტი დასავლური ჩვენებებისგან განსხვავდებოდა. აქ მაყურებელმა მხოლოდ მზა ნამუშევრები ანუ უკვე მოხატული მოდელები იხილა. როგორც წესი, ბოდი-არტის დემონსტრირების დროს აუდიტორია მოდელების შექმნის მთელი პროცესის მოწმე ხდება – სცენაზე გამოდიან მხატვრებიც და მოდელებიც, და ასე მაყურებლის თვალწინ იქმნება ექსპოზიცია. ასე რომ, სახეზეა პროცესიც და შედეგიც. ქართული ბოდი-არტი კი მხოლოდ შედეგის ჩვენებას ისახავდა მიზნად. ვერ გეტყვით – რატომ; ალბათ იმიტომ, რომ ეს მაინც პირველი ცდა, მაინც ექსპერიმენტი გახლდათ და ორგანიზატორებიც და მოდელებიც ცოტა არ იყოს ფრთხილობდნენ. თუმცა, ჩვენს ფოტოგრაფს კულისებში შესვლა არ გასჭირვებია, მოდელების დიზაინის შექმნის პროცესსაც დაესწრო და ფირზეც ბევრი საინტერესო კადრი აღბეჭდა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ "ჰარმონიული ქაოსი" თეატრალიზებულ სანახაობად იყო ჩაფიქრებული და თავისი სიუჟეტიც ჰქონდა. ჩვენებური ბოდი-არტი ამითაც განსხვავდებოდა ევროპული ბოდი-არტისგან. ეს იყო ორმოქმედებიანი შოუ, პირველ მოქმედებაში პროფესიონალი მოცეკვავეები მონაწილეობდნენ, რომლებმაც მაყურებელს თავბრუდამხვევი აღმოსავლურ-დასავლური ცეკვებით მშვენიერი სიურპრიზი მოუწყვეს. ამასობაში კულისებში მოდელები მოიხატნენ – ვინ იმპერატორად, ვინ – კლეოპატრად, ვინ – მონად, ვინ – რად და ვინ კიდევ რად გარდაისახა. ბოდი-არტმა სცენა ერთი თვალის დახამხამებაში ააჭრელა. შოუ შედგა. "ჰარმონიული ქაოსის" ორგანიზატორი მანანა მანჩინი უკვე სამომავლო გეგმებზე ფიქრობს. ის მოდის თეატრის შექმნას აპირებს.









*ქართული ბოდი-არტის პირველი ექსპერიმენტი "კრისტალში"*

### ქინქლაძით "სელტიკი" დაინტერესდა

შოტლანდიის "სელტიკის" მწვრთნელს მარტინ ო'ნილს "დერბი ქაუნთის" 29 წლის ქართველი ლეგიონერის გიორგი ქინქლაძის შეძენა სურს. ქინქლაძემ, რომელსაც ინგლისის პირველი დივიზიონის ბინადართან კონტრაქტის ვადა ჩემპიონატის დასრულებისთანავე ამოეწურა, ახლის დადებაზე უარს ამბობს, მით უმეტეს, რომ ინგლისელთა მიერ შეთავაზებული ახალი კონტრაქტი სამჯერ ნაკლებ ხელფასს ითვალისწინებს. "The Sunday Mail"-ის ცნობით, "სელტიკი" მზადაა, ქინქლაძესთან ხელი მოაწეროს, თუ, რა თქმა უნდა, პირობებზე შეთანხმდებიან.

ქართველ ლეგიონერთან დაახლოებული პირის განცხადებით, ქინქლაძის გადაწყვეტილების შესახებ უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

### კუპერი ვერონზე ფიქრობს

ვერონის იტალიაში დაბრუნებაზე ლამის იმ დღიდან ლაპარაკობენ, რაც არგენტინელმა ფეხბურთელმა რომის "ლაციო" დატოვა. ამის მიზეზი სხვა არაფერია, თუ არა თავად ვერონის არცთუ ისე შთამბეჭდავი თამაში "მანჩესტერ იუნაიტედის" რიგებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერონმა ინგლისში ბევრი ვერაფერით გამოიჩინა თავი. სწორედ ამიტომ სერ ალექს ფერგიუსონი, როცა ვერონის გაყიდვაზე ელაპარაკებიან, დიდად არ იკლავს თავს უარის თქმით.

არგენტინელი, როგორც ჩანს, მართლაც, იტალიაში დაბრუნდება, მაგრამ არა რომში. "ლაციო" ისეთ ფინანსურ კრიზისშია, რომ ნაღდად არა აქვს თავისი ყოფილი ნახევარმცველის შეძენის თავი. ვერონის ყიდვა ტურინის "იუვენტუსს" და მილანის "ინტერს" სურთ.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი ექტორ რაულ კუპერის ლტოლვა თანამემამულე ფეხბურთელების მიმართ. მას ყველა არგენტინელი მოსწონს: კილი გონსალესის ყიდვაც უნდა, ხუან პაბლო სორინისაც და ვერონისაც. ვერონი მასიმო მორატისაც მოსწონს, მაგრამ ჯერ არავინ იცის, მოახერხებს თუ არა "ინტერი" "იუვენტუსის" კონკურენციის გაწევას.

### მიყიდე რა, "რომა"!

იხვეწება ფრანგული "მონაკოს" მექსიკელი მცველი რაფაელ მარკესი. არც არის გასაკვირი, ასე მწარედ რომ მოუნდომებია რომში გადასვლა. აბა, ვის ესიამოვნება ისეთ კლუბში თამაში, რომელსაც ფინანსური გარანტიების უქონლობის გამო უმაღლესი ლიგიდან აგდებენ? მარკესმა მაინცდამაინც "რომა" იმიტომ აირჩია, რომ, ჯერ ერთი, აქ მისი მეგობარი ვალტერ სამუელი თამაშობს და, მეორეც: ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ფრანკო სენსი და ფაბიო კაპელო ახალი ფეხბურთელების შეძენას აპირებენ. ეგვიპტელი მიდოც ამიტომ ემლიქვნელება "რომას" და თავდაუზოგავად აქებს ფაბიო კაპელოს. ახლა კი მას მექსიკელმაც მიბაძა.

თავად "რომას" დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს მარკესთან დაკავშირებით. ფრანკო ბალდინიმ განაცხადა, ჯერ არ ვიცით, რომელი ფეხბურთელი ვიყიდოთ, ლეგროტალიე თუ მარკესი. მექსიკელი მცველი იმედს არ კარგავს, რომ მოახერხებს იტალიაში გადასვლას.

### ეტოოს "მილანში" უნდა

ესპანური "მაიორკას" კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო ისედაც კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ რაც პარიზში მიმდინარე კონფედერაციის თასის ტურნირზე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, ბრაზილიის ნაკრებს გოლი გაუტანა და ასპარეზობას გამოთიშა, მისი ავტორიტეტი ერთიორად გაიზარდა.

ახლა კამერუნელი ფორვარდის ხელში ჩაგდებით ისეთი გრანდები დაინტერესდნენ, როგორიცაა არიან "ვალენსია" და "მანჩესტერ იუნაიტედი". ინგლისელები ძალიან მონდომებულები არიან, ეტოო თავიანთ კლუბში იხილონ, მაგრამ თავად კამერუნელი ფეხბურთელი თავს იკავებს და იტალიელებისგან ელოდება წინადადებას.

საქმე ის არის, რომ ეტოოს, თურმე, "მილანში" წლობით თამაში ოცნებობს და იმედი აქვს, კარლო ანჩელოტი მის კარგ თამაშს შეამჩნევს და მას კლუბში მიიწვევს. "ფანტასტიკური იქნებოდა სერია A-ში გადასვლა. იტალიაში ჩემი საყვარელი გუნდი "მილანია". ძალიან მინდა, მომავალი სეზონი ანჩელოტის გუნდში დავიწყო. აბა, ვის არ გაახარებდა ევროპის ჩემპიონების გვერდით თამაში?" - იმედიანადაა ეტოო.

### რაიკარდსა და ვან ბასტენს "ბარსელონაში" ეპატიჟებიან

"Planetfootball"-ის ინფორმაციით, "ბარსელონას" სათავეში ფრანკ რაიკარდისა და მარკო ვან ბასტენის ტანდემი ჩაუდგება. ერთ-ერთ ჰოლანდიურ წყაროზე დაყრდნობით, "ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი ამსტერდამში გაემგზავრა, რათა რაიკარდთან და ვან ბასტენთან ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკება აწარმოოს.

მას შემდეგ, რაც გუს ჰიდინკი და რონალდ კუმანი კატალონიური კლუბის ახლად არჩეული პრეზიდენტის ხუან ლაპორტას წინადადებაზე არ გამოეხმაურნენ, ჰოლანდიელთა ტანდემი მთავარი მწვრთნელის უმთავრეს პრეტენდენტად მოიაზრება. ეს პოსტი ამჟამად რადომირ ანტიჩს უკავია. ისიც საგულისხმოა, რომ როტერდამის "სპარტადან" წასვლის შემდეგ რაიკარდი უმუშევრადაა და საქმეს ეძებს.

### რეკორდები პრიმერადივიზიონში

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურში "დეპორტივოსა" და "ესპანიოლის" მატჩი ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა.

პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირმა როი მაკაიმ სეზონის 29-ე ბურთი გაიტანა და ბრაზილიელ ბებეტოს მიერ 1992-93 წლების სეზონზე დამყარებული კლუბის რეკორდი გაიმეორა.

მაკაიმ 75-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, რასაც ერთ წუთში თანაგუნდელის ალბერტო ლუკეს მეორე გოლიც მოჰყვა.

გალისიელთა რიგებში თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა კლუბის ვეტერანმა, 40 წლის მცველმა დონატომ. დონატოს კონტრაქტი კლუბთან სეზონის დასრულებისთანავე ეწურება.

### კამაჩო "ბენფიკაში" ახალი მიზნებით დარჩა

ლისაბონის "ბენფიკას" ესპანელმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გადაწყვიტა, პორტუგალიურ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელოს.

"კონტრაქტის გაგრძელება სავსებით ბუნებრივია, - "როიტერთან" საუბარში განაცხადა 48 წლის კამაჩომ, რომელიც იაპონია-კორეის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თანამემამულეებს ედგა სათავეში. - საქმე ის არის, რომ არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა კლუბის ხელმძღვანელობასთან, ლუის ფილიპე ვიეირასთან, რომელიც ყველაფერს აკეთებს "ბენფიკასთვის".

რაც შეეხება "ბენფიკაში" კამაჩოს სამწვრთნელო კარიერას, ესპანელი შარშან, ნოემბერში მივიდა ლისაბონის კლუბში და საკუთარი სამწყსო ჩემპიონატის მეორე ადგილამდე აღაზევა. ესეც რომ არა, კამაჩოს ძალისხმევით, ლისაბონელებმა ჩემპიონთა ლიგის წინასაკვალიფიკაციო ეტაპამდე გააღწიეს. ...

### [illegible]

...

## TV-სპორტი

**ორშაბათი, 23 ივნისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ესპანეთის ჩემპიონატი
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბოტაფოგო" - "ვასკო და გამა"
16:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "რეალი" - "ფინამი" (ურინი)
18:35 თავისუფალი დარტყმა
18:50 სახელგანთქმული კლუბები
18:55 რუსეთის ჩემპიონატი. "კრილია სოვეტოვ" - "ზენიტი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 ესპანეთის ჩემპიონატი
22:35 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "ინტერი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ლეომპის შეილები"
11:20, 14:15 ავრომაცია
11:45 საჭადრაკო მიმოხილვა
12:15 სუმო. რუსეთის ჩემპიონატი
13:00 ჩოგბურთი. "უიმბლდონის დიდი მატჩები"
14:40 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი
16:10 ჩოგბურთი. უიმბლდონის ნიდე
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია

00:00 პროფესიონალური კრივი. ლენოქს ლუისი - კრუ ჯონსონი, ვიტალი კლიჩკო - სუდრიკ ბოსველი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 "ოლიმპიური თამაშები"
12:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი
13:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია
13:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი
15:00 "ოლიმპიური თამაშები"
16:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი გვრმანიაში
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები
17:15 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები
18:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
19:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
20:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
21:00 ახალი ამბები
21:15 ფეხბურთი
21:45 მძლეოსნობა. ევროპის თასი
22:00 მძლეოსნობა. აშშ
23:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:45 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
00:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
03:45 ფეხბურთი
04:00 ფეხბურთი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# სატრანსფერო ზაფხული სტარტს იღებს

## ევროპის გრანდები დიდი გარიგებებისთვის ემზადებიან

აკა ტონია

2002/2003 წლების საფეხბურთო სეზონი თავის დასასრულს მიუახლოვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება შემოდგომის დადგომამდე სატრანსფერო ბაზრისკენ იქნება მიმართული. ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა და მილიონიანი ხელშეკრულებების გაფორმება სულ მალე აიღებს სტარტს. ძნელი სათქმელია, გავხდებით თუ არა ბექჰემის ტრანსფერის მსგავსი გარიგების მომსწრენი, თუმცა, იმის იმედი კი ნამდვილად უნდა გვქონდეს, რომ არაერთი სიურპრიზი გველის.

ბექჰემის ტრანსფერი ვახსენეთ და აქვე არც ლუიშ ფიგუ უნდა დაგვავიწყდეს. მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა განუწყვეტლივ იმეორებს, რომ ბექჰემის მოსვლა არავითარ გავლენას არ მოახდენს პორტუგალიელის მომავალზე, თუმცა, ევროპული კლუბები მაინც თადარიგს იჭერენ - ერთიც ვნახოთ და, "რეალმა ფიგუ გაყიდოს! პორტუგალიელი ნახევარმცველით დაინტერესებულია ორი მილანური კლუბი - "მილანი" და "ინტერი", თუმცა, ამ უკანასკნელის შანსი უკეთ გამოიყურება: "რეალს" ხომ "ინტერის" ვალი აქვს (10 მილიონი ევრო, რომელიც რონალდოს სანაცვლოდ გადახდილ თანხას უნდა დაუმატონ). ახლა არავინ იცის, ვინ არის მართალი, "რეალი", რომელიც ამტკიცებს, რომ ფიგუს არსად გაუშვებს, თუ ისინი, ვისაც "რეალის" არ სჯერა.

შედარებით გარკვეული სიტუაციაა "რეალის" სხვა ფეხბურთელების - გუტისა და მორიენტესის ირგვლივ. გუტი არ მალავს, რომ კლუბის მიტოვება სურს, რადგან ბექჰემის მოსვლის გამო მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედი აღარა აქვს. მადრიდელთა ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ გუტის გაშვება არ სურს და ეს მართლაც ასეა. "რეალმა" გუტის გუნდში დარჩენა სთხოვა, თუმცა, ფეხბურთელი ყოყმანობს და იტალიაში გადაბარგებით იმუქრება. ცნობილია, რომ გუტის შეძენით "რომა" არის დაინტერესებული. იგივეს ამბობს თავად ფეხბურთელიც და აცხადებს, რომ სიამოვნებით მიიღებდა რომაელთა წინადადებას. გუტი არ არის "რეალის" ერთადერთი ფეხბურთელი, რომლითაც "რომა" დაინტერესდა. ფაბიო კაპელოს ფერნანდო მორიენტესისთვისაც დაუდგამს თვალი. თუ ეს ინფორმაცია მართალია, მორიენტესის "რომაში" გადასვლას, ალბათ, წინ აღარაფერი დაუდგება. "რეალი" არ მალავს, რომ მორიენტესის შენარჩუნებას აღარ აპირებს. თავდამსხმელის "რომაში" გაშვება, წესით, მადრიდელებსაც უნდა აძლევდეთ ხელს.


რონალდინიოზე მთელი ევროპა ნადირობს

მიუხედავად იმისა, რომ "ბარსელონას" ახალი პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას მიერ დასახული, დევიდ ბექჰემის შეძენის გეგმა საპნის ბუშტივით გასკდა, კატალონიური კლუბი მკვეთრად გაძლიერებას აპირებს. ერთ-ერთი, ვის შეძენასაც "ბარსა" აპირებს, "დეპორტივოს" ჰოლანდიელი თავდამსხმელი როი მაკაია. მაკაის გადაბირებას მიუნხენის "ბაიერნიც" აპირებდა, თუმცა, ბოლო დროს გერმანელებმა უკან დაიხიეს. "ბარსელონასთან" მოლაპარაკების ამბავს თავად მაკაიც არ უარყოფს და არც ამ მოლაპარაკების დადებითად დასრულების სურვილს მალავს: "ძალიან ვამაყობ იმით, რომ ჩემით "ბარსელონა" დაინტერესდა".

მაგრამ წლევანდელი სატრანსფერო ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი, ალბათ, ბრაზილიელი რონალდინიოს ახალ გუნდში გადასვლა იქნება. ცნობილია, რომ რონალდინიო აუცილებლად დაემშვიდობება თავის ახლანდელ კლუბს, "პარი სენ ჟერმენს". მისი შეძენით კი ნახევარი ევროპაა დაინტერესებული, მათ შორის "ბარსელონა" და "რეალიც". თუმცა, ესპანელები აცხადებენ, რომ რონალდინიოს შეძენის საკითხს კონფედერაციათა თასის დასრულების შემდეგ გადაწყვეტენ, ხოლო "მანჩესტერ იუნაიტედი" არაფერსაც არ ელოდება და რონალდინიოსთან მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს. სწორედ "მანჩესტერი" გახლავთ ბრაზილიელი ვარსკვლავის დაპატრონების ყველაზე რეალური კანდიდატი. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, "მანჩესტერს" მიატოვებს ხუან სებასტიან ვერონი. ინგლისელები ვერონს "იუვენტუსს" მიჰყიდიან, სანაცვლოდ კი გარკვეულ თანხას და რომელიმე ფეხბურთელს - ლილიან ტურამს ან ედგარ დავიდსს მიიღებენ. "სავარაუდოა ისიც, რომ "იუვენტუსს" დავიდ ტრეზეგეც დაემშვიდობება. ფრანგმა თავდამსხმელმა ვერა და ვერ მიაღწია იმას, რომ ხელფასი მოუმატონ და გუნდის მიტოვებით იმუქრება. ტრეზეგეს შეძენის სურვილს გამოთქვამენ "ბარსელონა", "ვალენსია" და "მანჩესტერი". რონალდინიოს შეძენა კი, "მანჩესტერთან" ერთად, სურს მეორე ინგლისურ კლუბს, "ნიუკასლს". ბობი რობსონის გუნდი ფეხბურთელის სანაცვლოდ პარიზელებს, ფულთან ერთად, ლორენ რობერის დამატებასაც სთავაზობენ, თავად რონალდინიოს კი - წელიწადში სამ მილიონს. თუმცა, "მანჩესტერთან" შედარებით, "ნიუკასლის" შანსი, ალბათ, მაინც ძალიან მოკრძალებულია.

ევროპულ გრანდთა ინტერესის ობიექტია ამსტერდამის "აიაქსის" 22 წლის მცველი, კრისტიან კივუ. ახალგაზრდა რუმინელის შეძენით "მილანი", "ინტერი", "რეალი" და "ბარსელონა" არიან დაინტერესებული. თავად კივუ აცხადებს, რომ მისი ფავორიტები არიან "მილანი" და "რეალი". არჩევანსაც სწორედ მათ შორის გააკეთებს.

საგულისხმოა, რომ "აიაქსი" წლეულს საკმაოდ დიდ ფულს იშოვის. კივუს გარდა, ამსტერდამელებს ჰყავთ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, რომელთა სარფიანად გაყიდვაც შეუძლიათ. იტალიურ "რომას" ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენა სურს, "ინტერი" კი ვან დერ მეიდეს გადაბირებას ცდილობს.

ბრაზილიელი კაკა ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, თუმცა, ჩანს, რომ ამჟამინდელ კლუბში, "სან პაულუში" მას დიდხანს არავინ გააჩერებს. კაკას შეძენა "ბარსელონას", "რეალს", "მილანს", "იუვენტუსს" და უამრავ სხვა კლუბს უნდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები მხოლოდ მცირე ნაწილია იმათ შორის, ვინც, სავარაუდოდ, წლევანდელ ზაფხულში შეიცვლიან კლუბებს. დღეს ამით დავასრულოთ. წინ ცხელი სატრანსფერო ზაფხული გველის და ტრანსფერებზე საუბარიც არაერთხელ მოგვიწევს.

რაგბი

# ინგლისი მსოფლიოში პირველია

პაატა თოთაძე

და ეს გუშინწინ, ავსტრალიასთან გამართულ ტესტ-მატჩში დაამტკიცა. ინგლისური რაგბის ისტორიაში პირველად, ინგლისის ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა ავსტრალიის ნაკრები (25:14) და ამ გუნდთა შორის გასათამაშებელ კუკის თასსაც დაეუფლა. რა თქმა უნდა, ინგლისი შემოდგომით გასამართი მსოფლიო თასის ერთ-ერთი ფავორიტი იყო, მაგრამ ამ გამარჯვებით, ავსტრალიასთან ერთად, ის ტურნირის უმთავრეს ფავორიტად იქცა.

ერთი კვირის წინ ახალზელანდიელთა დამარცხების მიუხედავად კლაივ ვუდვორდს და მის გუნდს კრიტიკა არ დაჰკლებია – ინგლისელები მოსაწყენ, უინტერესო რაგბის თამაშობენ, რომელიც მხოლოდ შედეგზეა გათვლილი და მაყურებელიც თამაშისგან არავითარ სიამოვნებას არ იღებსო. ამჯერად კი ინგლისელთა სამივე ლელო კომბინაციური თამაშის შედეგი იყო, რომლებიც უკანახაზელებმა დააგვირგვინეს. მასპინძლებმა ამას მხოლოდ ერთი ლელოთი უპასუხეს. და ეს მაშინ, როცა ავსტრალია მსოფლიოში საუკეთესო დამცველ გუნდად ითვლება.

უკვე წესად იქცა: ინგლისელთა შემადგენლობაში საუკეთესო ჯონი ვილკინსონი უნდა იყოს. სიტყვა "საუკეთესო" ამ შემთხვევაში პირობითია, რადგან თამაშს რაგბიში გუნდი იგებს და მექანიზმიდან ერთი ჭანჭიკის ამოვარდნასაც კი ცუდი შედეგები მოაქვს. სტუმართა ნახევარმცველმა თავისიანთა შეტევები შესანიშნავად წარმართა და არანაკლებ შესანიშნავად ურტყა. რამდენი ჯარიმაც დაინიშნა ავსტრალიელთა კარის მიმართულებით, ვილკინსონმა ყველა გაიტანა. ასევე იყო გარდასახვების დროსაც. მხოლოდ ერთხელ უმტყუნა მიზანმა - ტინდალის ლელოს გარდასახვისას ბურთი მარცხენა ძელს


ინგლისელთა კაპიტანი მარტინ ჯონსონი

მოხვდა. ასეთ მატჩებში მსაჯობა უმაღლეს დონეზეა ხოლმე, ან თუ არაა, სალაპარაკო მაინც არაფერი ხდება. მაგრამ ამჯერად სხვანაირად მოხდა. როგორც ჩანს, ირლანდიელ არბიტრს ნამეტანი მოუვიდა, რადგან რამდენიმე სარაგბო საიტზე მსაჯის მიმართ დიდი უკმაყოფილება გამოითქვა - მასპინძლებს აშკარად მხარს უჭერდაო.

"ეს იყო ისტორიული გამარჯვება და, როგორც უნდა წარიმართოს ჩემი ცხოვრება, ამას ვერასდროს დავივიწყებ. დღეს ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ. "ოლ ბლექსის" დამარცხების შემდეგ არავის ეგონა, თუ ავსტრალიასაც მოვუგებდით, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. ვიცოდით, რომ შევძლებდით. დღეს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს უძლიერესი გუნდია და იმედი მაქვს, მსოფლიო თასიც ჩვენ დაგვრჩება", - ლოურენს დალალიო გამარჯვებისგან გამოწვეულ სიხარულს და აღტაცებას ვერაფრით მალავდა.

"არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, - საპირისპირო აზრის იყო ჯორჯ გრეგანი, - არა მგონია, ერთმა მარცხმა მსოფლიო თასის ფავორიტთა სიიდან ამოგვშალოს. ავსტრალიის ნაკრები დღესაც მსოფლიოს უძლიერეს გუნდად რჩება და ამას შემოდგომით დაამტკიცებს კიდეც".

ინგლისელებთან წინა კვირას დამარცხებულმა ახალმა ზელანდიამ უელსზე იყარა ჯავრი და სარეკორდო ანგარიშით - 55:3 დაამარცხა. აქამდე უელსელებს "ოლ ბლექსთან" უდიდესი ანგარიშით 1988 წელს კრაისტჩერჩში წაეგოთ (3:52). მასპინძელთა უპირატესობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მიმომხილველები გაკვირვებულნიც კი დარჩნენ, როგორ არ წააგო უელსმა უფრო დიდი სხვაობით.

სამხრეთულ ტურნეში ზედიზედ მეორე მარცხი იგემა საფრანგეთის ნაკრებმა. ისევე როგორც წინა კვირას, "მამლები" ამჯერადაც არგენტინის ნაკრებთან დამარცხდნენ – 32:33. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი ქულა "პუმებმა" მატჩის ბოლო შეტევაში მოიპოვეს - კესადამ არეკნი გაიტანა. ამ ორმა მარცხით შეშფოთებულმა ფრანგულმა პრესამ ბერნარ ლაპორტს ცვლილებებისკენ მოუწოდა, მაგრამ რა სახის იქნება ეს ცვლილებები, ან იქნება თუ არა საერთოდ, ჯერჯერობით უცნობია.

ინგლისელების მსგავსად, ევროპული რაგბის პრესტიჟი დაიცვა ირლანდიამ. გასულ კვირას დამარცხებულ ტონგას კელტებმა გუშინწინ სამოა მიაყოლეს - 40:12. მატჩი ირლანდიელთა თავისუფალი ნახევარმცველის რონან ოგარას ბენეფისად იქცა. ნაკრებისა და "მანსტერის" ნახევარმცველმა ორ ლელოს ორი გარდასახვა, ხუთი საჯარიმო და ერთი არეკნიც მიაყოლა, რითაც საერთო ჯამში 32 ქულა მოიხვეჭა.

"დღევანდელი მატჩი ორმაგად სასიამოვნო გამოდგა ჩემთვის. უმთავრესი ისაა, რომ ნაკრებმა მოიგო, მაგრამ მის გამარჯვებაში დიდი წვლილი რომ შევიტანე, ესეც ძლიერ სასიხარულოა", - აღნიშნა ნამატჩევს ირლანდიელმა ნახევარმცველმა.

ახლა ევროპაში გადავინაცვლოთ და ევროპის ერთა თასს შევეხოთ. ტურნირზე ერთი მატჩია დარჩენილი - ჩეხეთი რუმინეთს მასპინძლობს. კალენდრის მიხედვით შეხვედრა თებერვალში უნდა გამართულიყო, მაგრამ უამინდობის გამო ამ დროისთვის გადაიდო. მასპინძლებს სამი წამყვანი მოზურთალი აკლიათ - მარტინ იაგრს, მარტინ პეკაჩეკს და რომან რიგლის ტრავმები აქვთ. რაც შეეხება სტუმრებს, რუმინეთის ნაკრები პრაღაში თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა. სტუმართა ერთადერთი დანაკლისი შერკინების ნახევარმცველი პეტრე მიტუა, რომელიც, სხვათა შორის, მწვრთნელმა საგანგებოდ საქართველოსთან მატჩისთვის მიიწვია გუნდში. სხვა შემთხვევებში მიტუ თავს არიდებს ნაკრებში გამოსვლას.

ჩოგბურთი

# ანდრე აგასი: "შტეფის ვერასოდეს დავეწევი!"

ნინო პირველი

დღეს უიმბლდონი იწყება - სეზონის ყველაზე პრესტიჟული და საინტერესო ტურნირი. დაარსებიდან დღემდე უიმბლდონის მოგება ყველა ცნობილი ჩოგბურთელის დიდი ოცნება იყო, იმათიც კი, ვისაც უიმბლდონის გარეშეც არაფერი აკლდა, რეიტინგშიც საუკეთესოთა შორის იყო და დიდი პოპულარულობითაც სარგებლობდა. ერთი სიტყვით, უიმბლდონის მოგება ყველას უნდა. არც ანდრე აგასია სხვებზე ნაკლები, მასაც უკვე დიდი ხანია ოცნებად გადაჰქცევია ინგლისური ტრიუმფის კიდევ ერთხელ განცდა...

ეს ხოტორა ამერიკელი თანამედროვე ჩოგბურთის უნიკალური მოვლენაა. უკვე 33 წლისაა და ისეთი შემართებით თამაშობს, კაცს თინეიჯერი ეგონება. ასაკს საერთოდ არ ეპუება და უიმბლდონის მოგებას აპირებს. ამის შემდეგ კი გადაწყვეტილი აქვს, თავის კარიერას წერტილი დაუსვას. დროა, უკვე დროა, დაამთავროს წინ და უკან მგზავრობა, ათასნაირ ტურნირზე გამოსვლა და პირადი ბედნიერებით დატკბეს. ბედნიერებით, რომელმაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა.

აგასიმ 1986 წელს დაიწყო ჩოგბურთის მწვერვალების დაპყრობა. მაშინ მას გრძელი ქერა თმა ჰქონდა და თეთრ კეპს თავიდან არ იცილებდა. დღეს ის ხოტორაა და კორტზე თავშიშველი გადის. ამ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში აგასიმ უდიდესი მეტამორფოზა განიცადა და საბოლოოდ ცოლ-შვილზე გადარეულ, სერიოზულ კაცად იქცა. 1997 წელს, როცა ამერიკელ მსახიობს ბრუკ შილდსს დაუახლოვდა, მისმა კარიერამ ლამის სრული კრახი განიცადა - 144-ე ადგილი რეიტინგში! ეს, უბრალოდ, კატასტროფა იყო. შეშინებულმა აგასიმ, რომელსაც სულაც არ უნდოდა, ასე უცებ უარი ეთქვა ჩოგბურთზე, დახმარებისთვის ბრედ ჯილბერტს მიმართა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა სასწაული მოახდინა. აგასიმ ისევ დაიბრუნა ძველი ფორმა. მალე ბრუკ შილდსსაც დაშორდა. 1999 წლის გაზაფხულზე შტეფი გრაფი გაიცნო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან აგასის ცხოვრებაში ახალი ერა იწყება. ვეტერანი ჩოგბურთელი ყველაფერს თავიდან იწყებს და უდიდეს წარმატებებს აღწევს. ახლა უკვე სახელი და გვარი "ანდრე აგასი" კვლავაც ძველებურად ანგარიშგასაწევია ყველა მეტოქისთვის. რეიტინგიც ელვის სისწრაფით იცვლება – აგასი უკვე პირველი ნომერია. 2000 წელს წლის ჩოგბურთელად ასახელებენ. მალე ქვეყანას ორი დიდი ჩოგბურთელის მემკვიდრე მოევლინა: ახალდაბადებულ ჯეიდენ ჯილზე ბუკმეკერები უკვე ფსონებს იღებენ - გაიზრდება და ისიც მშობლებივით სახელგანთქმული ჩოგბურთელი გახდებაო. ანდრე აგასი და შტეფი გრაფი უსაზღვროდ ბედნიერები არიან.

პატივმოყვარე აგასი უყოყმანოდ აღიარებს შტეფის უპირატესობას. შტეფი მასზე ბევრად ჭკვიანი, დინჯი და კეთილშობილია. პროფესიულ წარმატებებშიც უსწრებს მეუღლეს: შტეფის უიმბლდონი შვიდჯერ აქვს მოგებული, აგასის - მხოლოდ ერთხელ, შორეულ 1992 წელს, როცა სულ ახალგაზრდა იყო. მაშინ ქალთა შორის შტეფიმაც გაიმარჯვა. შტეფის 22 ტიტული აქვს მოპოვებული დიდი მუზარადის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებზე. აგასი მასთან ახლოსაც კი ვერ მივა და არც აპირებს შეჯიბრებას. "მე არც ჩავებმები იმ ბრძოლაში, სადაც გამარჯვების შანსი არა მაქვს. შტეფის ვერასოდეს გავუსწრებ", - აღიარებს ამერიკელი. აგასის 1000 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელთაგან 766 მოიგო. შტეფიმ კარიერის მანძილზე 1017 მატჩი ითამაშა და 920-ჯერ იზეიმა გამარჯვება. 337 კვირის განმავლობაში იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი. რვაჯერ დასახელდა წლის ჩოგბურთელად, სამჯერ კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. აგასის კარიერა ასეთი შთამბეჭდავი ნამდვილად არ ყოფილა. მას მხოლოდ 8 ტიტული აქვს მოგებული დიდი სლემის ტურნირებზე. მსოფლიო ჩემპიონიც მარტო ერთხელ იყო.

აგასი და შტეფი ერთმანეთს არ ეჯიბრებიან, მათ ერთმანეთი უყვართ. უიმბლდონზე შტეფი, რა თქმა უნდა, ტრიბუნაზე იქნება და მეუღლეს უქომაგებს. აგასის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ყველაფერი გააკეთოს ტურნირის მოსაგებად. ეს ხომ მისი უკანასკნელი შანსია. "როცა უკვე 1000 მატჩი გაქვს ნათამაშევი, ბუნებრივია, წასვლაზე იწყებ ფიქრს. მალე მეორე ბავშვიც გვეყოლება და ოჯახი კიდევ უფრო მეტ დროსა და ყურადღებას მომთხოვს. ძალიან მინდა, უიმბლდონი მოვიგო და ისე წავიდე", - ამბობს აგასი.

ლონდონში ისინი მუდამ ერთად არიან. სხვა არავინ სჭირდებათ, სრულიად ავსებენ ერთმანეთს. ერთად მიდიან წყნარ, ინდურ რესტორანში, მშვიდად ვახშმობენ და მომავალზე მსჯელობენ. ჩოგბურთი სასტიკია, დიდებასთან ერთად ტრამვებიც მოაქვს. ჯობია, დროზე დაანებო თავი, ვიდრე საბოლოოდ გაგანადგურებს. შტეფის არაერთხელ ჰქონია პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით: ხან ზურგი სტკიოდა, ხან - ფეხი, ხან საერთოდ საოპერაციო ხდებოდა. შტეფის არ უნდა, რომ აგასიმ ჩოგბურთს ჯანმრთელობა შეწიროს. ამიტომაც ურჩევს, შეეშვას ჩოგბურთს. აგასიც თანახმაა. "კი ბატონო, წავალ. ოღონდ ჯერ უიმბლდონი უნდა მოვიგო!"

წარმატებები ვუსურვოთ ვეტერან მეორე ნომერს.

კრივი

# დახუჭული თვალი და გახსნილი გულები

## კლიჩკო ორთაბრძოლაში იმარჯვებს, ლუისი ჩემპიონად რჩება

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ლენოქს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს ორთაბრძოლისთვის ორი სტანდარტული სარეკლამო პლაკატი იყო გამოშვებული. ერთზე, წინა პლანზე, უზარმაზარი ლუისი იწონებს თავს, სადღაც უკან კი პატარა კლიჩკო მოჩანს. პლაკატი ასეთი ტექსტითაა აღჭურვილი: ლუისი - "გინდოდი? მიიღე!" მეორე პლაკატზე მხოლოდ ლუისია, კლიჩკო საერთოდ არ არსებობს, მხოლოდ მისი სახელი წერია წვრილად, ათჯერ უფრო წვრილად, ვიდრე ჩემპიონის სახელი. ამ პლაკატის ტექსტი თითქმის ისეთივეა: "კლიჩკო, მიდი და მიიღე!"

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლუისი ორმეტრიან გოლიათთან კი არა, საკუთარ ჩრდილთან იჩხუბებს. ამ შთაბეჭდილებას მატჩისწინა სპორტული რეპორტაჟები ამწვავებდა. ისე იყო დაწერილი, თითქოს კლიჩკო უკვე ნოკაუტშია, მიმომხილველები კი მსჯელობდნენ ლუისის მომავალ ორთაბრძოლაზე მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთან ნახევრად მძიმე წონით კატეგორიაში, როი ჯონს-უმცროსთან, რომელიც საშუალო წონითი კატეგორიიდან მძიმეში გადავიდა და ამ წონაში მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდა, როცა ქულებით ჯონ რუისს მოუგო (მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციის ხაზით). გაზეთ "იუ ეს ეი თუდეიში" გამოქვეყნებულ სტატიას ასეთი სათაური ჰქონდა: "ლუისს სურს, მომდევნო ოპონენტის როლში ჯონსი იხილოს". სტატიის ავტორი წერდა: მიუხედავად იმისა, რომ ჯონსი თანამედროვეობის უდიდესი მოკრივეა, "წონის ყოველ ფუნტზე" ის ვერ გაუმკლავდება ლუისს, რადგან მათ ფიზიკურ მონაცემებს შორის უდიდესი სხვაობაა: ლუისის სიმაღლე 6,5, წონა კი 256 ფუნტია; ჯონსის სიმაღლე 5,11, წონა - 190 ფუნტია. ამავე დროს სისწრაფითა და ტექნიკით ლუისი ჯონსს არ ჩამოუვარდება. ორთაბრძოლა ლუის-ჯონსი პროდიუსერებისა და საკაბელო ტელევიზიის ოცნებაა. ითვლება, რომ ორივე მოკრივემ შეიძლება 20-20 მილიონიანი ჰონორარი მიიღოს, რითაც მსოფლიო რეკორდი დამყარდება. კლიჩკო ჯერ რინგზე არც გასულა, ჯონსის პროდიუსერი მურად მუჰამედი კი უკვე ლუისის პროდიუსერთან, ემანუელ სტიუარდთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ეს უკანასკნელი ამბობდა: "როი სერიოზული მებრძოლია და ლენოქსი მას შესაბამისად ეპყრობა. როი მთელი ცხოვრება გამარჯვებული იყო. ის ძალიან თავდაჯერებულია". ამბობენ, რომ ჯონსის მოწინააღმდეგე შეიძლება ჰოლიფილდიც იყოს... "მაგრამ ჩვენ გვირჩევნია ლუისი, რომელიც მეტ ფულს მოიზიდავს, ჯონსი კი მუდამ იქით მიიწევს, სადაც მეტ ფულს იძლევიან," ამბობდა მუჰამედი. "იუ ეს ეი თუდეის" მატჩისწინა რეპორტაჟში ვიტალი კლიჩკო გაკვრით იყო მოხსენიებული: "დიდი კლიჩკოს შემდეგ ლუისი პატარა ჯონსს მიხედავს." სულ ეს იყო.

რა ხდება? ლუისისა და კლიჩკოს ისტორია ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ლუისმა 40 ბრძოლა მოიგო, მათ შორის 31 - ნოკაუტით, ორი წააგო და ერთი ფრედ დაასრულა. კლიჩკომ 32 ბრძოლა მოიგო, მათ შორის 31 - ნოკაუტით, ისევე, როგორც ლუისმა, და ერთი წააგო. ეს არითმეტიკაა. მაგრამ კრივის მათემატიკის მიხედვით ლუისმა თავისი თაობის საუკეთესო მოკრივეები წააქცია, კლიჩკო კი არც ერთ მათგანს არ შეხვედრია. ვიტალის ისიც ძალიან უშლიდა, რომ "ბევრი ჭკუა აქვს და ცოტა ყავისფერი", ანუ, ის ტიპური მძიმე წონის მოკრივე არაა. ერთი მხრივ, მან ოთხი ენა იცის და მეცნიერებათა დოქტორის (ჩვენებურად - მეცნიერებათა კანდიდატის) ხარისხი აქვს - "ბევრი ჭკუა". მეორე მხრივ, ის თეთრკანიანია - "ცოტა ყავისფერი". ვიტალი არ იგინება! "მაგისი ადგილი რინგზე კი არა, ბიბლიოთეკაშია," ნახევრად ხუმრობით წერდა "ნიუ იორკ თაიმსის" სპორტული მიმომხილველი მაიკ ფრიმენი. ლუისს "მისტერ ფოლადის მუშტს" ეძახიან, კლიჩკოს - "დოქტორ ფოლადის მუშტს". იგრძენით განსხვავება?

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ კლიჩკომ თავის კარიერაში მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგო. ეს მოხდა 2000 წლის 1 აპრილს, WBO (ორგანიზაციის) ხაზით მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის კრის ბერდთან ბრძოლაში. მეოთხე რაუნდში ვიტალიმ მარცხენა მხარი დაიზიანა და მეცხრე რაუნდის შემდეგ გონგს აღარ გამოხმაურებია. ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება და ჩემპიონის ქამარი ბერდს ერგო. ეს მარცხი კრივის ექსპერტებმა კლიჩკოს არ შეარჩინეს - ადანაშაულებდნენ, რომ ის "რბილია" და "დიდ სხეულში პატარა გული აქვს". თავად ვიტალი ასე არ ფიქრობს: "ბერდთან მატჩის შემდეგ ზოგიერთი ჟურნალისტი მაკრიტიკებდა, - ამბობდა ის, - ბრძოლის შეწყვეტა მე თავად გადავწყვიტე. თუ ტრავმა მიიღე, მარცხენა ხელს ვერ ხმარობ და ნოკაუტში ჩაგაგდეს, მერე ბევრად უფრო ძნელი ასახსნელი იქნება, რა იყო მარცხის მიზეზი. თან, ჯანმრთელობა რომ არ შემენარჩუნებინა, ლუისის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ შევძლებდი". ბერდთან დამარცხების შემდეგ ვიტალიმ ხუთი მატჩი მოიგო, მათ შორის ოთხი – ნოკაუტით. მაგრამ მის მიმართ ექსპერტთა დამოკიდებულება არ შეცვლილა. "თავიანი" ვიტალი ამ სიტუაციაშიც თვლიდა, რომ ზოგი ჭირი მარგებელია. "ხალხი სულ ჩემი დამარცხების მოლოდინშია და ეს გამარჯვებისკენ მიბიძგებს, - ამბობდა ის, - ნუ დაივიწყებთ, რომ კაცნი ვართ. სულ ერთია, მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ეხება ეს თუ რიგით ორთაბრძოლას - სიტუაცია არ იცვლება. ჩხუბი ყველას შეუძლია. ჩვენ ხომ არც ღმერთები ვართ და არც ჯადოქრები. სრულყოფილი არავინაა. სისუსტე ყველას აქვს". დოქტორის ფილოსოფიაა, ესაა და ეს, თან ვიტალის იმიჯსაც ვნებს.



კლიჩკომ ლუისს ვერ გაუძლო

REUTERS



ჩემპიონი თავის ტახტზე დარჩა

REUTERS



ბრძოლის შემდეგ კლიჩკო ასე გამოიყურებოდა

REUTERS

მოკრივის იმიჯით ვერც ლენოქსი დაიკვეხნის. მასაც "რბილად" თვლიან, თუმცა, მეცნიერებათა დოქტორის წოდება არა აქვს. მართალია, თავისი თაობის ყველა ფალავანი დაამარცხა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ ვარგოდა. თან ლუისი ამერიკელი კი არა, ბრიტანელია, ინგლისური აქცენტით ლაპარაკობს, არც ის იგინება, ჭადრაკს თამაშობს, იღიმება, ნაცვლად იმისა, რომ შემზარავად იჯღანებოდეს - მაიკ ტაისონივით, რომელიც სულ ახლახან ნიუ იორკში, ბრუკლინის სასტუმროს წინ გამართული ჩხუბის გამო დააპატიმრეს. ერთი სიტყვით, ლუისს რაღაცები აკლია. მას დიდ მოკრივეთა რიგებში არ აყენებენ, ჯო ლუისისა და მუჰამედ ალის ლიგას არ მიაკუთვნებენ. კლიჩკოსთან ორთაბრძოლის შესახებ ლუისს ეუბნებოდნენ: "რაო, კიდევ ერთ შტერთან ჩხუბი იქნება?"

როი ჯონსი, რომელსაც მოკრძალება არ სტანჯავს, თვლის, რომ თვითონ პირველია, ჰოლიფილდი - მეორე, ლუისს კი მხოლოდ მესამე ადგილზე აყენებს. ამაზე ლუისი პასუხობს: "ასეთი რეიტინგი, ცოტა არ იყოს, მაკვირვებს. როი შესანიშნავი მოკრივეა, უზარმაზარი ნიჭით დაჯილდოებული. მას მძიმე წონაში პლანეტის საუკეთესო მოკრივედ მიაჩნია თავი. მაგრამ თუ ამ წოდებას ფლობ, ჰოლიფილდის დავიწყება აჯობებდა. ის ხომ რუისმა სცემა, ჯონსმა კი რუისი სცემა. თუ ჯონსს ნამდვილი მოკრივეობა უნდა, ჩემთან უნდა დაიჭიროს საქმე. მძიმე წონით კატეგორიაში მეფე მე ვარ!" როგორც ხედავთ, დედას არ იგინება. "კი, შენ მეფე ხარ, - აღიარებენ ექსპერტები, - მაგრამ საშუალო დონის მეფე, შენი ოპონენტები მოხუცი ან ძალიან მოხუცი ჩემპიონები იყვნენ" (საუბარია ჰოლიფილდსა და ტაისონზე).

ჯერ კიდევ რინგზე გასვლამდე ლუისმა და კლიჩკომ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. მათი საერთო წონა 229 კგ-ია - კრივის ისტორიაში ყველაზე მძიმე. ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ კლიჩკოს გამარჯვების ერთადერთი შანსი მისი სიმაღლეა. მაგრამ ლუისის მწვრთნელი სტიუარდი სხვა აზრისაა: "ისტორიულად ლუისი დიდ მებრძოლებთან ყოველთვის უკეთ ჩხუბობდა, - ამბობდა ის, - 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მან რიდიკ ბოუვი ნოკაუტში ჩააგდო. აი, რატომ აღარ ხვდებოდა ლუისს, როცა ორივენი პროფესიონალები გახდნენ. ლუისი ძალიან, ძალიან აგრესიული ხდება, როცა დიდ ბიჭებთან ჩხუბობს". ლუისის ნაკლი ისიც იყო, რომ მას 2002 წლის 8 ივნისის შემდეგ არ უჩხუბია, მას შემდეგ, რაც მაიკ ტაისონი ნოკაუტით დაამარცხა. მაგრამ ამაზე ლენოქსმა თქვა: "ვიტალის იმის იმედი ნუ ექნება, რომ დავიჟანგე".

ლაპარაკი იქით იყოს და, კრივის მთელი ხიბლი ისაა, რომ როდესაც მეტოქეები რინგზე გადიან, მით უმეტეს, როცა მათი საერთო წონა 229 კგ-ია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს: "დაჟანგული" იდეალურად გაპრიალებული აღმოჩნდეს, თეთრი კი - ყავისფერი.

მაშ ასე, ჩვენ ლოს ანჯელესში, სტადიონ "სტეიპლს ცენტრის" რინგთან ვიმყოფებით...

ორთაბრძოლა მანამდე დაიწყო, სანამ გონგი ჩამოჰკრავდა. ვიტალი თავის მეტოქეს რინგზე დიდხანს ელოდა. ლუისი მას თავის გასახდელში, ტელევიზორში აკვირდებოდა. ეს ფსიქოლოგიური ხერხი იყო: ჩემპიონი პრეტენდენტის განერვიულებას ცდილობდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მებრძოლები რინგის ცენტრში ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ცნობილმა ანონსერმა მაიკლ ბაფერმა მათი სახელები გამოაცხადა და თავისი საფირმო ტარზანისებური ხმით დაიყვირა: "Let`s get ready for Rembo!" მსაჯმა, დოქტორმა ლუ მორეტმა მოკრივეებს ბრძოლის დაწყების ნიშანი მისცა.

ლუისი მაშინვე შეტევაზე გადავიდა, რათა დაეშინებინა და დაეთრგუნა კლიჩკო. მაგრამ ვიტალი არ შედრკა და ჩემპიონის შეტევა მარჯვენა ხელის ძლიერი დარტყმით მოიგერია. პირველი რაუნდი მისი გამარჯვებით დამთავრდა.

მეორე რაუნდი კინაღამ უკანასკნელი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ვიტალის ჯებმა და, განსაკუთრებით, მარჯვენა ხელით დარტყმამ მიზანს მიაღწია, ლუისი დარეტიანდა. მას უკვე ფეხები ეკეცებოდა. დარბაზი ღმუოდა. ჩემპიონი გონგმა იხსნა. ეს რაუნდიც კლიჩკომ მოიგო.

მესამე რაუნდში ვიტალის ბედმა უმტყუნა. ლუისის ხელთათმანმა სამართებელივით გადაუსერა კანი ვიტალის და მარცხენა თვალის ქვეშ ღრმა ჭრილობა გაჩნდა. დაიწყო ძლიერი სისხლდენა. რაუნდი ლუისმა მოიგო.

კუთხეში კლიჩკოს ექიმი სასწაულებს ახდენდა, რათა როგორმე სისხლდენა შეეჩერებინა და დროებით მაინც დაეხურა ჭრილობა. მგონი, მოახერხა კიდეც. მეოთხე რაუნდი უკიდურესად ინტენსიური აღმოჩნდა. არ მაგონდება, უკანასკნელად როდის ნახა კრივის სამყარომ გოლიათების ასეთი დაძაბული ორთაბრძოლა. უპირატესობა აშკარად კლიჩკოსკენ იყო. ლუისი სულს ძლივს ითქვამდა და ცდილობდა, დარტყმები მეტოქის დაზიანებული თვალისთვის დაემიზნებინა. მეოთხე რაუნდში მსაჯებმა კლიჩკოს მიაკუთვნეს გამარჯვება.

მეხუთე რაუნდში ვიტალიმ დაამტკიცა, რომ მას მარტო კუნთები კი არა, გულიც მაგარი აქვს, რომ ცდებიან მისი კრიტიკოსები, როცა მას რინგზე ზედმეტ სიფრთხილეში ადანაშაულებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, რაც უფრო გულადი ხდებოდა იგი, მით უფრო მეტად კარგავდა თვალს. სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა და მეტოქის დანახვას უშლიდა. რაუნდი ლუისს დარჩა.

მეექვსე რაუნდში ლუისმა, იყნოსა რა სისხლის სუნი, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და შეტევაზე გადავიდა. მაგრამ "დოქტორ ფოლადის მუშტმა" ისევ გააჩუმა კრიტიკოსები და დაამტკიცა, რომ ის "დოქტორ ფოლადის ყბებიც" არის. კლიჩკომ მოიგერია აშკარად ძალაგამოლეული ლუისის თავგანწირული შეტევა, ინიციატივა ხელში ჩაიგდო და რაუნდი მოიგო.

მეშვიდე რაუნდი არ შედგა. კალიფორნიის შტატის მთავარმა ექიმმა პოლ უოლესმა გადაწყვეტილება მიიღო - ორთაბრძოლა შეეწყვიტა, რათა კლიჩკოს თვალი უფრო სერიოზული ტრავმისგან გადაერჩინა.

- არა! არა! არა! - სასოწარკვეთით აყვირდა ვიტალი. მაყურებლებმა, რომლებიც თავიდან ლუისს ქომაგობდნენ, შემდეგ კი მათმა სიმპათიებმა მამაც უკრაინელზე გადაინაცვლა, აღშფოთებული ყვირილი მორთეს. ეშხში შესულმა ვიტალიმ სცადა, ბრძოლა გაეგრძელებინა და ლუისისკენ გაიწია. ისინი გააშველეს. ვიტალის ძმა მის დაოკებას ცდილობდა.

მეშვიდე რაუნდის წინ, ყველა მსაჯის შეფასებით, ბრძოლას კლიჩკო იგებდა - ქულებით 58:56, ანუ რაუნდების მიხედვით 4:2. მძიმე წონაში ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ჯორჯ ფორმანმა კარგად თქვა: "ლუისმა მოიგო ჩემპიონის ტიტული, კლიჩკომ კი - ბრძოლა. ლუისს, უბრალოდ, გაუმართლა."

კომენტატორ ლერი მერჩენტის მიერ რინგთან აღებული მოკლე ინტერვიუები ძალიან დამახასიათებელი აღმოჩნდა. ლუისის მთელი ჯენტლმენობა უკვალოდ გაქრა. მან მეტოქის ყველა ღირსება უარყო - სიმამაცეც, პროფესიონალიზმიც. ფაქტების იგნორირებით, იგი ამტკიცებდა, რომ კიდევ ერთი-ორი რაუნდი და, კლიჩკოს ბოლოს მოუღებდა. "მაგრამ, შენ ხომ თითქმის სული ამოგხდა," - უთხრა მას მერჩენტმა. "მე მეორე სუნთქვა გამეხსნა," - უპასუხა ლუისმა. შემდეგ მოჰყვა ლაქლაქს იმის შესახებ, რომ კლიჩკო "ბავშვებთან" ბრძოლას არის მიჩვეული და როდესაც "მოზრდილს" გადააწყდა, წააგო. აღშფოთებულმა მერჩენტმა ინტერვიუ შეწყვიტა სიტყვებით: "მაშ, რატომ აჯილდოებდნენ მას ტაშით, შენ კი - სტვენით?!"

მერჩენტის კითხვებზე კლიჩკო პასუხობდა, რომ, ჭრილობის მიუხედავად, კარგად ხედავდა ბრძოლის ველს. იგი აპროტესტებდა ორთაბრძოლის შეჩერებას და რევანშს ითხოვდა. მან თქვა, რომ გრძნობდა, როგორ აკლდებოდა ლუისს ძალები, როგორ სუსტდებოდა თანდათან მისი ცნობილი დარტყმა მარჯვენით და ჯები მარცხენით. "მე შემიძლია ლუისის დამარცხება!" - თქვა ვიტალიმ ბოლოს.

ლუის-კლიჩკოს ორთაბრძოლის შედეგის მშვენიერი ფორმულირება გააკეთა ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ბობ კოსტასმა. იგი ხუმრობდა იმის შესახებ, რომ ლუისი მერჩენტის მიკროფონისთვის უფრო აქტიურად იბრძოდა, ვიდრე ვიტალისთან რინგზე. მან თქვა:

- კლიჩკოს თვალი დაეხუჭა. მაგრამ დღეს მრავალ ათას ადამიანს აეხილა თვალი მის შესახებ!

მე დავამატებდი: გულიც...



ნინო I

## კრისტოფ დაუმს ტელეფონით დაემშვიდობნენ

როგორც იქნა, კრისტოფ დაუმის ბობოქარ ცხოვრებაში ცოტა ხნით სიმშვიდემ დაისადგურა. ყველაფერი დავიწყებას მიეცა - ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკანდალიც და სასამართლო პროცესიც, დანგრეული კარიერაც და გერმანიიდან განდევნაც. დაუმი გაამართლეს, მწვრთნელობის ლიზენცია არ ჩამოართვეს, თუმცა, ურჩიეს, ბუნდესლიგის კლუბებისგან შორს დაიჭიროს თავი. "ბაიერის" ექს-თავკაცი ავსტრიაში წავიდა და ფრანკ შტრონახის ამბციურ "აუსტრიას" ერთბაშად ორი ტიტული მოაგებინა - ჩემპიონიც გახადა და თასის მფლობელიც. რამდენ ხანს ელოდნენ ამ ბედნიერ დღეს "აუსტრიას" ფანები! თითქმის მთელ თხუთმეტ წელიწადს. მოვიდა დაუმი კლუბში და სასწაული მაშინვე მოხდა - "აუსტრიამ" ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. დაუმი და წარმატება მართლაც რომ განუყოფელი ცნებები არიან. არავის ახსოვს შემთხვევა, ის კლუბში იყოს და გუნდი, სულ ცოტა, ვიცე-ჩემპიონი მაინც არ გახდეს. 1992 წელს მან "შტუტგარტი" გააჩემპიონა, 1995 წელს - "ბეშიქთაში", ახლა კი - "აუსტრია"... სამი ტიტული სამ სხვადასხვა ქვეყანაში... ამ კაცს წარმატების მოპოვების იშვიათი ნიჭი აქვს.



ანჯელიკა კამი და კრისტოფ დაუმი

მას შემდეგ, რაც "აუსტრიამ" ჩემპიონობასთან ერთად თასიც მოიპოვა და ფეხბურთელებმა დაუმი მხრებზე შესმული შემოარბენინეს მთელი სტადიონი, გერმანელი სპეციალისტის შელახული საერთაშორისო იმიჯი ისევ აღდგა. ავსტრიაში მოპოვებული წარმატებით გულმიცემული დაუმი იმედოვნებდა, რომ ბუნდესლიგაში ისევ მიიწვევდნენ, იტალიაზეც ოცნებობდა, მაგრამ მოულოდნელად ისევ თურქეთში ამოყო თავი, ამჯერად "ფენერბახჩეში". არადა, მადრიდის "ატლეტიკო" იწვევდა, ლონდონის "ფულემიც" და "ლიდსიც" იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ დაუმმა ნაცნობ გარემოში ამჯობინა დაბრუნება. სტამბულში ხომ ის ჯერ კიდევ ძალიან უყვართ თურქ გულშემატკივრებს.

იმის ნაცვლად, რომ დამქანცველი სეზონის შემდეგ კუთვნილი შვებულებით დამტკბარიყო და მეგობარ ანჯელიკა კამთან ერთად სადმე ზღვის სანაპიროზე ენებივრა, დაუმი ბრაზილიაში წავიდა, რათა ადგილობრივი ნიჭიერი ფეხბურთელების თამაში ენახა და თავისი ახალი კლუბისთვის ვინმე შეერჩია. ამ კაცს დასვენება არ შეუძლია. ფეხბურთი მისთვის ყველაფერია. ის ფეხბურთითაა დაავადებული, თავიდან ფეხებამდე პროფესიონალია, ვერც კი წარმოუდგენია თავისი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე. მისთვის საუკეთესო დასვენება მოედანზე მუშაობაა, ეს მისი ცხოვრების სტილია. დაუმის მეგობარს, ანჯელიკა კამს, ექვსი წლის განმავლობაში ამაოდ ეგონა, რომ კრისტოფს ოდესმე ფეხბურთს გადაავიწყებდა. მომხიბვლელი მსახიობი და მომღერალი ვერაფერს გახდა. ამ ზაფხულსაც ის მოხდა, რაც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე - დაუმმა ამ ხალისიან ქალთან გართობას მუშაობა არჩია. ანჯელიკა გაბრაზდა და განაცხადა, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდაო. "სანამ არ გაარკვევს, რა ადგილი მიჭირავს მის ცხოვრებაში და ვარ თუ არა საჭირო მისთვის, მანამდე არ დავურეკავ. ექვსი წლის განმავლობაში ველოდებოდი, მეგონა, ბოლოს და ბოლოს, დაინახავდა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანი ვიყავი. ის არავის ზოგავს - არც სხვას და არც საკუთარ თავს. უამრავი დარტყმა მიიღო, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, რომ თავს უნდა გაუფრთხილდეს. ასეთ სიტუაციაში მე მას ველარაფრით დავეხმარები", - თქვა ანჯელიკამ და ტელეფონით დაითხოვა მეგობარი, რომლისგანაც ორი წლის ვაჟი ჟან-პოლი ჰყავს.

დაუმს თითქოს ძალიან უყვარდა ანჯელიკა. მის გამო დაშორდა ცოლს - ურსულას, რომელთანაც ცხრამეტი წელწადი ჰქონდა გატარებული. პატარა ჟან-პოლის გარდა, კრისტოფ დაუმს ორი შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან - ჩვიდმეტი წლის მარსელი და თოთხმეტი წლის ჟანინი. როცა ანჯელიკა შეუყვარდა, დაუმმა დაუფიქრებლად მიატოვა ოჯახი და თავის ახალ სიყვარულს გაჰყვა მაიორკაზე. ანჯელიკა მისი ერთგული მეგობარი იყო. როცა დაუმი კოკაინ-სკანდალში გაება, ანჯელიკას ის წუთითაც არ მიუტოვებია. ერთად გადალახეს ის სირთულეები, ახალი ცხოვრებაც ერთად დაიწყეს. დაუმი რომ "აუსტრიას" მწვრთნელად მიიწვიეს, ანჯელიკა ვენაში ჩავიდა და დიდი მონდომებით ეძებდა შესაფერის სახლს თავისი მეგობრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ანჯელიკა მსახიობიცაა და მომღერალიც, რის გამოც ძალიან დატვირთულია, დაუმი ვენაში მაინც არ მიატოვა, ავსტრიაშიც მის გვერდით იყო. ფრაუ კამი იმედოვნებდა, რომ დაუმი, ბოლოს და ბოლოს, მოეშვებოდა და დასვენებაზე იფიქრებდა, მაგრამ ამ კაცის მორჯულება შეუძლებელი აღმოჩნდა.

"მას ყველაფერი აქვს - ფული, სახელი, წარმატება, ნიჭი. ჰყავს შვილები. მხოლოდ ერთი რამ აკლია: სიმშვიდე. არ იცის, როგორ უნდა გახდეს ბედნიერი და არც სურს ამის სწავლა. მას სასწრაფოდ სჭირდება დასვენება", - მიაჩნია ანჯელიკას, რომელსაც უკვე აღარ სურს ისეთი კაცის გვერდით ყოფნა, რომელიც მხოლოდ მუშაობაზე ფიქრობს. უკვე ყველამ იცის, რომ დაუმი მიატოვეს. პრესას ძალიან აინტერესებს, რას ფიქრობს უარყოფილი კრისტოფი, მაგრამ ის კომენტარისგან თავს იკავებს. "პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მსურს", - ასეთია მისი პასუხი. სამაგიეროდ, ხალისით ლაპარაკობს თავის მომავალ კლუბზე. ანჯელიკა კამი მართალი იყო - დაუმს მხოლოდ თავისი ფეხბურთი აინტერესებს და სხვა არაფერი ამქვეყნად...



**თბილისის ბაირონის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ორი ფორმით:**

ქართულ-ინგლისური საშუალო სკოლა I-V კლასის ჩათვლით. ინგლისური ენის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა 5-დან 16-წლამდე.

მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა 2.
ტელ: 99-04-91.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61


გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კვიტარი

23.06.03 N-170

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი
კენი გარეტის კვარტეტი (აშშ)
დას: 21:00 სთ; ფასი $15; 25

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა"**
პოლონური პლაკატის გამოფენა

**N გალერეა**
პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

**„კავკასიური სახლი"**
პაატა კლდიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"თალკი"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
დას: 15:30; 20:00 სთ; ფასი 7,8

**„ელისო"**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ზემოდან ხედი უკეთესია"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

## TV პროგრამა 22 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა"
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე"
11.10 სერიალი „მეწამული ყვავილი"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა"
18.00, 21.00, 04.00 კურიერი
18.15 ჩვენი ეზო
18.25 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ედუარდ შევარდნაძე „ხელისუფლებაში მოსვლა"
22.50 ღამის კურიერი
00.20 სერიალი „ჯაშუში"
01.00 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
02.00 მხ. ფილმი „პირველი სისხლი". მე-2 ნ. მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე.
04.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მხ. ფილმი „უზენაესი სიმართლე"
11.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები"
11.45, 15.00, 20.00 მოამბე
12.00 სასამართლო დარბაზიდან (რეპორტაჟი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოდან)
15.15 მხ. ფილმი „არხების გადართვისას"
16.55 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 რამპა
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 მრავალჟამიერ
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 რეზო ამაშუკელი
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
00.00 მხ. ფილმი „ორმო".

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ბუნდი" მთ. რ-ში ბერტ რეინოლდსი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 „ბრავო" „მიშველე და დამიცავი" მთ.რ-ში კიმ ბესინჯერი.
01.40 „ღამურა" „როგორც თევზი უწყლოდ" მთ.რ-ში მონიკა ბელუჩი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ვმესტე
21.00 ჯანმრთელობა
21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
22.10 მხ. ფილმი „შავი მანტია".

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „მზიური დინასტია"
15.00 მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ჯუმანჯი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ტიტანიკი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „სიყვარულის ისტორია"
10.20 მხ.ფ. „პირადი მცველი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
20.00 ბურთი და მოედანი
20.30 მხ.ფ. „შანტაჟი"
22.15, 23.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „კორუფციონერი"
01.30 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა"
10.00 მხ. ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა"
11.40 მულტფილმი „ზღაპარი მზეთუნახავსა და მხეცზე"
12.30, 15.20, 17.20 მუსიკა
12.40 მხ.სერიალი „რუსი ამორძალები" 1-ლი ს.
13.50 „ოსტატები"- მესაათე
14.00 „ბელისიმო" - საქართველოს კონკურსი
14.15 „ჩემი ქვეყანა" - „ბატონი სოკრატი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.40 მულტფილმი „სამი მუშკეტერი"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.30 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი"
19.00 სერიალი „მოჯადოება"
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.15 სერიალი „სირინოზები" მე-26 ს.
22.00 გადაცემა „ღამის მატარებელი"
00.20 მხ.ფილმი „თქვენთან წერილია".

### იმედი

08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 23.55 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი" 61-ე ს.
10.30 ლარის მახე
11.05 სერიალი „შტოკინგერი" მე-13 ს.
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო" მე-3 ს.
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა" მე-24 ს.
15.15 ფანების კინოკლუბი „წმინდა წელიწადი"
17.30 ჩ-კლუზივი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო"
20.30 სპორტ. პროგრამა „გოლი"
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
23.00 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი"
23.55 კინო-ნოსტალგია „ფრთხილად, ლატურ"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ზევსი და როქსანა"
10.45, 14.20 მუსიკა
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „ჰენრი მე-8"
14.35 კომედია „კავშირი შეწყვეტილია"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „ქალთევზა -შშ"
17.30 თრილერი „შავი არწივი"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30, 22.40 მუსიკა
20.00 ისტორიული ფილმი „სამეფო წყალობა"
23.00 „ალტერნატივა"
00.40, 01.00 მუსიკა
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.25 თრილერი „ვეფხვების ქვეყანა"
03.20 დოკუმენტური ფილმი
04.10 თრილერი „მერია"

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.20 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.00 „ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით)
11.50 კომპიუტერული ტექნიკა
12.30 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 კომპიუტერული თამაშები
13.05 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.35 მობილურები
21.15 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი " - „ომის უკუღმართობები ". მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი: ბრაიან დე პალმა. როლებში მაიკლ ჯ. ფოქსი, შონ პენი.
00.15 კომპიუტერული თამაშები
00.25 მელოდია

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Комедия „Спящий лев"
11.35 Худ.фильм „Алмазная тропа", 1 с.
12.40 „Следствие ведет Колобков"
13.15 Триллер „Приятель покойника"
15.15 „Непутевые заметки"
15.30 Док. детектив „Семья душегубов".
16.15 „Дог-шоу"
17.00 Док.сериал „Живая природа"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Шутка за шуткой"
20.00 „Жди меня"
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00, 00.30 „Время"
22.40 Худ.фильм „Пятый угол"
23.45 Док.сериал „Спецназ ГРУ"
01.00 Дневник Московского кинофестиваля
01.10 „Искатели". „Ломоносов. Пропавшая „История"
01.40 „Русский экстрим"
02.10 „Апология"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Худ.фильм „Эта женщина в окне"
11.35 „Экспертиза"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Вести недели
14.15 „Экспертиза"
14.30 Вести - Москва. Неделя в городе
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Московские окна"
17.15 Сериал „Простые истины"
17.45 „Экспертиза"
18.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
18.45 Вести - Спорт
18.55 Футбол. Чемпионат России. „Локомотив" (Москва) - „Динамо" (Москва)
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал „Театральный блюз"
23.00 Детектив „Марш Турецкого. Опасно для жизни", 1 с.
00.20 Боевик „Река смерти"
02.25 „Футбол России"
03.00 Худ.фильм „Случай"
04.40 „Дорожный патруль"

### НТВ

07.00 „Утро на НТВ"
09.50 Сериал „Клан Сопрано"
11.00 „Сегодня утром"
11.25 „Намедни"
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.25 „Сегодня"
13.30 „Страна Советов"
14.30 Сериал „Курортный роман. Левая грудь Афродиты", ч. 1
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино". „Я его слепила из того, что было"
18.30 „Женский взгляд". З.Кириенко
19.10 „Внимание! Розыск!" „История с продолжением"
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей"
21.50 Сериал „Дальнобойщики"
23.00 „Страна и мир"
23.30 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей"
01.45 „Гордон"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

## ბინები

### ქირა, გირაო

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.

ქირავდება! 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით. ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.

ქირავდება!
სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**





## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები. ფასი: 13 500$ ტელ: 899 182227

იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.





შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

## სხვადასხვა

ვარ გამოცდილი მასაჟისტი, ჭარბი ბიოენერგიით. ვიმუშავებ კლუბებში, სალონებში ან სხვა გამაჯანსაღებელ კომპლექსში კარგი ანაზღაურებით. შესაძლებელია ბინაზე გამოძახებაც, ჩაწერა წინასწარ.
ტელ: 98-31-32.

ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.
მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".
ტელ: 39-46-30, 899 978757
მაკა ან ცეზო.

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.
ტელ: 899 584855








# თომ ჰორნი

## ამერიკული "ცხენის ოპერა" 100 წლისაა

ირაკლი მახარაძე





ნამდვილი თომ ჰორნი

1886 წელს აპაჩების ლეგენდარული ბელადი ჯერონიმო საბოლოოდ დანებდა ამერიკულ მთავრობას, მის დაპატიმრებაში დიდი როლი ითამაშა ამერიკელთათვის არანაკლებ ლეგენდარულმა პიროვნებამ თომ ჰორნმა.

1980 წელს ამერიკის ეკრანებზე გამოვიდა რეჟისორ უილიამ უიარდის ფილმი "თომ ჰორნი", შექმნილი ჰორნის ავტობიოგრაფიის მიხედვით, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა განთქმული სტივ მაქქვინი (ეს მსახიობის ბოლოსწინა ფილმი აღმოჩნდა, სულ ცოტა ხანში იგი კიბოსაგან გარდაიცვალა).

ფილმის შესავალში ჰორნი-მაქქვინი შედის სალუნში დასალევად, სადაც მას დახვდებიან მოკრივეები და შესთავაზებენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონის, რეალურად არსებული ჯიმ კორბეტის სადღეგრძელოს დალევას. იგი უარს განაცხადებს, შეხედავს კედელზე ჩამოკიდებული ჯერონიმოს ფოტოს და მის სადღეგრძელოს იტყვის.

კი, მაგრამ, ვინ გდია ეს შენი ჯერონიმო? – ჰკითხეს მას.

ჯერონიმო იმხელა კაცია, რომ კორბეტს მოუწევს დედამისის მხრებზე დადგომა, რათა მიწვდეს და უკანალზე აკოცოს...

თომ ჰორნის საუბედუროდ, ჯიმ კორბეტი იმავე სუფრაზე იჯდა...

თომ ჰორნი დაიბადა 1860 წლის 21 ნოემბერს მისურის შტატში. ბავშვობა მშობლებთან ერთად რანჩოზე გაატარა. 14 წლისა იგი მამამისმა მათრახით სცემა და ამის გამო თომი სახლიდან დასავლეთისაკენ გაიქცა. იგი მუშაობდა რკინიგზაზე, ატარებდა დილიჟანსს, 1876 წელს კი ჩაირიცხა ამერიკულ არმიაში მზვერავად, მშვენივრად ისწავლა აპაჩების ენა და მიიპყრო მზვერავთა უფროსის ალ სიბერის ყურადღება. მათ ერთად უამრავი მძიმე დავალების შესრულება მოუხდათ, მათ შორის ჯერონიმოს დაპატიმრებაც. არმიიდან წასვლის შემდეგ იგი ერთხანს შერიფადაც კი მუშაობდა. 1890 წლიდან იგი იწყებს სამსახურს განთქმული ალან პინკერტონის სააგენტოში და აპატიმრებს ცნობილ ბანდიტს პეგ ლეგ მაქქოის.

სტივ მაქქვინს ყოველთვის უნდოდა თომ ჰორნზე ფილმის გაკეთება. იგი აცხადებდა, რომ ყველა ნათამაშები პერსონაჟიდან ყველაზე დიდ მსგავსებას მასში ხედავდა. მაქქვინმა ერთი ღამე თომ ჰორნის საფლავზეც კი გაათენა: "....იგი, თითქოს, მეუბნებოდა: გთხოვ, მოყევი ჩემი ამბავი... ისეთი გრძნობა მაქვს, რომ, თითქოს, რაღაც ძაფებით ვარ დაკავშირებული მასთან. მე ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ბედია, რათა მოვყვე თომ ჰორნის ნამდვილი ისტორია", - ამბობდა მაქუინი.

ამერიკის "ველურ" დასავლეთში ახალი ტერიტორიების ათვისებასთან და დასახლებასთან ერთად, ბევრი პრობლემა იჩენდა ხოლმე თავს, რომელიც ხშირად სისხლისღვრით მთავრდებოდა. სულ მალე უკვე სახელგანთქმულ პიროვნებას და ჩუბინს, ჰორნს მსხვილი მესაქონლეები დაიქირავებენ ე.წ ჯონსონის საგრაფოს ომში ქურდებისა და ახლადდასახლებული ფერმერების წინააღმდეგ საბრძოლველად (1862 წელს ამერიკის კონგრესმა გამოსცა კანონი, რის მიხედვითაც ნებისმიერს ეძლეოდა დასავლეთში მდებარე 65 ჰექტარი ფართობის მიწა, თუ იგი იქ 5 წლის განმავლობაში იცხოვრებდა. ამ ფერმერებს ეძახდნენ homesteaders. ამას ეწინააღმდეგებოდნენ მესაქონლეები, რადგან საძოვრები და შესაბამისად, გავლენის სფერო, ეკარგებოდათ).

ჯონსონის ამბების შემდეგ ჰორნმა მოაწერა ხელი კონტრაქტს Swan Land and Cattle company-თან, რომელსაც განაგებდა შოტლანდიელი ჯონ ქლეი. მისი მოგონებებით, ჰორნი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, ეწეოდა სიგარეტს და წნავდა ლერიეტებსა და თოკებს ცხენებისათვის. კომპანიის სააღრიცხვო წიგნებში იგი მოხსენიებულ იყო როგორც ცხენების მომვლელი, სინამდვილეში კი იგი კლავდა ცხენებისა და საქონლის ქურდებს და ხანდახან homesteader-საც. თუ რანჩერი ვინმეს ქურდობაში დაადანაშაულებდა, ის მაშინვე მიმართავდა ჰორნს. ყოფილი მზვერავი გამოირჩეოდა საოცარი მოთმინებითა და დაკვირვებულობით. იგი იწყებდა მომავალი მსხვერპლის თვალთვალს, ზედმიწევნით ეცნობოდა მის ზნე-ჩვეულებებს. სიცივეში, ქარსა და წვიმაში, ხანდახან რამოდენიმე დღის განმავლობაში მოთმინებით ელოდა თავის მსხვერპლს, და ამ ხნის მანძილზე ჩასაფრებულს შეეძლო ეჭამა მხოლოდ უმი ხორცი. "მოკვლა ეს ჩემი ბიზნესია" - თქვა ერთხელ ჰორნმა. იგი ყოველთვის მარტო მუშაობდა, მოკვლის შემდეგ ანადგურებდა ყოველნაირ სამხილს და მოკლულის თავთან ტოვებდა ორ ქვას. ზუსტად ასე მოკლა მან მეთ რაში, ამერიკის სახალხო გმირის დეივი კროკეტის ძმისშვილი. როდესაც იგი თავისი საცხოვრებელი სახლიდან გამოვიდა ჰორნმა სამჯერ ესროლა, დარტყმის ძალა ისეთი იყო რომ რაში უკანვე სახლში შეაგდო, მოკვლის შემდეგ ჰორნმა მოაგროვა მასრები და წავიდა დამსახურებული ჯილდოს – 600 დოლარის მისაღებად.

მსახიობი და ოპერატორი ჯონ ალონზო სტივ მაქქვინის შესახებ ამბობდა: "მე არავინ მინახავს ასე კარგად რომ ატარებდეს ცხენს. იგი, ბასთერზე (მაქქვინის ცხენი – ი.მ.) ამხედრებული, თოფიდან მშვენივრად ისროდა. ამას ახერხებდა მაშინაც, როცა ცხენი მთელი სისწრაფით მიჰქროდა. მან ისე იცოდა მისი ზნე-ჩვეულება", რომ გეგონებოდა, თითქოს, ის და ბასთერი დაქორწინებულნი არიანო. მაქქვინი, მართლაც, დახელოვნებული ცხენოსანი იყო. გაიხსენეთ, თუნდაც "შესანიშნავი შვიდეული", როდესაც კალვერას ბანდასთან პირველი შეტაკების შემდეგ იგი ბანდიტებს მისდევს. რაც მთავარია, მაქქვინი ყოველთვის თვითონ ასრულებდა ტრიუკებს (ასევე იყო ფილმის გმირი ჰორნიც, მას 1891 წელს ფენიქსში როდეო აქვს მოგებული).

როგორც წესი, საქმის მოგვარების შემდეგ თომ ჰორნი მიდიოდა სალუნში დასალევად და ჩვეულებრივ უთქმელი, ლაპარაკს იწყებდა. ჰორნი სამ წელს "ნადირობდა" ქურდებზე და ბოლოს, ეს რაიონი მთლიანად გაწმინდა კიდეც მათგან.

როდესაც 1898 წელს ამერიკა-ესპანეთის ომი დაიწყო, იგი კუბაზე გაემგზავრა საბრძოლველად და იმყოფებოდა მომავალი პრეზიდენტის თეოდორ რუზველთის ცხენოსნებს შორის.

1901 წელს ჰორნი დაბრუნდა ვაიომინგში და ვინმე ჯონ ქოუბლის რანჩოზე დაიწყო მუშაობა. აქაც, იგი აგრძელებდა ჩვეულ საქმიანობას. ერთხელაც ქოუბლმა ჰორნს დავალება მისცა – მოეშორებინა ვინმე ქელს ნიქელი, რომელზეც ეჭვობდა, რომ ნახირი მოჰპარა. 1902 წლის 18 ივლისს ორი გასროლით მოკლულ იქნა 14 წლის უილი ნიქელი. მას ეცვა მამამისის ქუდი და პალტო. ეჭვი მაშინვე თომ ჰორნზე აიღეს, მაგრამ მას ჰქონდა მყარი ალიბი – იგი მკვლელობის დროს მატარებელში იჯდა.

ამ მკვლელობამ შოკში ჩააგდო იქაური მოსახლეობა. სპეციალურად ამ საქმის გამოსაძიებლად გამოიძახ-



სტივ მაქქვინი თომ ჰორნის როლში

ეს ცნობილი მარშალი ჯო ლეფორსი. ეს ის ადამიანია, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ცნობილ ბანდიტებს ბუჩ ქესიდისა და სანდენს ქიდს. იგი შეხვდა ჰორნს, როცა იგი სალუნში ლოთობდა და აალაპარაკა. თითქოს, მაშინ აღიარა ჰორნმა რომ ეს მკვლელობა მისი ჩადენილი იყო, თუმცა დოკუმენტალურად ეს არსად დაფიქსირებულა. თვითონ ლეფორსი კარგად იცნობდა ჰორნს და ფიქრობდა, რომ მან ბიჭი შემთხვევით მოკლა. თუმცა, ბევრი ექსპერტი ამტკიცებდა, რომ ისეთ ჩუბინს როგორიც იყო ჰორნი, არ შეიძლებოდა, ერთმანეთში არეოდა მამაკაცი და მოზარდი, თუნდაც ეს უკანასკნელი მამის ტანსაცმელში ყოფილიყო ჩაცმული.

თომ ჰორნი დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ მის საწინააღმდეგოდ მამხილებელი საბუთი არ არსებობდა, სასამართლო ჰორნის წინააღმდეგ იყო, მან კი გაუგებარი მიზეზების გამო უარი თქვა დაცვაზე, თუმცა კატეგორიულად უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას. ცოტა ხანში იგი ციხიდან გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს და 1903 წლის 20 ნოემბერს, საკუთარი დაბადების 43 წლის თავზე ჩამოახრჩეს. ბევრი აცხადებდა, რომ ჰორნი მსხვილმა მესაქონლეებმა მოიშორეს თავიდან, რადგან ისინი აპირებდნენ პოლიტიკაში გასვლას და ის ფაქტი, რომ ჰყავდათ დაქირავებული მკვლელი ტერიტორიების დასაცავად და გასაწმენდად საფრთხეს უქმნიდა მათ მომავალს. ასე რომ, თომ ჰორნი შეეწირა ბნელ პოლიტიკურ თამაშებს (ძალზე ნაცნობი სიტუაციაა).

საინტერესოა, რომ ჰორნი ისეთი პატივისცემით სარგებლობდა, რომ ვერავინ გაბედა სასჯელის სისრულეში მოყვანა, ამიტომ სპეციალურად მისთვის მოიგონეს რთული მოწყობილობა წყლისა და სასწორის მეშვეობით, რის შედეგადაც ჰორნმა თვითონვე მოისწრაფა სიცოცხლე. ციხეში ყოფნისას მან დაწერა ავტობიოგრაფია "მთავრობის მზვერავისა და მთარგმნელის, თომ ჰორნის ცხოვრება, დაწერილი მის მიერ".

ფილმს არ ჰქონდა ისეთი წარმატება, როგორსაც მაქქვინი და სტუდია ელოდა. თავის დროზე თომ ჰორნი ანაქრონიზმად მოიაზრებოდა, რადგან მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე "ველური" დასავლეთის დღეები წარსულს ჩაბარდა და, როგორც ამბობენ, ჰორნი, უბრალოდ, გვიან დაიბადა. ასევე მოხდა ფილმთან მიმართებაში, რადგან იმ პერიოდში ვესთერნის პოპულარობა მკვეთრად დაეცა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, ერთ-ერთი და, ალბათ, უმთავრესი ის იყო, რომ კინოაუდიტორიას, განსაკუთრებით კი მოზარდებს, უფრო მეტად ცინიკური და მოძალადე გმირები ესაჭიროებოდათ, რაც მათ მიიღეს კიდევაც სილვესტერ სტალონეს, არნოლდ შვარცნეგერის და სხვათა სახით. ყველაზე კარგად ეს მდგომარეობა ერთმა კრიტიკოსმა გამოხატა: "თომ ჰორნი გახდა მსხვერპლი ამ ჟანრისადმი აუდიტორიის ანტიპატიისა. წინა წლებში ეს ლირიკული და ღრმა ფილმი ნამდვილ კლასიკად იქცეოდა". მსახიობმა ჯეიმს ქობურნმა კი განაცხადა: "თომ ჰორნი, ჩემი აზრით, სტივის საუკეთესო ფილმია".

# გრძელცხვირა მწევარი ახალგაზრდებზე დაგეშეს

თამარ ბაბუაძე

"ტრუსარდიზე" შარშან, დაახლოებით ამ დროსაც ვწერდით. ვამბობდით, რომ ბიზნესი, რომელიც დანტე ტრუსარდიმ 1910 წელს ტყავით დაიწყო დღეს უძვირფასესი აქსესუარების, სიგარებისა და სუნამოების გიგანტურ ინდუსტრიად იქცა; რომ ამაში უდიდესი წვლილი დანტეს შვილიშვილს, ნიკოლა ტრუსარდის მიუძღვის; რომ თითქმის ასი წლის ფირმამ ერთხელაც არ უღალატა არჩეულ პრინციპს და დღესაც საკულტო, კლასიკურ სუნამოებსა და აქსესუარებს უშვებს.

მაშინ ტრუსარდი ახალმა სუნამომ "სქინმა" გაგვახსენა. საზაფხულოდ გამოშვებული არომატი ასე განსაზღვრეს: "სქინი" ძვირფასი სურნელია, გამორჩეული საღამოებისთვის არის შექმნილი და ის ისეთივე დახვეწილი და არისტოკრატულია, როგორც მისი მწარმოებელი ტრუსარდების ოჯახი გახლავთო. ანუ "სქინი" მაშინვე გამოირჩა საზაფხულოდ შექმნილი სხვა მხიარული და თავქარიანი სურნელებისგან. მეტიც, "სქინი" გახდა კიდეც ტყავის იმ ტრადიციის გამგრძელებელი, რაც ტრუსარდებმა სუნამოებში PYTHON-ის გზით გადაიტანეს და კიდევ უფრო დიდი პოპულარიზაცია გაუკეთეს ძვირფას ტყავს – როგორც არისტოკრატული იმიჯის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტს.

წელს კი მიზეზი, რის გამოც "ტრუსარდი" კვლავ შეგახსენეთ, კარგად დამუშავებული, ძვირფასი ტყავისგან რადიკალურად განსხვავებულ ფასეულობებს ატარებს. მიზეზი ჯინსია – ოქროს მაძიებლების, კოვბოების, 60-იანელი ჰიპებისა და როკერების საყვარელი ქსოვილი. უფრო ზუსტად კი სუნამო ასეთივე სახელით – "ტრუსარდი ჯინსი", რომლის თბილისური პრეზენტაციაც ახლახან მაღაზიათა ქსელმა "ისი პარიმ" გამართა. საინტერესოა, რას ნიშნავს ტყავიდან ჯინსზე გადასვლა. ნუთუ, იმას, რომ მდიდრული "ტრუსარდი" ახალგაზრდობასთან კომპრომისზე მიდის და ბოლო დროს ძალიან მოდურ – თინეიჯერულ/ახალგაზრდულ ტალღას უერთდება? თუ ახალ სუნამოს კარგად დააკვირდებით, აშკარად ასე იფიქრებთ: მისი ფლაკონიც კი ჯინსს ჰგავს, უფრო ზუსტად, კი – ჯინსის შარვლის ჯიბეს: ცისფერია და, თითქოს, დიდი, სტაფილოსფერი გვირისტებიც დაჰყვება. ლოგოც – ნარინჯისფერ წრეში ჩასმული ნარინჯისფერი მწევარი და სიტყვები, "ტრუსარდი ჯინს" – ჯინსის შარვალზე დაკერებულ ღილთან ასოცირდება. თვითონ სურნელი კი ძალიან განსხვავდება "ტრუსარდის" სავიზიტო ბარათად ქცეული – ოდნავ მძიმე, მდიდრული და დახვეწილი არომატებისგან. "ტრუსარდი ჯინსი" ყვავილოვანი, ნაზი და მხიარულია.



ჯინსში გამოწყობილი გაია ტრუსარდი ახალ სუნამოს წარმადგენს

ამიტომაც, ბევრი ვარაუდობს, რომ "ჯინსის" გამოშვება აშკარად 1910 წელს დაარსებული ფირმის გაახალგაზრდავებისა და ახალ თაობასთან დაახლოების სურვილია. თითქოს, არისტოკრატი ტრუსარდები მედიდურ იერს იცვლიან და თავიანთ სიმბოლოს – გრძელცხვირა მწევარს ახალგაზრდების მიმართულებით გეშავენ. ტყავს – მდიდრული ფუფუნების სიმბოლოს ახლა ჯინსი ცვლის – ყველაზე მასობრივი და ახალგაზრდული სამოსი. და ეს უზარმაზარი ცვლილება სწორედ ახალი სუნამოში აისახება. ის გახლავთ სუნამო გოგონებისთვის, რომელთაც ჯინსი აცვიათ, ანუ თავისუფლები, თამამები და ლაღები არიან და რომელთა სტიქიაც ღამის ქალაქია – ნეონის სინათლეებით და აქტიური ცხოვრებით სავსე.

თუმცა, ეს ახალი ამბავი, ვფიქრობთ, ტრაგიკულად არც მათ უნდა აღიქვან, ვინც "ტრუსარდის" სავაჭრო ნიშანს არისტოკრატულობის გამო სცემდა პატივს. "ტრუსარდის" ლოგო – წმინდა სისხლის მწევარი ხომ დინამიკურობის, წინსვლის და ამავე დროს არისტოკრატიზმის სიმბოლოა. მისი სახით კომპანია ვითარდება, მაგრამ არც ძველ ფასეულობებს კარგავს. ამაზე მეტყველებს "ტრუსარდი ჯინსის" ფოტოც – საზოგადოებას ახალ სუნამოს ტრუსარდების გვარის გამგრძელებელი გოგონა, გაია წარმოუდგენს. მას სახეზე თავისი გვარისათვის შესაფერისი მედიდური და გამომწვევი იერი დასთამაშებს. ანუ, ის ჩვეულებრივი ახალგაზრდა არ არის – გაია მოდგმით არისტოკრატია და, ამავე დროს, ჯინსი აცვია, ე.ი. თანამედროვე და თავისუფალიცაა. ამიტომაც ხმარობს ის "ტრუსარდი ჯინსს" – ოჯახური წარსულისა და ახალი ფასეულობების ამსხაველ არომატს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი სუნამოს საშუალებით "ტრუსარდი" შუა ხნის მდიდარ ქალბატონებთან ერთად, ახალგაზრდების გულის დაპყრობასაც დიპლომატიურად ცდილობს.

მოკლედ, ოჯახური ეპოპეა ჩვეული ტემპით გრძელდება: ტრუსარდები კვლავაც აწარმოებენ ძვირფას ტყავებს, ქოლგებს, ქამრებს, მაგრამ ჯინსისკენაც აპარებენ თვალს. ახალ სუნამოს ხომ თან ახლავს ტანსაცმლის ახალი კოლექციაც, რომელშიც განმსაზღვრელი სწორედ ჯინსია.

# ნოულზის ოცნება



ბეიონსე ნოულზი

ჯგუფ Destiny's Child-ის სოლისტი, ბეიონსე ნოულზი გვარწმუნებს, რომ ვერცერთი პლატინის დისკი ვერ აალებინებს მას ხელს იმაზე, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. მიუხედვად იმისა, რომ მომხიბვლელი ბეიონსეს მონაწილეობით ეკრანებზე უკვე მრავალი ფილმი გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველი სოლო ალბომი სულ მალე მზად იქნება, ბეიონსე ჟურნალისტებს "გაეხსნა" და თქვა, რომ მისი "ჭეშმარიტი ვნება" პარიკმახერის ხელოვნებაა, და ის ლონდონში განსაკუთრებული ვარცხნილობების სალონის გახსნაზე ოცნებობს.

"ვფიქრობ, რომ რამდენიმე ამერიკულ ტექნოლოგიას აქამდე არ მოუღწევია, და კარგი იქნებოდა, თუ ლონდონელებს მათ მე შევთავაზებდი". გარდა ამისა, მას დედამისის მიერ შექმნილი მოდური ტანსაცმლის მწარმოებელი ხაზის აწყობა უნდა – თურმე მთელი მისი ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში ბეიონსეს სწორედ დედამისის დიზაინის მიხედვით შეკერილი კაბები ეცვა.

# ახალი ანგელოზი




ანა - მარია ცეხი

ტიერი მაგლერის ცნობილი სურნელის, Angel-ის (ანგელოზი) ახალი სახე უნგრელი მოდელი ანა-მარია ცეხი გახდა. ის ამ სუნამოს არსებობის ათწლიანი ისტორიის განმავლობაში რიგით მეოთხე "ანგელოზია". მისი წინამორბედები ესტელ ჰალიდეი, ჯერი ჰოლი და ემი უენსონი იყვნენ.

შავთმიანი ქალი დიზაინერების შემთხვევითი არჩევანი არ ყოფილა. პარფიუმერიის კონსულტანტის, ნატალი ტიენოს თქმით, ამით მათ იმის ჩვენება უნდოდათ, რომ "ნებისმიერი ქალი შეიძლება ანგელოზივით გამოიყურებოდეს," – მოგეხსენებათ, დამკვიდრებული აზრის თანახმად, ანგელოზები ქერათმიანები არიან ხოლმე.

სარეკლამო ფოტოებს თვით მაგლერი იღებდა. ერთ-ერთი სურათი, რომელიც თავად მას ყველაზე წარმატებულად მიაჩნია, ქალაქის თავზე მოლივლივე, ბრჭყვიალა თვლებით მოოჭვილ კაბაში გამოწყობილ ანა-მარიას ასახავს. ტრადიციულად, Angel-ის სარეკლამო თვალშისაცემი ფოტოსურათი წელიწადში სამჯერ იცვლება ხოლმე.

ახალი სახის პრეზენტაცია გასულ კვირას, პარიზში გაიმართა. ტიერი მაგლერის სუნამოების მფლობელი "კლარინსის" პრეზიდენტმა, ვერა სტრუბიმ ბრძანა, რომ "Angel საფრანგეთის საუკეთესო სუნამოა და მსოფლიო ბაზარზეც წამყვანი ადგილი უკავია".

იქვე გამოცხადდა, რომ მაგლერი კიდევ ერთ ახალ სუნამოს, Mystic Star-ს უშვებს. მისი რაოდენობა ძალიან შეზღუდულია – მხოლოდ 9.300 შუშა, ამიტომ ფასიც შესაბამისი აქვს – 30 მილილიტრი 400 ევრო ღირს.

# გასაიდუმლოებული ქორწილი

ედ ბერნსისა და კრისტი ტარლინგტონის ქორწილის ამბავი ჟურნალისტებისთვის დღემდე ბურუსით მოცულია – დეტალები ვერაფრით გაურკვევიათ. ამ წყვილმა ის შეძლო, რაც მანამდე ვერცერთმა ვარსკვლავმა ვერ მოახერხა – მათი ქორწილი ოჯახურ წრეში ჩატარდა.

პრესამ ფრიად მწირი ინფორმაცია მიიღო: რომ პატარძალს თეთრი აბრეშუმის ზღაპრული კაბა ეცვა, ჯონ გალიანოსეული ნაქარგობით მორთული; რომ ახალგაზრდებმა სან ფრანცისკოს წმინდა პეტრეს ტაძარში დაიწერეს ჯვარი, და რომ მეჯვარე ბონო იყო (U2).

ახლო მეგობრებისა და ნათესავებისთვის კრისტიმ და ედმა წვეულება აზიის ხელოვნების მუზეუმში გამართეს. სწორედ იქ შეძლეს ჩასაფრებულმა ჟურნალისტებმა ერთადერთი "წარმატების" მიღწევა – დილის ხუთ საათზე შენობიდან მიმავალ მანქანაში მსხდომ ახალდაქორწინებულებს სურათი გადაუღეს. დიდი ვერაფერი ნადავლი იყო, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობდა.

## კროსვორდი



მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს კონკურსს ასოციაციის მომსახურების განყოფილებაში იურისტის თანამდებობაზე.

სამუშაო ადგილი: თბილისი
კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ადვოკატის სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟი (სამოქალაქო სამართლის განხრით);
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
- სახელმწიფო სტრუქტურებთან და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება;

კანდიდატი ვალდებულია:
- მოამზადოს ყოველთვიური ანგარიშები, თავის შესრულებული სამუშაოს მიხედვით;
- გაუწიოს მიწის მესაკუთრეებს კონსულტაციები;
- გაუწიოს მიწის მესაკუთრეებს შუამავლობა;
- სასამართლო ინსტანციებში დაიცვას მიწის მესაკუთრეთა უფლებები;
- აწარმოოს ურთიერთობა ოფიციალურ პირებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან სხვადასხვა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით.

ანაზღაურება კონკურენტუნარიანია.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, გამოაგზავნონ რეზიუმე ფაქსით: თბილისში 98-62-91 ან ელ-ფოსტით: aplr@caucasus. net ან წარმოადგინონ მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის I შესახვევი N8.

წარმოდგენილ რეზიუმეში გთხოვთ, მიუთითოთ ვაკანსიის სრული დასახელება (ასოციაციის მომსახურების განყოფილების იურისტი).

რეზიუმეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 30 ივნისი, 18 საათი.
გასაუბრებაზე დაიბარებიან შერჩეული პირები.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.